გურამ დოჩანაშვილი
ხორუმი ქართული ცეკვაა

პიესა

მოქმედი პირნი

გოგი - 35 წლის

უნივერსალი - 45 წლის

ასისტენტი - 30 წლის

ერასტი - 45 წლის

ბესარიონი - 50 წლის

ვამიჩეიშვილი - 45 წლის

აგნესა - 22 წლის

სერგია - 25 წლის

ვერიკო - 45 წლის

შალვა - 50 წლის

სვიმონ - 55 წლის

კოკილო - 30 წლის

არქიფო - 50 წლის

ბიქტორი - 50 წლის

საშიკო - 35 წლის

დათა - 35 წლის

გლეხი - 65 წლის

დამაშოშმინებელი - 40 წლის

ლამზირა - 35 წლის

მონადირე - 40 წლის

ბესარიონის ცოლი - 45 წლის

მომღერალი

მუსიკოსები

მამასახლისი და იმისი ამალა

ბრმა

პირველი მოქმედება

ფარდის გახსნამდე უწესრიგო, არიტმიული კაკუნი ისმის, თანდათან ძლიერდება: ეს თურმე ბრმაა, ფრთხილად მიიკვლევს გზას, მისი ჯოხის კაკუნი მკაფიოდ ისმის. ჯოხით მოსინჯვის შემდეგ განსაკუთრებული სიფრთხილით გვერდს აუვლის ლოდს, რომელიც გასავლელი გზის თითქმის ბოლოში დევს. ლოდს წვალებით რომ აუვლის, მერე ისევ კაკუნით მიიკვლევს გზას, როცა გავა, კაკუნი მაინც ისმის, მცირე ხნით ისევ არათანაბარი, მერე კი, ფარდა რომ გაიხსნება, გადადის რიტმულ გუგუნში, ეს - ხორუმია, ძალიან ხმამაღლა გაისმის, რასაც ყურადღებას არ აქცევს შუა სცენაზე სამ მაღალ სიმინდთან ჯორკოზე მჯდარი ხნიერი, სახეგაქვავებული, გამოთიშულ გამომეტყველებიანი გლეხი. დოლის ომახიან ბაგბუგს შემოჰყვებიან სოფლის მცხოვრებნი, ხელიხელჩაჭიდებული ქალები და კაცები, სიამის ტყუპებიც კი ურევიათ, ალაგ-ალაგ - სიმაღლეში დიდად განსხვავებული მწკრივია. მეთაური-მოცეკვავე, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ძველ-ქართველი სვიმონ სხვებზე წარმოსადეგია და ხორუმის ახალი ილეთის წამოწყებას თავის მკვეთრი აქნევითა და შეძახილით „ ჰოპ! “ ანიშნებს დანარჩენებს. არის ის პა-ც, როდესაც მოცეკვავენი პირქვე გაწვებიან და მიწაზე დადებენ ლოყას - თითქოს რაღაცას უგდებენ ყურს (აქ ისევ გაისმის არათანაბარი კაკუნი). კვლავ წამოხტებიან, რიტმის დამყარებისთანავე. ყველას ერთნაირი გამომეტყველება აქვს, რაღაცნაირად მზადყოფნურ-მონდომებული (ცეკვისა გამო), და მაინც გულგრილი და აღმსრულებლური. ორიოდ წრეს კვლავ დაივლიან და დოლის ხმა მოულოდნელად რომ შეწყდება, მაშინვე თითქოს პირველად შენიშნავენ ერთმანეთს - სრული შთაბეჭდილებაა, ვითომ ახლახან არ ცეკვავდნენ: ორ-სამკაცა ჯგუფებად დგებიან. ვერიკო სცენის სიღრმეში წვნიანს ამზადებს, ქვაბში საკმაზს ამატებს, გემოს ფრთხილად, სულისშებერვით უსინჯავს, აგნესა ჩოგნით ურევს ღომს, ბუხართან ჩაცუცქულა; ლამზირა, მხარზე ქოლგამიხუტებული, მაგიდაზე ხახვს ჭრის და თვალები ეცრემლება; ვამიჩეიშვილი კოკილოს ახალ ტანსაცმელს უმოწმებს, ვიწრო ხომ არაა - კოკილო რამდენჯერმე ადგება და ჩაჯდება, ხელებს განზე შლის, რატომღაც მრავლად ჰკიდია რკინები; სცენის უკანა ნაწილში, გრძელ მაგიდაზე, ფეხზე დგომელა თამაშობენ ნარდს - არქიფო ყოველ გაგორებაზე ეფექტურად მიიდებს ხოლმე გულზე თითებს, ბიქტორი - ყანწიდან აგორებს, სერიოზული სახეები აქვთ, ხშირია დაფიქრებაც; ბიქტორს

უბრალო კარტუზიანი ქუდი ახურავს, არქიფოს – რაყაულის ძალიან მაღალი, ძვირფასი ბოხოხი. ავანსცენის განაპირას მოგრძო, უზურგო მერხზე სიამის ტყუპები (საშიკო და დათა) სხედან. ერთი, საერთო ახალუხი აცვიათ, უმიზნოდ დახეტიალებს სერგია, ყველაფერზე ეტყობა, უზრდელი რომაა, ვისაც კი მიადგება, ცივად და დაძაბულად ხვდებიან; ყოვლად გაუგებრად დაბორიალებს მონადირე, რომელიც ცეკვისას მწკრივში ბოლო იყო – თოფით ხელში, ფეხისწვერებზე შემდგარი თითქოს რაღაცას ეპარება, დიდად გაფაციცებულია, რაღაცას მთელის მონდომებით ეძებს, ერთი-ორჯერ ქვაბსაც კი ახდის ხუფს. კოკილო ხელების გაშლისას უცაბედად სიმინდს წააქცევს, ამას თვითონ ვერც კი შეამჩნევს; გლეხი დაიხრება და ისევ დააყენებს სიმინდს. ერთთავად იგივე გამომეტყველება აქვს. შალვა გატაცებით კითხულობს, ხანდახან მღელვარებისგან წამოდგება კიდეც, სახე უკიდურესად ეცვლება. სცენის სიღრმეში ბესარიონი ცოლს სკივრიდან ხურჯინში ალაგებინებს საჭმელს, მითითებებს იძლევა. მონადირე პატარა ხნით სცენიდან გადის, მერე ისევ დაბორიალებს, მაგიდის ქვეშ იყურება, მაგრამ მონარდეები და, საერთოდ არავინ, ყურადღებას არ აქცევენ. უფრო სწრაფად დაძრწის დამაშოშმინებელი, რომელიც ხელისგულის ჩვენებითა და ყელის გამოწიწკნით ხალხს რაღაცას ევედრება, დროდადრო ისიც სცენიდან გადის. სვიმონი თავისთვის განზე დგას და ხმალს ხან სიბასრეს უმოწმებს, ხან – თვალთან მიიტანს, გახედავს ხოლმე.

უეცრად ნარდის ერთ-ერთი მოთამაშე, ბიქტორი, ნარდს თავს ანებებს, კარტუზიან ქუდს მაგიდაზე მიაგდებს და ტანსაცმლის შემმოწმებელ ვამიჩეიშვილს განზე, ავანსცენის კუთხეში მკაცრად გაიყვანს. არქიფო თავის თავს ეთამაშება ნარდს, აქეთ-იქიდან აგორებს. ბიქტორი მკვეთრად შემობრუნდება, ერთმანეთს შესცქერიან და უცებ ორივე ნაძალადევ ღიმილს დაიმჩნევს.

ვამიჩეიშვილი

ოო, ბიქტორს გაუმარჯოს, ბიქტორს!

ბიქტორი

გამარჯობა, ჩემო.

ვაჟკაცური ხელის ჩამორთმევა.

სიამის ტყუპები სცენის მოპირდაპირე კუთხეში სხედან.

ტყუპისცალი დათა

ამათ ერთმანეთი არ უყვარდეთ, მეტი არაა ჩემი მტერი...

ტყუპისცალი საშიკო

რატო, შე კაცო... მეზობლებია, ახლობლები...

დათა

(აგდებულად) ახლობლები... ახლობლებს ეძულებათ ერთმანეთი თუ ეძულებათ... აბა, ვიღაცა გადამთიელთან რა საქმე გვაქვს ჩვენ...

ერთმანეთს კეფას შეაქცევენ.

ვამიჩეიშვილი

როგორა ხარ ისე!

ბიქტორი

(დაუდევრად პასუხობს; ეტყობა, რაღაცას სწონის გუნებაში) ვართ ისე, საშუალოდ...

ვამიჩეიშვილი

კარგია, რომ იცოდე, ეგ!

ბიქტორი

კი, კი - შიბნ გაიარა ტყისანიო... (სრულიად მოულოდნელად, ძალიან მკაცრად) რა გითქვამს ბატონო ჩემზე იქ...

ვამიჩეიშვილი

სად იქ, ჩემო ბიქტორ...

ბიქტორი

წისქვილში, წუხელ!

ვამიჩეიშვილი

აუჰ! ტყუილია ნამდვილად და ისაა...

ბიქტორი

რაა ტყუილი!

ვამიჩეიშვილი

რა და, რაც გითხრეს!

ბიქტორი

რა იცი ჯერ ეს ერთი შენ! ეგებ მაქებდი!

ვამიჩეიშვილი

გაქებდი კი არა... (დაინტერესდება) ვინ გითხრა მაინც?

ბიქტორი

(ყურში, ხმადაბლა) ერასტიმ მითხრა, საიდუმლოდ.

არქიფო

(გაურკვეველი მიზეზით, რაღაცნაირად, საქმის კურსშია) აჰ, არა, არა, ერასტი არ იტყოდა ამას. (ნარდს მეორე მხრიდან მიუდგება, გააგორებს და გულზე მიიდებს თითებს).

ვერიკო

(ისიც შორსაა, ჩოგანს ქვაბის პირზე წმენდს) აბა ვინ იტყოდა სხვა!

დათა

ყველა იტყოდა... ერთი ოხერია ყველა...

საშიკო

რატომ, შე კაცო... ადამიანი ზოგი უარყოფითია, ზოგი – დადებითი.

დათა ისე დაგედოთ ყველას ჭირი და ხორველა... ერთი ხართ ყველა.

კვლავ კეფას შეაქცევენ ერთმანეთს.

ვამიჩეიშვილი

(ამ წამოძახილებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს; შესაძლოა, არც გაუგია) აუჰ! ვერ თქვი მერე?

ბიქტორი

რა უნდა მეთქვა...

ვამიჩეიშვილი

ერასტიმ თუ თქვა, ვერ თქვი?

ბიქტორი

რა იყო მერე...

ვამიჩეიშვილი

გამოგცადე, ბიჭო...

ბიქტორი

მართლა?

ვამიჩეიშვილი

აბა! აქეთ შენ გამოგცადე, დაიჯერებდი თუ არა და, იქით ის – შემინახავდა თუ არა ნათქვამს. (საყვედურით) და დაიჯერე, ხომ?

ბიქტორი

შენ რა გითხარი... (ძნელი გასარკვევია, დაიჯერა თუ არა) გამომცადე, აბა?

ვამიჩეიშვილი

აბა! მეც არ გამიკვირდა, რას მელაპარაკება-მეთქი?

ბიქტორი

შევრიგდეთ, თუ კაცი ხარ.

ვაჟკაცური ხელის ჩამორთმევა.

ძველქართველი სვიმონ

(ავანსცენაზე ბოლთას დასცემს, დაფიქრებული ალაპარაკდება, თავისთვის ამბობს: ხოლო ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინვლითა და თევზითა; ნაყოფიერებენ ყოველნი, ხოლო ხილნი და თაფლი აქაური ყოველთა უმჯობეს არიან; ხოლო კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი და ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა.

ბიქტორი

მაგრამ მეორედ რომ გამომცადო, ერთი სიბრძნის კბილიდან მეორემდე გადაგჭრი. (თავის ადგილს უბრუნდება, შემოდის დამაშოშმინებელი. არავის უყურებს, ისე გაიძახის: - კარგით ახლა, დაწყნარდით, დამშვიდდით... არ გინდათ ეს შეხლა-შემოხლა და აყალ-მაყალი... სირცხვილია, თავი მოგვეჭრება... ჩხუბს და დავიდარაბას არ სჯობია ტკბილად ყოფნა?

(მოივლის სცენას და გადის).

არქიფო

მოტყუვდი ვითომ, ბიქტორ-ჩემო? (აგორებს).

ბიქტორი

ის კარგად ვიცი, მე. (აგორებს).

კოკილო

არა მგონია მე... (განზე გაშლის ხელებს და სიმინდს წააქცევს. გლეხი გაასწორებს).

კოკილო რკინების სწორებ-სწორებით გადის.

არქიფო

დაუმახსოვრებ, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად. (ქუდებს გასცვლიან. ეტყობა, არქიფომ წააგო). ოო, ბესარიონს ვახლავართ, ბესოს! (აგორებს).

დათა

ეს ბესოც კაი შტერია...

საშიკო

რატომ, ჩემო დათა... არაა ცუდი კაცი. მშრომელია და მუყაითი...

დათა

იმიტომაა მშრომელი, პურ-მარილი რომ ჰქონდეს... და ის პურ-მარილი რისთვისაც უნდა, შენისთანა სულელმაც კი კარგად იცის...

საშიკო

ახლა შენ არ მომაყვანინო გული... რომ გითმენ, ბოლოს და ბოლოს...

კეფის შექცევა.

აქამდე ბესარიონი ცოლს წამდაუწუმ მითითებას აძლევდა და ქალი სკივრიდან ხურჯინში საჭმელს ალაგებდა. ბესარიონი საქმიანად ფუსფუსებდა, ცოლი ზანტად ირჯებოდა. ხურჯინი შეავსეს და ახლა გარდაქმნილი ბესარიონი სიამაყენარევი დარდიმანდობით, მხრების ზომიერი რხევა-თამაშით მოაბიჯებს. ხურჯინაკიდებული ცოლი ძალიან გულგრილად მოსდევს.

ბესარიონი

(ხელის აწევით) – გამარჯობათ თქვენი... სალამი... სალამი... გამარჯვება... დიდება...

ხალხის ნაწილი მიუახლოვდება, ესალმებიან.

ბესარიონი

(შედგება და მოულოდნელად პირდაპირ იწყებს) ჰოდა, იმას ვამბობდი, ვართ მტრის ტყეში... გაშალე ქალო სუფრა!

ვამიჩეიშვილს და სერგიას გრძელი მაგიდა სცენის შუაგულისაკენ გამოაქვთ, მონარდეები თამაშ-თამაშით მოჰყვებიან. ბესარიონის ცოლი მაგიდის ნაწილზე სუფრას გადაჰფენს.

ბესარიონი

ჰოდა, ტოტებში, მოდის, მაგრამ რა მოდის...

ერასტი

(ინვალიდის ურიკით შემოგორდება, ხელთათმანები აცვია, დიდ ბორბლებს ღონივრად უბიძგებს) ღვინის სუნი მეცა, საყვარლებო. კაი სუნი, ვინ, ვინ მოდისო, ბესარიონ-ჩემო?

ბესარიონი

მტერი, მტერი, ერასტი ჩემო... ამოიღე, ქალო, შოთი პურები!

ერასტი

რამდენი, გენაცვალე!

ბესარიონი

შოთი?

ერასტი

მტერი!

ბესარიონი

(მცირე დაფიქრების შემდეგ) შვიდნი არიან მაინცდამაინც!

ერასტი

აუჰ!

ბესარიონი

აბა? ამოიღე, ქალო, დოქით ღვინო... ჯერ ის...

ცოლი ყველაფერს უხმოდ, უგულოდ ასრულებს.

ერასტი

რა მანძილზე იყვნენ მაინც?

ბესარიონი

ვინ?

ერასტი

მტერი, შე კაცო...

ბესარიონი

იყვნენ თავიდან, ასე... როგორც აქედან და ჩემი ჭიშკარი.

შემოდის დამაშოშმინებელი: – კარგით ახლა, რა დროს ჩხუბი და დაკა-დაკაა... რად გინდათ პაექრობა... თავი არ წააგოთ... სიფრთხილე გვმართებს... (სცენას დაივლის და გადის).

ერასტი

რას ამბობ, კაცო...

ბესარიონი

და უფრო ახლოც, კიდევ...

სვიმონ

(სადღაც, სცენის სიღრმეში, ჩაილაპარაკებს) აჰ!

(ხმალს გახედავს).

ბესარიონი

(რაღაცნაირად გაიგო, მიუბრუნდება) აბა?! ამოიღე, ქალო მოხარშული დედალი... დადე კიდევაც, ქალო!.. ასე.

ერასტი

(გულმოდგინე მღელვარებით) მერე, ბესარიონ, მერე?

ბესარიონი

(გახარებულიცაა, შეეჭვებულიც) გაინტერესებს, ხომ?

ერასტი

აბა, არა?!

შემოდის მონადირე, გაფაციცებით მიმოათვალიერებს ყოველ კუთხე-კუნჭულს და გადის.

ბესარიონი

ამოიღე, ქალო, გოჭი... ეს ღვინოც გამოცვალე, ამოიღე ის... დადგი შე ქალო!

ერასტი

უჰუჰუჰუჰუ!

ბესარიონი

ჰოდა, მოდიან შვიდნი, შვიდნი, დაწყობილები როგორც წესია და...

ისევ შემოჩინდრიკდება დამაშოშმინებელი – დაწყნარდით დამშვიდდით... (პურმარილის დანახვაზე შეცბება, გაჩერდება, ხარბად დააქცერდება მაგიდას)

სერგია

(აქამდე მთელ მაგიდაზე დაბოდიალებდა, ხან მონადირეებს მიადგებოდა, ხან ქალებს, ხან წიგნით გართულ შალვას, მაგრამ ყველა უსიამო გამომეტყველებას იღებდა, რაღაცას ცივად პასუხობდნენ, ზოგიერთი ზურგსაც კი შეაქცევდა ხოლმე. მიხრა-მოხრაზე ეტყობოდა, რომ უზრდელია, ერიდებოდნენ. გლეხსაც სიმინდი წაუქცია... ახლა ბესარიონს მიახლის):

– მეტი რა გითხრა შენ!

ბესარიონი

(შემცბარია) რა უნდა მითხრა მე...

სერგია

ჰოდა, მოერიე ყველას, არა?

ბესარიონი

არ გჯერა, ხომ?

სერგია

არა!

ბესარიონი

არა, ხომ? (ბრაზდება) რომ არ მოვრეოდი, აქ ვიქნებოდი ახლა?

სერგია

სწორედ იმიტომ ხარ აქ, ტყუილს რომ ბეთქავ!..

ბესარიონი

(განრისხებულია) ჰოდა, თუ ასეაა... აშალე ქალო სუფრა! არა, ჯერ ჩადე ხურჯინში გოჭი, ბოლოს აშალე სუფრა!.. ჩააგდე ქათამი!.. რისი ღირსი არიან ესენი! (დამაშოშმინებელი ბესარიონის განრისხებაზე გარბის) ხომ გეუბნებოდით... ხომ გაგაფრთხილეთ, წყნარად იყავით-მეთქი... ჩადგი ფრთხილად ეგ ღვინო! დაახურე ფუჩეჩი! ასე! არ გჯერათ და ნუ გჯერათ! ვინც წააგებს, ვნახოთ! კარგად ბრძანდებოდეთ, აბა!

ერასტი

(ერთხანს ურიკიანად აედევნება) ჩვენ რაღა დავაშავეთ, ბესო? ბესიკო? დამჯერ - ერთგულმა ხალხმა...

ბესარიონი არც მიუბრუნდება, ისე ჩაიქნევს სიარულისას ხელს. ცოლთან ერთად სცენის სიღრმეში გადის. ცოლი სკივრში ჩაალაგებს ხურჯინიდან ამოღებულ საჭმელ-სასმელს. ბესარიონი სკივრზე ჯდება. შენაღვლიანებული, დაფიქრებულია.

გაბრაზებული ერასტი აქეთ-იქით ნერვიულად დაგორავს.

სვიმონ

(კვლავ ავანსცენაზე დააბიჯებს) ხოლო კაცნი და ქალნი, ვითარცა ვსთქუთ, უმშვენიერესნი და უუჰაეროვანესნი, ვინაითგან გლეხთაცა შვილნი მიგვანან წარჩინებულთა შვილთა, სუფთანი. სამოსელთ გამწყსონი; ეგრეთვე ცხენთა, და იარაღთა, და საჭურველთა; (ხმალს გახედავს) ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემმართებელნი და ძლიერნი, უხვნი და მომხუეჭნი, დღეისის მაძიებელნი, ხუალისა არა გამომკითხველნი, მომღერალ-მგალობელნი და მწიგნობარნი წარჩინებულნი, და უმეტესნი კეთილხმოვანნი და სხუათა და სხუათა შემძინებელნი. (სცენის სიღრმეში მიდის).

დათა

ხო გეუბნებოდი შტერია-მეთქი...

საშიკო

რატომაა შტერი... ადამიანს ამბების გაზიარება უნდა, შთაბეჭდილებების...

დათა

(გააწყვეტინებს) ხოლო რაც შეგეხება შენ, ნამდვილი სულელი ხარ...

საშიკო

რატომ, კარგი ადამიანობისა რომ მჯერა?

დათა

მაგიტომ, დიახ... შენ თუ იცი, სიტყვა სულელი როგორ გაჩნდა?

საშიკო

როგორ...

დათა

როგორ და, ზოგიერთი შენისთანა სულ ელის რაღაცა კარგს, მაგრამ ეს კარგი არ არსებობს და, დაუხატავენ, დიახ, შენც - სულ-ელი...

საშიკო

(თავისთვის) არაა ახლა ეს გარტყმის ღირსი? მაგრამ მაგას რომ გავარტყამ, ისევ მე მტკივა... (დათას) აღარ დამელაპარაკო, იცოდე! (კეფის შექცევა)

ერასტი

(აღშფოთებული შეაჩერებს ურიკას სერგიასთან, გულდათუთქული მიმართავს) - პირში მთქმელი ხარ, არა? პირში მთქმელი ხარ, ხომ?.. შეგირცხვა პირშიმთქმელობა! (გაბრაზებული. აქეთ-იქით დაგორავს) პირშიმთქმელია ყმაწვილი... სამართლიანი...

სერგია

(იკრიჭება) სამართალმა პური ჭამაო, გაგიგია, ალბათ...

ერასტი

ამაზე მეტი პურისჭამა არ გენახოს შენ!

სერგია

ასე კია ნათქვამი და...

არქიფო

სწორია ეს კაცი... (აგორებს)

ერასტი

ისე სწორი... (ხელს მიაშვერს სერგიას, მაგრამ ვერაფერს მოიფიქრებს, ხელს ჩაიქნევს) რაღა ვქნა ახლა... (უნებურად სიმინდს წააქცევს, გლეხი გაასწორებს) რა ვაკეთო დღეს...

შალვა

(მიუახლოვდება, მკერდზე სასოებით მიხუტებულ წიგნს გაუწვდის, შთამაგონებლად ეუბნება) გამომართვი, გამომართვი, ერასტი. ცოდნის წყაროა ეს. თავიდან შედარებით სუსტად იწყება, მაგრამ არ გაიტეხო გული, რადგან თანდათან, მერე და მერე, ექსპოზიციაში თანდათანობით ამბებია ისეთიი...

ერასტი

გად-დაიკარგე იქით!.. მე არ მომადგა მაინცდამაინც? ვინ ნახა მაგაში რამე სარგებელი. მე რომ ვნახო... არ შემარჩია? (რაღაცას თვალს მოჰკრავს, გამოცოცხლდება) აუუ, მოდიან, მოდიან!

მკვირცხლად წამოხტება, თურმე არაა ინვალიდი, ხელთათმანებს წაიძრობს. ხალხი შეჯგუფდება. მონარდეები ნარდს გადამალავენ, სამაგიეროდ, მაგიდაზე საჩქაროდ გააწყობენ ჭადრაკს. შალვა წიგნს უბეში ინახავს, რამდენიმე კაცი თოხს ურტყამს სიმინდებთან. გლეხი ისევ ისე ზის. შემოტორღიალებულ მონადირეს ახლა შენიშნავენ პირველად, სასწრაფოდ გააგდებენ სცენიდან. შემორბის აქოშინებული დამაშოშმინებელი.

– აბა, თქვენ იცით... ახლა მაინც დაწყნარდით... დამშვიდდით... თავსაც მოგვჭრიან და თავიც მოგეჭრებათ... აბა, ჩუმად, ფრთხილად, დალაგებულად, წყნარად...

ერასტი

(თოხს გამალებით იქნევს) მოდიან, მოდიან!

ტანსაცმელს ამოიჩეჩენ, ვითომ დიდი ნამუშევრები არიან. მოლოდინია. ავანსცენაზე გამოდის სვიმონ.

სვიმონ

ხოლო თვით მეფე დავით არა თუ ვითარცა სხვა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა მთავართაგან ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა ლაშქარსა თვისსა და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; ხოლო თვით მეფე გოლიათებრ მიიმართებოდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა.

ერასტი

მოდიან, მოდიან!

სვიმონ

ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ. იყო ქუეყანა ესე სრულიად ოხერ; ამან განახვნა და აღაშენა, რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე ღვთისა, გლახაკთა, ქურივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა და სასნეულო სახლთა მაშენებელი და წიგნთა მოყუარე დიდად.

ერასტი

მოვიდნენ, მოვიდნენ!

ძალიან ნელა, ხაზგასმული აუჩქარებლობით შემოდიან: წინ – ღიპიანი მამასახლისი, ძალიან, მოწყენილი, ძალიან, მაგრამ გაჯგიმულია. უკან მოსდევენ უზარმაზარბეჭდიანი კაცი, ეპოლეტებიანი ბოქაული, იმათ უკან კი უცნაური ტრიოა – ორი ტუბა და ერთი სალამური. მთელი ჩავლა მამასახლისის სიარულისა შეუფერხებლად მოხდება. სცენის სიღრმეში ისევ გამოჩნდება გაფაციცებული მონადირე, მაგრამ მათ დანახვაზე ნირწამხდარი გაიპარება.

მოწიწებით მდგარი ხალხის წინ მიაბიჯებენ.

მამასახლისი

(წვალებით, თავგაბეზრებული ამბობს) როგორა ხართ, როგორ... ხომ არ გიჭირთ რამე...

ბოქაული თვალებს უბრიალებს ხალხს, დროდადრო მუშტს აჩვენებს, ხმლის ტარზე მრისხანედ უდევს ხელი. მხიარულად გაისმის: – კარგად ვართ, კარგად... კარგად, გენაცვალე, ძალიან კარგად... თქვენს ხელში რა უნდა გვიჭირდეს... ერასტი ვითომ მუშაობით დაღლილ წელს ძლივს გამართავს, ვითომ ოფლს იწმენდს: – თქვენ გვეყოლეთ ოღონდ ძვირფასად და კარგად, ჭირიმე თქვენი...

მამასახლისი

ძალიან კარგი, ძალიან... ისე, როგორ ხართ, ხომ არ გიჭირთ რამე...

ბეჭდიანი კაცი

არ გააგონოთ ცუდი ამბავი! (ბეჭედს მუქარით უღერებს ხალხს).

გაისმის

კარგად ვართ, შემოგევლე... ადამიანი ვარო, თქვენ უნდა ბრძანოთ, გენაცვალე... ვართ სტამბულის კაჟივით... ძვირფასად... კარგად, კარგად...

მამასახლისი

ძალიან კარგი, ძალიან... ვინმეს ხომ არ გიჭირთ რამე...

ტყუპისცალი დათა მამასახლისისკენ უცებ ისე ძალუმად გაიწევს, საშიკოს თავი გვერდზე უვარდება.

დათა

ამაზე მეტი რა უნდა გვიჭირდეს, მარტო ჭამა-სმაზე კი არაა საქმე... კრამიტი რომ კრამიტია, ისიც კი ვეღარ გვიშოვნია და წყალი ჩამოგვდის თავზე.

მამასახლისი

(ეტყობა, აქამდეც არავის უსმენდა) ძალიან კარგი, ძალიან...

საშიკო

არ დაუჯეროთ, ბატონო... სადაა ახლა წვიმა? ღრუბელი არ ჭაჭანებს ცაზე!

დათა

სანთელი არსად იშოვება და შებინდებისთანავე ქათმებივით მივძვრებით ლოგინში!

მამასახლისი

ძალიან კარგი, ძალიან.

საშიკო

არ დაუჯეროთ, ბატონო, ქათამს რა უნდა ლოგინში!

მამასახლისი

ძალიან კარგი, ძალიან...

ბოქაული სიამის ტყუპებთან მივარდება, დათას სულ თვალებით ჭამს: – შენ თუ არ ჩაგაგდებ გარეულ ცხოველებში, იმასაც ნახავ შენ!.. დაიცა, დაიცა... ჩამოვიაროთ... (აღშფოთებისგან სუნთქვა ეკვრის) შენ ნახავ, ნახავ... (ბეჭდიან კაცს) ახლავე შეიტანე შავ სიაში! თავის ძმიანად! ახლავე! ორივე!

მამასახლისი ბაიბურში არაა, მიაბიჯებს.

საშიკო

(თავზარდაცემულია) კი მაგრამ, მე რა დავაშავე... მე რატომ უნდა გადავყვე მაგას!..

ბეჭდიანი კაცი

შენი ბრალია მაგისი არასწორად აღზრდა.

საშიკო

მე როგორ გამეზარდა, ბატონო... ტოლები ვაართ და... ჩემსავით მაგას არავინ სძულს...

ბეჭდიანი კაცი

მით უმეტეს...

საშიკო

რა მით უმეტეს... თქვენს მტერს მე თუ ვძულვარ, მე უნდა დამაწინაუროთ მაშინ!

ბეჭდიანი კაცი

დაგაწინაურებთ, კი, კი... შავ სიაშიც შეგიტან და, მგლის ბილეთსაც გამოგიწერ. (შავყდიან, ძალიან დიდ რვეულს გადაშლის) ერთხანს გაბრუებული საშიკო ისე ჯიქურ გაექანება მამასახლისისაკენ, ახლა დათას გადაუვარდება გვერდზე თავი, შებარბაცებული ნაბიჯით უნებურად მისდევს.

საშიკო

თქვენი ჭირიმე, ერთი მითხარით, ხომ კაი ბიჭი ვარ მე?

მამასახლისი

ძალიან კარგი, ძალიან...

საშიკო ბეჭდიან კაცს გახარებული გამოხედავს; ისევ მამასახლისს ეკითხება: – მე და ჩემი დამთხვეული ძმა რომ არ შეგვიტანონ შავ სიაში, და არ გამოგვიწერონ მგლის ბილეთი, ხომ ძალიან კარგი იქნება?

მამასახლისი

ძალიან კარგი, ძალიან...

გახარებული საშიკო დათას ისევ ბეჭდიანთან წააბორძიკებს:

– გაიგე, ხომ? მამასახლისის სიტყვას გადახვალ? ხალხია მოწამე, ისე კი არაა ის... ხალხს ანგარიში უნდა გაუწიოთ ყოველთვის... ხალხი ხალხია მაინც, რაც არ უნდა იყოს.

ნირწამხდარი ბეჭდიანი შავ რვეულს ხურავს.

ხალხი ისევ მიაცილებს მამასახლისს, განსაკუთრებით ერასტი აქტიურობს: – აუჰ– ძვირფასად, ჩემო ბატონო, ძვირფასად, კარგად...

მამასახლისი ხელს ოდნავ ასწევს, უღიმღამოდ დაიქნევს და ამ ნიშანზე ტრიო „ ჩემო ტკბილო მეგობარო “-ს დასცხებს. მესალამურე დიდის მონდომებით ახუჭუჭებს მელოდიას, ტუბებს ბუყბუყა რიტმი გამოჰყავთ. ხალხი ჯგროდ მისდევს.

გადიან, მუსიკის ხმა იკარგება.

ერასტი

(ჯერ მოხიბლული გაჰყურებს გასულთ, მერე სახე ეჭმუხნება) შეგირცხვათ ნამუსი! არ იციან ვითომ, რა დღეშიცა ვართ... ხოხო, რა მიამიტებია, ბიჭო?! საწყლები... არ გადამქანცეს კაცი? (ურიკაში ჯდება, ხელთათმანებს იცვამს).

ხალხი თავ-თავიანთ საქმეს უბრუნდება.

სიამის ტყუპები მერხის წინ გამოდიან.

საშიკო

შენ, ბოლოს და ბოლოს, აღარ მომეშვები?

დათა

რა მჭირს შენი მოსაშვები!.. იი, ვინ არ გეშვება, რომ არ გეშვება!

საშიკო

ვინ და შენ! შენი გულისათვის რატომ უნდა ვიყო მე შავი სიის კანდიდატი! რას გადამეკიდე ბოლოს და ბოლოს!

დათა

შენ თვითონ რას გადამეკიდე! დავიბადე თუ არა, რომ ამეკიდე ტკიპასავით!

საშიკო

ვინაა შენი ტკიპა!

დათა

ვინ და შენ! შენი გულისათვის ვეღარ ვთქვა სიმართლე?

საშიკო

სიმართლე არ ხარ შენ, პირიქითი ხარ, მაგრამ კეთილი ყოველთვის იმარჯვებს!

დათა

ისეთურიც მინახავს აღრიალებული ბევრი, ნუ გეშინია შენ.

საშიკო

ბოროტი ხარ შენ!

დათა

სულელის ხმა მესმის!

რამდენადაც ეს შეუძლიათ, ერთმანეთისაკენ იწევენ მონარდეების გარდა, ყველანი ერთმანეთს მიცვივდებიან.

ერასტი

აუჰ! რა გააშველებს ამათ...

საშიკო

არაა ეს ჩემი ძმა! გაუგებრობას აქვს ადგილი! (მუშტს მოიქნევს და მუცელში ჩააჭედებს, მაგრამ თვითონვე მოიკაკვება, სუნთქვა შეეკვრება) უჰ-უჰ, არ მომკლა?! არ მომკლა კაცი?! მერხზე სხდებიან, კეფას შეაქცევენ ერთმანეთს.

დამაშოშმინებელი

(შემოდის) ასე არა სჯობია? ვიყოთ ჩვენთვის ტკბილად, კეთილად, წყნარად... (ხალხში მიდი-მოდის) დაწყნარდით, დამშვიდდით... ხომ იცით პატარა ხანში ისევ ჩამოივლიან... კვარტალის ბოლოა... მერე ერთი კაი სამი თვე ვიქნებით შედარებით კარგად... დაწყნარდით, დამშვიდდით...

ერასტი

ჩამოივლიან თორემ... ეგენი მე არ მეხატებოდნენ გულზე! (მიმოიხედავს) რა იყო მაინც, როგორ დაითაფლეთ ენა... სულ ბულბულ-იადონები არ მყოლია სოფელში?

არქიფო

(ეტყობა, წააგო, რადგან ბიქტორი მის ბოხოხს თავის ქუდზე იხურავს) ყველაზე უფრო შენ არ ეგებოდი ფეხქვეშ?

ბიქტორი

ფიანდაზივითო, რომ იტყვიან...

ერასტი

ვინ, მე? გამაგიჟებს ეს ხალხი... შენ არ იყავი, კარგად ვარ, ძვირფასადო. (მანჭვა-გრეხით აჯავრებს სხვასა და სხვას) მშვენიერადო... ეე... გადასარევადო... ეეე... აუჰ. (უცებ სიცილი აუტყდება) ის ვინ თქვა, ის, სტამბოლის კაჟივითო? (გადაფიჩინდება, სულს ძლივს ითქვამს) რომელმა თქვით, გამოტყდით ახლავე... უი, დავიხრჩვი, დედა... სტამბოლის კაჟივითო... (სხვებიც აჰყვებიან სიცილში) შენ თქვი, ბიქტორ?

ბიქტორი

ვითომ მაგ სიტყვებს მე რატომ ვიტყოდი...

ერასტი

აბა ვინ, შენ, ვამიჩეიშვილო?

ვამიჩეიშვილი

მეტი საქმე არ მქონდა.

ერასტი

აბა, გამოდის რომ... (მიმოიხედავს) დათას უთქვამს.

დათა ერასტის მხოლოდ ათვალწუნებული გამოხედვის ღირსად ჩათვლის.

ერასტი

აუჰ, რამდენი ვიცინე, კაცო... (ძლივს შოშმინდება) სტამბოლის კაჟივითო, ა?! კინაღამ არ დავიხრჩვი ვაჟკაცი კაცი?.. უჰ! (მიმოიხედავს) ერთი, გენაცვალე, ჩემო გოგო, წყალი დამალევინე ერთი...

აგნესა

ეს მე მეუბნებით?

ერასტი

აბა!.. კაცო, სახელი მთლიანად გადამავიწყდა შენი...

აგნესა

აგნესა.

ერასტი

უი, ჰო, ჰო... მართალია. ერთი წყალი მომირბენინე, შენს გახარებას, გენაცვალე გაზრდა-გათხოვებაში...

შემოდის ახალტანსაცმლოვანი კოკილო.

სერგია თვალებდაყვლეპილი მიჩერებია აგნესას, მის ყოველ მოძრაობას აღტაცებულ-გაბრუებულ მზერას ადევნებს.

ერასტი

დიდი მადლობა. (ჭიქას გამოცლის, ახედ-დახედავს) ისე, შვილები ბევრი ჰყავხართ ალბათ დედაშენ-მამაშენს, ჩემო აგნესა.

აგნესა

რატომ, ვითომ?

ერასტი

რომ დაგარქვეს ასეთი სახელი. (ხითხითებს).

აგნესა

(აქამდეც, მიხრა-მოხრაში, დიდი კაპარჩხალობა ეტყობოდა, ახლა კი ძალიან გაწკვიტინდება, ქუსლს კაპასად დააბაკუნებს) არ გავიგო მე! ვისაა რომ იგდებ მასხრად ვის! ა!! ვინაა შენი ბევრი!!!

ძალიან გრძელი ფრჩხილებით ცდილობს ერასტის სახეზე სწვდეს, აკავებენ, ამშვიდებენ, დამაშოშმინებელი გარბის სიტყვებით: „ ხომ გეუბნებოდით... აკი გაფრთხილებდით... ხომ გეუბნებოდით... “ დიდი აყალმაყალია, შემცბარი ერასტი ურიკიანა ნელ-ნელა უკან იხევს; მხოლოდ მონარდეები განაგრძობენ თამაშს. ვერიკო დიდად აღგზნებულია, მირბი-მორბის, ხან აგნესას ამშვიდებს: „ კაი ახლა, ჩემო გოგო, კაი, გეხუმრა ადამიანი, რა მოხდა, დაწყნარდი, მაკოცე აბა ლოყაზე... “

ერასტისთან მიიჭრება, თბილად საყვედურობს: „ რამ გათქმევინა, შე კაი დედ-მამის შვილო, არ იცი ვითომ, ერასტი გიჟი და გადარეული რომაა... “ შეამჩნევს მცირედ დაშოშმინებული აგნესას ეჭვიან მზერას, ძალიან ხმამაღლა ამბობს: „ ნერვიული რომაა ეს ანგელოზივით გოგო? “

ერასტი

(დიდად შეშფოთებულია) რა ვიცოდი, თორემ, ვინ ოხერი... ვინ ოხერ-ტიალი, ჩემო ვერიკო...

აგნესა

ბოდიში მომიხადოს! მიმიშვით!

ერასტი

(ურიკიდან წამოხტება) სრული ბოდიში, ქალბატონო აგნესა.

აგნესა

აღარ ახსენო ჩემი სახელი!

ერასტი

სრულიად ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო.

აგნესა

ასე!

ძალიან მოულოდნელად ჩაწყნარდებიან. თავ-თავიანთ საქმეს უბრუნდებიან. გლეხი სიმინდებს წამოაყენებს, კოკილო შეუდგება ახალი რკინებიანი ტანსაცმლის დემონსტრირებას. აგნესა დაბალ ხმაზე ღიღინებს. გატაცებით კითხულობს შალვა, სვიმონი ხმალს პირს უსინჯავს. ქვაბებს დასტრიალებენ ქალები.

დათა

(ჩაიბუზღუნებს) რა შტერებია, ბიჭო?

საშიკო

(მკვეთრად მიუბრუნდება) რატომ, ვითომ?

დათა

(ისევ თავისთვის დუდღუნებს) აბა, სახელის გამო ღირდა ამდენი აყალ-მაყალი?

საშიკო

რატომ... (შეფიქრიანდება და, თავის სიმართლეში დარწმუნებული, მტკიცედ ამბობს) მნიშვნელობა აქვს სახელს.

დათა

მნიშვნელობა კი არა... მე თუ მკითხავ, სულერთია, რა ერქმევა ადამიანს.

საშიკო

რატომ...

დათა

ბოლოს მოკვდება მაინც.

შემოდის დამაშოშმინებელი, სრულიად დამშვიდებულ ხალხში მიმოდის: – დაწყნარდით, დამშვიდდით... თქვენ თუ არ გაუფრთხილდებით თქვენ თავს, სხვა კი არ გაგიფრთხილდებათ... აბა?! დაწყნარდით, დამშვიდდით...

სერგია

(მონარდეებს მიუახლოვდება) ბიქტორ ბიძია, მასესხე რა იქნება ორი აბაზი.

ბიქტორი

გადაიკარგე იქით.

შემოდის გაფაციცებული მონადირე, გამწარებული დაეძებს რაღაცას.

სვიმონ

არიან წალკოტნი და სავარდენი, მთანი და ველნი შროშნითა ფშვიან; ტყეთა, მთათა და ველთა შინა მრავალ არიან მშუელნი, ირემნი, დათვნი, ეშვნი, მგელნი და წვრილნი ნადირნი, (მონადირე პირდაღებული მიჩერებია) პირუტყვნი მრავალნი და ნადირი მრავლად, მხოლოდ აქლემი არა არს აქა. ფრინველნი ურიცხვნი, ჩიტნი და სირნი უამრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მიმდინარენი. წყარონი ტკბილნი, მშუენნი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წურილნი.

მონადირე სცენიდან გავარდება.

სერგია

რა დიდი ამბავი იქნება, რო მასესხო, ბიქტორ ბიძია, ორი აბაზი?

ბიქტორი

აბა ერთი ჩარი, კამათელო.

ერასტი

(გახვითქულია, მიმოიხედავს) შალვა! მოდი ერთი, ჩემო შალვა, აქ...

შალვა

რა გნებავს, გეთაყვა...

ერასტი

მათხოვე ერთი ეგ შენი წიგნი... გადავხედავ, გადმოვხედავ... გადავაყოლებ პატარას გულს.

შალვა

ა, გენაცვალე, ერასტი! ვიცოდი, შენ მაინც რომ დამიჯერებდი... გენაცვალე!

ერასტი

მერე შენ უწიგნოდ დარჩები?

შალვა

მე ახლავე წავალ შინ და მეორეს მოვიტან, ჩემთვის... არ მაქვს თუ რა...

ერასტი

კი გენაცვალე, წადი.

გახარებული შალვა სცენიდან გადის, ხოლო ერასტი წიგნით სახეს ინიავებს. შემოდის ჩონგურიანი მომღერალი. არავის არ ესალმება, სცენის შუაგულში დადგება. არსებობს ასეთი ხმა – ქართული ხალხური ტენორი. სწორედ ამ ხმაზე ყოველნაირი შესავლის გარეშე ძალიან ხმამაღლა დაამღერებს:

რობინზონ კრუზოო შაიბნეეენ,

მიიწას გააჰქონდა გრიალიიი,

როობინზონმა კრუზო დასცააა,

დააწყებინააა (ხმას შთამაგონებლად დაუწევს)

ღრიალიიი...

ხალხი, ერასტისა და დათას გარდა, რომლებიც ხელს ჩაიქნევენ, დიდად კმაყოფილია: – ოო, შენ გაიხარე, შენი ტკბილი ხმით... შენ რომ არ ჩამოგვივლიდე ხანდისხანობით, რა გვეშველებოდა... შენი ოჯახი აშენდა... შენ გაიხარე, როგორც ჩვენ გაგვახარე.

დიდად კმაყოფილი მომღერალი ამაყად გადის.

ერასტი

(მოწყენილია; გაახსენდება) შენ კი შეგირცხვა, სერგია, ნამუსი!.. იმ კაი ღვინის მაგივრად, კინაღამ არ გადავყევი ამ ერთ ჭიქა წყალს?!. (აღშფოთდება) ამ ორი ყლუპი ჭის წყლის გულისთვის კიღამ არ ამომპორჭყნეს თვალები? შენ შეგირცხვა... (ძალიან მოულოდნელად გამოიცვლება, წინ გამოგორდება, მიიხედავს) მოდი, ბიჭო, ერთი აქ შენ!.. გადმოიხარე... (საიდუმლოდ, ყურში) მართლა გიყვარს, ბიჭო, ის გოგო?

სერგია

(ჯერ სწრაფად გაიმართება, კვლავ დაიხრება, საიდუმლოდ ეკითხება, ყურში) – ვინ, ერასტი?

შორეულ მხარეს ნარდის მოთამაშე არქიფო: – ვინ და, აგნესა. (თამაშს ისე განაგრძობს, გინდაც არაფერი ეთქვას).

ერასტი

(ჩურჩულით) აგნესა.

სერგია

(ჩურჩულით) კი.

აგნესა

(შორეულ კუთხეში ჩაილაპარაკებს), მეტი არაა ჩემი მტერი, მე არ გამოგყვე შენ... გაგისკდა მიწა. (დაიღიღინებს).

სცენის სიღრმეში ბესარიონი ისევ იწყებს მითითებების გაცემას; ცოლი ხურჯინის შევსებას შეუდგება.

ერასტი

რით მოგხიბლა მაინც?

საშიკო

რატომ არ უნდა მოეხიბლა რა – ტანი კარგი აქვს და ფეხი.

დათა

ისემც დაგიმშვენდათ თქვენ ყველას ცხვირი...

სერგია

მიყვარს, ერასტი ბიძია და, რა ვქნა...

ერასტი

ძალიან?

სერგია

(გულამოფსკვნილი) ძლიერ.

ერასტი

(წამოხტება, ხელთათმანებს წაიძრობს და მაღლა აღაპყრობს ხელებს) დაილოცა ღმერთო, შენი სამართალი... (მერე სერგიას მიაშვერს ხელებს) ამისთანასაც რომ მიეცი რაღაცა ტანჯვა-განცდები... მაინც რანი ვართ ისე, ა? (დაფიქრდება... და გაახსენდება) რატომ გამიქციე ის პურმარილგოჭქათამღვინიანი კაცი! რა ვაკეთო დღეს!

დათა

რაც არ უნდა აკეთო, ბოლოს მოკვდები მაინც... ხოლო ალკოჰოლი აჩქარებს.

ერასტი

რა ვაკეთო... ა...

შალვა

(ისარგებლებს მისი დაღვრემილობით, მიუახლოვდება) აგერ, ერასტი, ეს მეორე წიგნიც წაიკითხე მაგას რომ მორჩები... ესეც, მაგის არ იყოს, თავიდან არც ისე

ძლიერად იწყება, მაგრამ, მერე და მერე, თანდათანობით, აუჰ, ისე წერს, ოხერი, გაგიკვირდება ნამდვილად. ამბები აქვს ისეთი, პასაჟი, ეპითეტი, რამე...

ერასტი

(ერთხანს გაოცებული შეჰყურებდა, მაგრამ გამოერკვა და იფეთქებს) გად-დაიკარგე იქით! კიდევ მე არ მომადგა მაინცდამაინც? აგერ, წაათრიე ეს წიგნიც, ვისაც გინდა, იმას მიაშავე! თვალები უნდა ამომიღამო? არ ამომიღო მიზანში? არ მომაყარა ჭურვებივით? შენ ხარ, ბოლოს და ბოლოს, ომში ნამყოფი თუ ის შტერი... (მიიხედავს) აუჰ! მოდის თავიდან ცოლხურჯინიანად და, სერგია, იცოდეე, კიდევ რომ ამოიღო ხმა... მომეცი ერთი, სვიმონ, ეგ შენი ხრმალი! (ურიკიდან წამოიწევს).

სერგია

კრინტს აღარ დავძრავ, კრინტს, ერასტი ბიძია.

ერასტი

კარგი. (ჯდება) ჩააგე, თუ კაცი ხარ, სვიმონ, ეგ შენი ხმალი.

ახლოვდებიან ბესარიონი და მისი დატვირთული ცოლი. ბესარიონს ვითომ ამაყად უჭირავს თავი, მაგრამ აშკარად ღელავს.

ერასტი

ოო, ბესარიონ, ჩემო, სად დაიკარგე, სად ხარ, რამდენი წელი, რამდენი თვე... მოდი, შე კაცო, მოგვიახლოვდი კარგად. რაა, რომ აღარ გვეკარები სათოფეზე... (ბესარიონი ყურებს ცქვეტს და ერასტი შეცბება) ეე... მოდი გვიამბე რა, რა იქნება, რამე... აჰ, რაც შენ გადაგხდენია თავს... რაიმე ამაღელვებელს თუ არ გამოგვირევ ცხოვრებაში, აქვს ისე რაიმე აზრი?

ბესარიონი

(მცირე ჭოჭმანის შემდეგ) აბა, ამბის მოყოლას მირჩევ, ერასტი? გაშალე ქალო სუფრა.

ცოლი ისევ შეუდგება მითითებების აღსრულებას, სოფლელები უახლოვდებიან. ნარდის თამაში შეწყდება. ვიღაცა სიმინდს წააქცევს. გლეხი ასწორებს.

ერასტი

ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან. დაწიე დაბლა ყური... (ფრიად საიდუმლოდ) არ გინდა ეს შვიდი და ჩვიდმეტი კაცი, ორ-სამზე გვიამბე ჯერ, გაგვაჩვიე, გამოგვაჩვიე...

ვამიჩეიშვილი

(თუმცა მოშორებით, კოკილოსთან დგას) კი, კი, ორ-სამ კაცზე აჯობებს ნამდვილად...

ვერიკო

(ისიც შორსაა) აბა შვიდის მორევა რა საკადრისია...

ბესარიონი

კარგი აბა, ერასტი, მაშინ მხოლოდ ერთ მოწინააღმდეგეზე გიამბობ, მაგრამ... (ყურში) მაგარი ვაჟკაცი უნდა იყოს ძალიან.

ვამიჩეიშვილი

(მაინც საქმის კურსშია) აბა ერთი გლახაკის მორევას რა უნდა...

სვიმონ

ჰაი დედასა! შვიდნი რომ რაღაცად მიაჩნიათ?!

ერასტი

კი ბატონო, მიდი! (სერგიას თავს დაახრევინებს და პირზე ხელისგულს მაგრად მიაჭერს).

ბესარიონი

ამოიღე, ქალო, შოთი პურები... ჰოდა, მივდივარ მოწინააღმდეგის ტყეში. ამოიღე, ქალო, მოხარშული დედალი, მივდივარ მტრის ზურგში და მხოლოდ ერთი, ხომ გესმით, ერთადერთი კინკილა კაცი მოდის, ვხედავ, მაგრამ რა მოდის - ა - ულვაში, ა - წვერი, აა - ბეჭები. (სიამის ტყუპებისკენ გაიშვერს ხელს) ამათზე ფართო ბეჭები ჰქონდა, მაგრამ ხერხები ვიცოდი, ბატონო, საღსალამათი კაცი ჩანს ძალიან, ამოიღე ქალო ღვინო, გადავწიე ტოტები.

ვამიჩეიშვილი

სად მოხდა, ბესარიონ, ეგ ამბავი?

ერასტი

ნუ აწყვეტინებთ...

ბესარიონი

მტრის მიერ კუთვნილ ტერიტორიაზე ტყეში...

ვამიჩეიშვილი

ვერ იტყვი უფრო ზუსტად?

ერასტი

ნუ, ნუ აწყვეტინებთ...

ბესარიონი

(მცირედ გაღიზიანებულია) ეფ მესამე კვადრატი იყო, თუ გაინტერესებს მაინცდამაინც.

ვამიჩეიშვილი

რომელი მესამე კვანდრატი იყო?

ბესარიონი

ეფ!

ვამიჩეიშვილი

იფ!

ბესარიონი

აშალე ქალო სუფრა! აალაგე ეს!.. ჩააწყვე ჩქარა ის!..

ერასტი

(შეშფოთებული, ურიკიდან წამოხტება) რა იყო, ჩემო ბესარიონ, რამ გაგაბრაზა, სიყვარულით თქვა; იფ-იფო, რომ იტყვიან, აღტაცებას ნიშნავს და გინდაც არ ნიშნავდეს, იმ რაღაცა კვანდრატის ნაცვლად რატომ ბრაზდები შენ? (ვამიჩეიშვილს, ხმადაბლა) შენ გაგიხმა ენა...

ბესარიონი. არ მინდა მე თქვენი შექება, ამბის დამთავრებამდე... (ლმობიერად) ნუღარ აშლი, ქალო, სუფრას... ჰოდა, მოდის, მაგრამ რა მოდის – გავხედავ ასე (თავს გადახრის) – ვაჟკაცია არნახულად დიდებული და ძლიერი... გამოვხედავ ასე (სხვა პოზა) – უკეთესია უფრო, როგორც აქედან და ჩემი ჭიშკარი... მეც მაგარი ვიყავი მაშინ, ცერი არ მეტეოდა ქამარში.

ვამიჩეიშვილი

როგორი იყავი?

ერასტი სერგიას ხელს უშვებს და ვამიჩეიშვილისკენ გაეშურება.

ბესარიონი

(ცოტათი გაუბედავად) მაგარი.

სერგია

(უშნოდ გაიკრიჭება) მაგარი ახლაც ხარ შენ... ოფოფების აფრენაში!

ბესარიონი

რააო?.. აუიტჰ! ეცი ახლა ამათ პატივი! აშალე, ქალო, სუფრა! აშალე-მეთქი, რომ გეუბნებიან! შენგან მჭირს რომ იცოდე, ყველაფერი, ჩადე ახლავე გოჭი!.. არ ამოგიღია ჯერ? არც იყო საჭირო, ჩადე ეგ დედალი! ასე! მიაყოლე შოთი პურები, დაკეცე ახლა სუფრა! მაგრად დაკეცე, რვად!.. ასე!

ერასტი

კარგი ახლა, ბესარიონ, უმეტესობამ რა დავაშავეთ.

ბესარიონი

თუთ! ყველანი ერთი ხართ თქვენ! ყველანი, კი! რისი ღირსი ხართ მაინც! არ გინდათ - ნუ გინდათ! ვინც წააგებს, იმასაც ვნახავთ! (ხურჯინაკიდებულ-ცოლიანად სკივრისკენ მიდის).

ერასტი

მათხოვე ერთი ეგ ხმალი, სვიმონ! (ხმალს ამოაცლის და ურიკიანა დაედევნება სერგიას, სიმინდს წააქცევს, გლეხი გაასწორებს) არ შემომაკვდეს მართლა... (ხმალს გააგდებს, წამოხტება და სცენიდან გავარდნილ სერგიას გასდევს).

სვიმონი ხმალს აიღებს, დააცქერდება, ქარქაშში ჩააგებს, დაფიქრებული, ბოლთას სცემს.

ვერიკო

ისე კია, ჩვენი სერგია პირში მთქმელი.

აგნესა

მაგას არ გავყვე, მეტი არაა ჩემი მტერი.

დამაშოშმინებელი

კაი ახლა, დაწყნარდით, დამშვიდდით... სიმშვიდე წამალია ადამიანის ჯანმრთელობისათვის... (ამას მონარდეებს ეუბნება, რომლებიც ისედაც ძალიან მშვიდად, საქმიანად თამაშობენ).

ვერიკო

არა, ცოლად გაყევიო, ვინ გითხრა.

აგნესა

(მსწრაფლ გაკაპასდება) აბა, საყვარლად დავუჯდე, ხომ? ხასად ხომ, ხასად? ვის მიქებ, რომ მიქებ თუ იცი! რატომ მიქებ, ა! მაჭანკალი, მაჭანკალი!

ვერიკო

ვინაა შენი მაჭანკალი! უყურეთ ამას! რომელი მაჭანკალი წავა შენისთანა უპერე... უპერსე... (შალვას წიგნში ჩახედავს) უპერსპექტივო საქმეზე! მიმიშვით...

აშველებენ, სიმინდი წაიქცევა, დამაშოშმინებელი გარბის.

აქოშინებული ერასტის სიტყვებზე შემობრუნდებიან.

ერასტი

მოვკლავ, მოვკლავ, მაგ... მაგ... (ურიკაში ჩაეშვება, სულს ძლივს ითქვამს, მერე შეფიქრიანდება) ისე, რომ შეჩერებულიყო მართლა, სად მივდიოდი?! სულელებს ღონე აქვთ ბევრი... შალვა, მათხოვე ერთ წამს ეგ შენი წიგნი. (ღონემიხდილი ინიავებს

წიგნით სახეს, ცოტათი ძალა მიეცემა; ვამიჩეიშვილს) ისე, შენც კაი ხვითო ხარ, რომ იცოდე...

ვამიჩეიშვილი

აბა, რატომ უნდა დავისვათ თავზე. მაგის ტყუილები რომ არ ვისმინოთ, ჩვენ არ გვაქვს ვითომ ჩვენ-ჩვენი პურ-მარილი?

ბიქტორი

სწორია ეს კაცი.

ერასტი

აშალეთ აბა ნარდი! არ დავინახო აზარტული თამაშები! ა შალვა, შენ, შენი წიგნი, რა ჯანდაბად მინდა... მოსწით ეს მაგიდა. ასე! აბა, დაიქსაქსეთ ახლა და თქვენ-თქვენი პურმარილიანად მოიქსაქსეთ ისევ!

დიდი სამზადისია, ზოგს რა მოაქვს, ზოგს რა. ერასტი ურიკიანად სუფრას უვლის, მითითებებს იძლევა, მშვენიერ ხასიათზეა. შემოდის სერგია, განაპირას შეჩერდება, იკრიჭება.

ერასტი

აუიიჰ და... თათ!! (უცებ მოლბება) მოდი, სერგია, მოდი, გენაცვალე, შენც... რაც არ უნდა იყოს, ჩვენიანი ხარ მაინც, ჩვენი ჰაერით სუნთქავ... გაკოცო, მოდი! (გადაკოცნის და უცებ კივილის ხმაზე შეკრთებიან - ვერიკოს მაღლა აწეული თეფშით შემწვარი ქათამი მოჰქონდა, შემოტორღიალებულ მონადირეს კი ქათმისკენ დაუმიზნებია თოფი. ვერიკო ქათმიან თეფშს სასწრაფოდ გააგდებს, მონადირეს შემოეხვევიან, ანამუსებენ; ისიც დარცხვენილი დგას).

შალვა

ასეთი რა მოხდა, თქვე კაი ხალხო, ვილჰელმ ტელი არ წაგიკითხავთ?

შოშმინდებიან.

ერასტი

(მონადირეს) დაჯექი შე კაცო, ჩვენთან რომ დაიძურწები ეს ვაჟკაცი კაცი ტყეში და ღრეში. (ჩაიცინებს) ისე, კიდევ კარგი, ორნი რომ არ გვყავხართ მონადირეები...

მონადირე

რატომ.

ერასტი

ერთმანეთს დახოცავდით ნამდვილად. დაჯექი, შე კაცო.

მონადირე

არა, არა, საქმე მაქვს. (გადის).

ერასტი

(მიაძახებს) ნანადირევის მოტანა არ დაგავიწყდეს!

(ჩაიფხუკუნებს).

სუფრა გაწყობილია, მაგრამ მაგიდის თავში მჯდარ ერასტის ერთი რამ არ სიამოვნებს – მაგიდას ცალი ფეხი აშკარად მოკლე აქვს და, როცა დაეყრდნობა, ყანყალებს. ერასტი შეფიქრიანებულია, მაგიდას რამდენჯერმე ამოწმებს, უკმაყოფილოა, მიმოიხედავს და სახე გაეგადრება.

ერასტი

მოდი აქ, გენაცვალე, შალიკო, მოდი, ჭირიმე შენი...

შალვა

(ოდნავ ცივად) გისმენ, ბატონო.

ერასტი

კაცო, ახლა, ხვალ რომ გავიღვიძებ, ნამთვრალევზე, რისი თავი მექნება, ყანაში მე ვერ გავალ და ვერაფერი და, ვიწვები მაინც ლოგინში და მათხოვე ერთი თუ კაცი ხარ ეგ შენი წიგნი, გადავშლი, გადმოვშლი, წავიკითხავ ნება-ნება.

შალვა

უჰ, შენ გენაცვალე ერასტი! კაცი ხარ კაცური... როგორ გამახარე! არავინ მყავს აზრის გამზიარებელი და... ვიმუსაიფოთ მერე ამ წიგნის ექსპოზიციის ირგვლივ...

ერასტი

მადლობთ, ჩემო შალვა, მადლობთ, ვიმუსაიფოთ მერე, აბა რა, აი აქ, გულის უბეში შევინახავ... ერთი, თუ კაცი ხარ, ის ყანწი მომიტანე, გამოავლე ოღონდ წყალი.

შალვას როგორც კი გაიგულებს, სწრაფად დაიხრება და წიგნს მაგიდის ფეხს შეუდგამს. მაგიდა მაინც ყანყალებს. სწრაფად გამოიღებს წიგნს, ისევ უბეში ინახავს, შალვას ყანწს ჩამოართმევს.

ერასტი

ისე კი, რომ ვთქვათ, რა არი, შე კაცო, მთელი დღე უნდა ვიწვე და ხუთი წუთის წასაკითხავ ბროშუას მაძლევ? ეს წაიღე და ეგ, ეგ მომეცი, სქელი...

შალვა

ა, გენაცვალე!

ერასტი

გულის უბეში შევინახავ ამასაც... ერთი. შალვა ჩემო, ეს ბოლოკი ბიქტორს მიუტანე ჩემგან, გოჭს გაუკვეხოს დრუნჩში, თორემ ისე არაა ლამაზი სუფრა.

შალვა

კი გენაცვალე!

ერასტი ამჯერად კარგად გამოიყენებს სქელ წიგნს.

შემოდის მომღერალი, სცენის შუაში გაჩერდება, დასცხებს:

ოოლივერ ტვისტი შააიბნეეენ,

მიიწას გაჰქონდა გრიალიიი,

ოლივერმა ტვისტი დასცაა,

დააწყებინა... (ხმას შთამაგონებლად დაუწევს)

ღრიალიიი...

ვამიჩეიშვილი

ოოო, რა კარგი იყო, რა კარგი... ყოჩაღი, ვაჟკაცური.

ბიქტორი

ა ძმაო, ნიჭი და მოედანი.

გაამაყებული მომღერალი წასვლას აპირებს.

ერასტი

ერთი, გენაცვალე, დაბრძანდი, რა იქნება ჩვენთან...

მომღერალი

აჰ, არა, არა, ვარჯიშზე მეჩქარება...

ერასტი

რა ვარჯიშია...

მომღერალი

სიმღერის.

დამაშოშმინებელი

(მიუახლოვდებათ) დამშვიდდით ახლა, დაწყნარდით... რად გინდათ ქიშპი...

ერასტი

სად ვარჯიშობ, ჭირიმე...

მომღერალი

სად და, ხალხის საიდუმლოდ ტყეში.

ვამიჩეიშვილი

იმ შეჩვენებულმა არ დაახალოს ტყვია.

ერასტი

რატომ ვარჯიშობ საიდუმლოდ?

მომღერალი

სხვამ რომ არ გადაიღოს ჩემი მუშაობის მეთოდი.

ერასტი

აა, დაგვილიე, აბა, ერთი ჭიქა...

მომღერალი

აჰ, არა, არა...

ერასტი

რატომ, შე კაცო...

მომღერალი

არ უხდება ყელს.

ერასტი

რატომ, შე კაცო...

მომღერალი

ფხაჭნის.

ერასტი

კაი აბა, შენ შენს ყელს ნუ გაიფუჭებ და...

შალვა

ბიქტორმა გოჭი არ გვაქვსო და, რა ვუყო ამ ბოლოკს.

ერასტი

აგერ დადე სუფრაზე, ცოტათი იქით, იქით, კიდევ, ოოო, მასე.

არქიფო

ისე, გამოიარე ხოლმე, რა იქნება, ხშირად... ხომ იცი, როგორ გვიყვარს სიმღერა.

მომღერალი

(ამაყად) კი, კი, ვეცდები. (მიდის).

საშიკო

(თვალს გააყოლებს) რა კარგია, ასეთი ბაჯაღლო ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი რომ გამოერევა იშვიათად ხანდახან ჩვენში.

დათა

რითია ნიჭიერი... ძაღლყურძენანაჭამივით რომ ღრიალებს?

საშიკო

შენი მოსაწონი... (ბრაზდება) შენ ხარ სწორედ ძაღლყურძენანაჭამი, ცოფებს რომ ყრი ყველაფერზე!

დათა

ვინ, მე?

საშიკო

დიახ, ბატონო, თქვენ!

დათა

კი, კი... აბა შენსავით სულელი გინდა ვიყო?

საშიკო

ვინაა შენი სულელი!

დათა

ვინ და შენ! რას გადამეკიდე, ბოლოს და ბოლოს!

საშიკო

შენ თვითონ რას გადამეკიდე! თავმოყვარეობა არ გაქვს? მიმიშვით!

ერასტი

არიქათ, ხალხო, არ დასცხონ ერთმანეთს... თორემ ამათი გაშველება არ გინდა?

მიესევიან, დამაშოშმინებელი გარბის: ხო ვამბობდი!.. აკი გაფრთხილებდით!.. რატომ არ დამიჯერეთ!..

ერასტი

მობრძანდით, გენაცვალე, სუფრასთან... ახლა რაღა დროს ჩხუბია, სიამის ტყუპები ხართ და სიამტკბილობაში უნდა იყოთ სულ.

დათა

არ მინდა მე თქვენი სუფრა!

ერასტი

რატომ გენაცვალე? ჩვენიანები ხართ, რაც არ უნდა იყოს... კაი გოჭია აგერ, ქათამი, პრასი, ინდაური...

დათა

მაშინ მაგან არ დალიოს.

ერასტი

რატომ, ოქრო...

დათა

ეგ რომ სვამს, მე ვთვრები.

ერასტი

შენც დალიე, გენაცვალე და, შეეჯიბრებით ერთმანეთს ტკბილად და კოხტად... რომელი რომელს დაათრობთ, არ გაინტერესებთ?

სუფრას მიუსხდებიან.

ერასტი

(ყანწს ასწევს) გაუმარჯოს ეს...

აქ სუფრასთან მსხდომთა ხმა იკარგება. რაღაცეებს ლაპარაკობენ, იცინიან, ყანწს ესვრიან ერთმანეთს, მაგრამ არაფერი ისმის – შემოდიან ზურგჩანთებით დატვირთულები გოგი, ევროპულ ყაიდაზე გამოწყობილი უნივერსალი და მისი ასისტენტი ქალი, რომელსაც ძალიან მოკლე კაბა აცვია, და საერთოდაც, ძალიან შილიფადაა ჩაცმული. სუფრასთან მსხდომთა ჟესტიკულაცია გრძელდება, მაგრამ მთელი ყურადღება შემოსულებზე გადადის, რომლებიც შემაღლებულზე ავლენ და მოქეიფეებს დააცქერდებიან.

უნივერსალი

ესენი არიან?

გოგი

დიახ, ესენი... ჩემი ხალხია.

უნივერსალი

ძაალიან კარგი. (საზოგადოებას ათვალიერებს) მაშ, როგორც ამბობ, მართლა ძალიან ძნელი ხალხია?

გოგი

ძალიან... დიახ.

უნივერსალი

(ხალხს თვალს არ აშორებს, ისე გაიშვერს განზე ხელს, ასისტენტი ხელისგულზე ჭოგრიტს დაუდებს; უნივერსალი ჭოგრიტით იმზირება) აბა როგორ გითხრა, გოგი, თითქოს არაფრით არიან გამორჩეულნი... ეგაა, თვალები უციმციმებთ ცოტა... იმას მაინც, რიხიანს, უფრო... აჰ, ნერვიული გოგონა ჩანს... ეს კიდევ როგორ იკრიჭება... ის რიხიანი ინვალიდია?

გოგი

(ეღიმება) არა, არა, ზარმაცია, უბრალოდ...

უნივერსალი

ასეც ეტყობოდა... აჰო! ეს კი საინტერესოა – სიამის ტყუპებიცა გყავთ?

გოგი

დიახ.

უნივერსალი

უნიკალური შემთხვევაა, ეს ვიღაააა, სიმინდებთან მარტოკა რომ ზის.

გოგი

ეს ჩვენებური გლეხია. მშრომელი მუყაითი...

უნივერსალი

იმ კაცს რატომ აცვია განსხვავებულად?

გოგი

(მწარედ ჩაეცინება) განსხვავებულად კი არა, ერთადერთს მაგას აცვია სწორად.

უნივერსალი

ეს როგორ?

გოგი

ეროვნული ტანსაცმელია... ჩვენი.

უნივერსალი ჭოგრიტს ჩამოიღებს, ახლაღა შეხედავენ პირველად ერთმანეთს.

უნივერსალი

კი მაგრამ, რატომ წამომიყვანე? ყველაფერი ცხადზე ცხადია. შენ ყველას მშვენივრად იცნობ.

გოგი

არა, არ ვიცნობ. ასე როცა არიან, ერთად, ვერაფერს ვხვდები...

უნივერსალი

რას ვერა ხვდები... (ისევ მიიტანს ჭოგრიტს თვალთან, ჩამოუშვებს) მაინც რამ დაგაინტერესა, გოგი?

გოგი

როგორ აგიხსნათ... ჩემი ხალხია. (ცოტათი ღელავს) ჩვენ ყველასა გვაქვს დაახლოებითი წარმოდგენა, თუ როგორია სხვა ქვეყნის ხალხი... ერთნი, მაგალითად, ტემპერამენტიანნი და სხაპასხუპით მოლაპარაკენი არიან... (შეეჭვდება). თუმცა, ეს ხასიათი არაა... და ტემპერამენტი არც ამათ აკლიათ... (დაბნეულია) აი... ზოგი ხალხი, მაგალითად, იტყვი, უჟმური ხალხია... ზოგი – ამაღლებულად მოსაუბრე, რომანტიული... თუმცა... ზოგი... რა ვიცი, ვეღარ გამომითქვამს... მაგრამ ესენი, როგორ გითხრათ... (გამოცოცხლდება) ახასიათებთ მაქსიმალისტობა, გუნება-განწყობის დაუჯერებლად სწრაფი ცვალებადობა, უკიდურესი თვისებები... ერთს რომ ფიქრობენ, მეორეს ამბობენ, მესამეს აკეთებენ, მეოთხე გამოსდით... სითბო, სიავე, თანაბრადა აქვთ, და რიგრიგობით... მთელ ხუთ წელიწადს სხვაგან ვიყავი, ეგებ შორიდან უფრო შევიცნო ესენი-მეთქი, მაგრამ აჰ, არა... და ამიტომაც შეგაწუხეთ და ამოგიყვანეთ თქვენ, გამოჩენილი უნივერსალი, სიტუაციათა შექმნის დიდოსტატი, სხვადასხვაგვარ ყოფაში რომ ჩააყენოთ ესენი და... ეგებ, გამოვიცნოთ, ჩავწვდეთ. თქვენი უნივერსალობის იმედი მაქვს.

უნივერსალი

კი მაგრამ, ასე რატომ გაღელვებთ ეს?

გოგი

მეც... ეგეთი ვარ. (აირევა) ოღონდ... რაღაცნაირად თავშეკავებული... (ხალხისკენ მიაბრუნებს თავს) ისე, შორიდან... ერთის დანახვით... ა, როგორ მოგწონთ?

უნივერსალი

ჯერ ვერაფერს გეტყვი. და შენ რა – მოგწონს?

გოგი

აბა, რა ვიცი...

აქ მთელ სუფრაზე სასწრაფოდ გადააფარებენ გრძელ ნაჭერს – ჩამოივლის მამასახლისი თავისი ამალით და მათი ჩავლა ზუსტად მეორდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ხმა არ ისმის. – ... მამასახლისი ამალიანა რომ გავა, ისევ სუფრას

მიუსხდებიან. ერასტი ვიღაცეებს აჯავრებს, მხოლოდ აქ გაისმის ერთადერთი წამოძახილი: – სტამბოლის კაჟივითო, ა!.. – და ქეიფს განაგრძობენ.

გოგი

მოწონებაზე რა მოგახსენოთ, ისე კი, ჩემი ხალხია... ისინი რაღაცნაირად უცნაურად შემიყვარდნენ. ადრე სხვა იყო მამასახლისი, ძალიან მკაცრი, აფთარი კაცი. ოო, მტრისას, მტრისას... ისე კი, აქ ჩავლილთაგან განსხვავებით, მომხვეჭელი სულაც არ იყო. დიდი ბეჭედი ეკეთა ხელზე, ოქრო გვეგონა, ბაჯაღლოს ჰგავდა, მოოქრული კი ყოფილა... და ის ბეჭედი დაკარგა ერთხელ. ყველა შეგვკრიბეს, დიდ ზარებს რეკდნენ. შემაღლებულზე იდგა ჩვენი მამასახლისი, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, სვენებ-სვენებით მხოლოდ ეს გვითხრა – აი, იმ ველზე ბეჭედი დამივარდა. აუცილებელი არაა ეძებოთ და იპოვნოთ, ხოლო თუ მოიძიებთ და იპოვნით, კარგი იქნება. (გოგი ქვემოთ ჩამოდის, ლაპარაკისას მოკლე მანძილზე ბოლთასა სცემს) „ კარგი იქნება “ – ასე უბრალოდ ნათქვამი სიტყვა სინამდვილეში მუქარას ჰგავდა – გაგვამწარებდა, რომ არ გვეპოვნა, გამწარება კი, ჰეე, იცოდა. საღამოხანს გვითხრა ეს, მთელი სოფელი იმ ველისაკენ გაემართა, აქვეა, იქით. ჯერ შემართულნი დაიარებოდნენ და უცხო, ერთგვარი სიამაყითაც კი იხედებოდნენ მიწაზე, მერე მოიხარნენ, გაფაციცებით იყურებოდნენ დაბლა, იმ დიდ ველზე კი გვირილები იცოდა და წამდაუწუმ ეჩვენებოდათ, თითქოს იპოვნეს, მაგრამ ის მოოქრული ბეჭედი არსად ჩანდა. შემოაღამდათ, და ჩვენ, ბავშვები, სანთლებისათვის გაგვგზავნეს სოფლად. მივუტანეთ და ანთება სცადეს, მაგრამ ქარიანი ამინდი იყო და განზე გაწელილ ალს წამსვე აქრობდა. მაინც ცდილობდნენ, წვალობდნენ მაინც... ბორცვზე შევდექი, ხან სად გაიფრთხიალებდა სუსტი სინათლე, ხან სად, მერე ქრებოდა, და ისევ, სხვაგან... იმ გვირილებმა ხომ წაიღეს სული... დიდი მთიბავი მოიყვანეს, ცალთვალა კოსტა. და, სიბნელეში ალესა ცელი. უჰ, რა ხმა იყო... ძაან შხიოდა. და ქარიც ქროდა. იმან გათიბა ის დიდი ველი, მერე აკრიფეს ყვავილები და განზე დაყარეს. „ კარგი იქნება “ – ესმოდათ ისევ... ორად მოხრილებს, წელი ასტკივდათ, და ცალი მუხლით დაეყრდნენ მიწას, იმ სიბნელეში ხელისგულებს ალალბედზე აფათურებდნენ და შუაღამემ რომ მოატანა, ვეღარ გაუძლეს – ორსავ მუხლზე დაიჩოქეს და, ქარით ჩამქრალი, უმაქნისი სანთლებით ხელში, ბეჭედს ეძებდნენ... ქარი რომ ჩადგა, აღარ აანთეს მაინც სანთლები, რაღაი ერთხელ ქარმა ჩაუქროთ, ასე ეგონათ, უქარობასაც აღარ აინთებოდა და მე დავცქეროდი ჩემს ხალხს, მთელ სოფელს, დაჩოქილებს და ჩამქრალი სინათლით. დავცქეროდი და რაღაცა ვიგრძენ, ჩემთვის უცხო და შემაშფოთებელი, ტკივილნარევი ბედნიერება. ბავშვი ვიყავ და ავტირდი ბორცვზე, როგორ მინდოდა, მივვარდნილიყავ ყველას, სათითაოდ და სუყველას ერთად, დიდი ხელები შემომეხვია და დამეკოცნა მიწით მოთხვრილი მათი თითები, გაუპარსავი ლოყები, შიშნარევი მორჩილი სახე, გამეჩხერებულ თმაზე გადამესვა ხელი, და იმ სიბნელეში ვინმეს მხარიდან რომ ამეცალა ჩალის ღერიც კი – ზედმეტი ტვირთი... ეჰ, ისინი კი იმ ბეჭედს დაეძებდნენ, მეორე დილით მამასახლისს თითზე რომ ეკეთა. (ისევ შემაღლებულზე ადის).

უნივერსალი

რომელმა იპოვა?

გოგი

არავის უპოვნია. ისე, უბრალოდ, მამასახლისმა გამოგვცადა - დავქიჩმაჩდებოდით თუ არა. იმ ღამით ორნი შევყურებდით მუხლმოყრილ სოფელს - იგი დაცინვით, გაბოროტებული ღიმილით გულში.

უნივერსალი

და შენ?..

გოგი

მე... (უჭირს პასუხის გაცემა) მე სულ სხვაგვარად.

ასისტენტი რაღაცას ჩაინიშნავს ბლოკნოტში.

უნივერსალი

და ის ბეჭედი მოოქრული რომ ყოფილა, როგორ გაიგეთ?

ერასტი

(ისე, რომ მათკენ არც მიიხედავს, ძალიან მოულოდნელად დაიყვირებს) შემოაჟანგდა ხელზე! (თამადობას ისევ უხმოდ განაგრძობს).

უნივერსალი

რა არის, იცი? - გულწრფელად გეტყვი - მე მაინც ვერ გავიგე ჩემი მისია... თუ რატომ ამომიყვანე...

გოგი

უნდა დამეხმაროთ. ხომ მოგახსენეთ, თქვენ სხვადასხვანაირ გუნება-განწყობათა დიდოსტატი, ამასთანავე, უნივერსალი ბრძანდებით და...

უნივერსალი

უდავოდ, მაგრამ რად გინდა ჩემი უნივერსალობა... ჰმ, როგორ ჟრიამულობენ?

გოგი

მინდა ვიცოდე, თუ როგორია ჩემიანების ხასიათი... თუნდაც, აი, სწორედ ახლა, ამ საუკუნის დამდეგს.

უნივერსალი

როგორ, არ იცით?

გოგი

არა.

უნივერსალი

კი მაგრამ, რატომ...

გოგი

ძნელი ხალხია. (შესცქერის) და ისიც მოგახსენეთ, რომ მეც ასეთი ვარ, ოღონდ თავს ვიკავებ.

უნივერსალი

ოო, ეს სულ სხვა საქმეა. (მხარზე მსუბუქად უპარტყუნებს) საკუთარი თავის შეცნობა გსურს?

გოგი

დიახ.

უნივერსალი

ამათი შემწეობით, არა?

გოგი

დიახ. (ხალხს შესცქერის) თანაც, მიყვარან...

უნივერსალი

(წამში საოცრად ენერგიულ კაცად გადაიქცევა, მკვეთრ მიმოხრას იძენს) შევთანხმდით, კარგი. ახლავ დაგიზუსტებთ ყველაფერს. (სწრაფად ჩამოდის ბორცვიდან) მაშ ასე – გეოგრაფიული გარემო? (გოგი მხრებს აიჩეჩავს) კონტინენტი?

გოგი ისევ მხრებს აიჩეჩავს.

უნივერსალი

კონტინენტი!

გოგი მხრებაჩეჩილი დგას.

უნივერსალი

ევროპაა თუ აზია?

გოგი

ეგეც კი არ ვიცით.

უნივერსალი

კი მაგრამ, როგორ...

გოგი

არ ვიცით და, რა ვქნა... ზოგი ერთს გვაკუთვნებს, სხვანი მეორეს... ისე კი, მთაგორიანი ქვეყანაა. ამწვანებული, წყაროებიანი... ერთი პაწია უდაბნოც კი გვაქვს...

უნივერსალი

(ოდნავ შემცბარი, მყისვე იბრუნებს მხნე იერს) ეროვნება!

გოგი

ქართველები ვართ, ბატონო.

ასისტენტი ჩაიწერს.

უნივერსალი

ასაკი!

გოგი

ჰეეეეე...

უნივერსალი

და... (შეკითხვას გადაიფიქრებს) კარგით, შევუდგეთ. ყველაფერს დაგიზუსტებთ.

გოგი, უნივერსალი და ასისტენტი მოქეიფეებს უახლოვდებიან.

მანამდე უხმო პურმარილისას, დაახლოებით ასეთი ამბები ხდებოდა: ერასტი წარმოსთქვამდა რიხიან სადღეგრძელოებს, ყანწს გადაისვრიდა, დროდადრო რაღაცას იხუმრებდა და სიცილით წყდებოდა ხალხი, მოგვიანებით ერთი სადღეგრძელო ურიკაზე შემდგარმა წარმოსთქვა და დანარჩენებიც სკამებზე შედგნენ, ეტყობა, რაღაც მნიშვნელოვანისა შესვეს. ვამიჩეიშვილი ეკურკურებოდა ლამზირას. დამაშოშმინებელს თავისი მოწოდება დროდადრო ახსენდებოდა. ტყუპისცალმა საშიკომ დაათრო ტყუპისცალი დათა, მაგიდაზე ჩამოადებინა თავი. შუა ქეიფში სულწაძლეული ბესარიონი შეუერთდათ ცოლითა და ხურჯინით. სერგია პირდაღებული ადევნებდა თვალს სუფრასთან მოფუსფუსე აგნესას. ვამიჩეიშვილმა სვიმონის ხმლით ორად გაჰკვეთა ბესარიონის მიერ მორთმეული გოჭი და თამადას მიართვა, რითაც საერთო აღტაცება გამოიწვია. ლამზირამ და ვერიკომ ერთ ქოლგის ქვეშ წაისეირნეს. ცეკვავდნენ არქიფო და ვამიჩეიშვილი. კოკილო ტანსაცმლიდან წკიპურტით წამდაუწუმ იშორებდა რაღაცას, მაგრამ ერთხელ რკინაზე მოუხვდა თითი. შალვამ მაგიდის ფეხქვეშ თავისი წიგნი აღმოაჩინა, აღშფოთებულმა, გამოღება დააპირა, მაგრამ ერასტის სხვებიც მიეხმარნენ და შალვამ ხის ნაჭერი მოიტანა, ის შეუდგა მაგიდას და განთავისუფლებული წიგნი სასოებით გაუწოდა ერასტის, მაგრამ იმან აგდებულად აუქნია ხელი. ვერიკომ მაღლა აწეული მათლაფით შემწვარი ინდაური რომ შემოიტანა, ისევ გამოტყვრა მონადირე და თოფი დაუმიზნა, უხმო აურზაური ატყდა. მონადირეს კვლავ ენერგიულად საყვედურობდნენ, ისიც, დარცხვენილი, თავჩაქინდრული იდგა. შედარებით მკვეთრი ამბები მათი ბორცვიდან თვალიერებისას ხდებოდა, გოგის მონოლოგისას კი ძირითადად „ მღეროდნენ “. ამ დროისათვის, სამეული მაგიდას რომ უახლოვდება, ბესარიონს,

როგორც ჩანს, ისევ აწყენინეს, რადგან მისი ყოველი მკვეთრი ჟესტის შემდეგ ცოლი ხურჯინში რიგ-რიგობით დებს სანოვაგეს. ბესარიონს ერასტი მიუგორდება, ამშვიდებს, აჩერებს, მაგრამ ის თავისაზეა. აქ მონარდეებიც კი რატომღაც იწევენ ერთმანეთზე, დიდი აყალმაყალია, დამაშოშმინებელი გარბის. ვერიკო ლოყებს იხოკავს. სიმინდებს წააქცევენ, გლეხი ასწორებს... უნივერსალი და ასისტენტი შორიახლოს შეჩერდებიან, გოგი კი მხარზე ხელს ადებს ერთს, მეორეს, – არავითარი შედეგი, ვერ ამჩნევენ. მერე გოგი ვამიჩეიშვილს მაგრად შეანჯღრევს – ისევ უშედეგოდ. გოგი მუდარით შეხედავს უნივერსალს, ის კი ასისტენტს, რომელიც რუკზაკიდან დამბაჩას ამოიღებს და უნივერსალს აწვდის.

გასროლა ჰაერში.

ერასტი

ოო, გოგი ჩამოსულა, გოგი, ჩვენი გოგი. გამარჯობა შენი!

(ურიკიანად მიეჭრება, თავს დაახრევინებს, ჰკოცნის).

არქიფო

როგორა ხარ, გოგი, ჭირიმე შენი...

ვერიკო

შენ გენაცვალოს დეიდა! სად დაიკარგე, ბიჭო. რატომ მოგვანატრე თავი. (უნივერსალისკენ, ხმადაბლა) შენ გაგისკდა მიწა... არ გამიხეთქა ყურის ბარაბანი?

სერგია

აიფ! ბავშვობის ამხანაგი!

სვიმონ

სალამი და გამარჯვება მომიხსენებია. (ჩააგებს ხმალს, რომელიც გასროლის ხმაზე იშიშვლა).

გოგი

გაიცანით, ჩემი უფროსი მეგობარია... და მისი ასისტენტი – ესე იგი, თანაშემწე ქალი.

შალვა

მაინც ვიცოდი მე ეგ სიტყვა.

დათა

(მთვრალია, ძლივს ამოღერღავს) ბოლოს დაიბრიდებიან მაინც...

ერასტი

სასიამოვნოა ძლიერ. (ურიკიდან წამოხტება, ხელს ჩამოართმევს).

ბიქტორი

ბიქტორი, ბატონო, ას ოცი ფრთა...

უნივერსალი ყოველი ხელის ჩამორთმევისას დაჟინებით ათვალიერებს სოფლელებს. მონადირე თავისთვის დაეძებს რაღაცას.

სერგია

სერგია ვარ მე!

ერასტი

უბრალო არ გეგონოთ, პირში მთქმელია.

უნივერსალი

სასიამოვნოა.

აგნესა

გაუხმეს თავი... აგნესა, ბატონო.

უნივერსალი

სასიამოვნოა.

ვამიჩეიშვილი

სვიატოსლავი, ბატონო.

უნივერსალი

(შეაცქერდება) ქართველი ბრძანდებით?

ვამიჩეიშვილი

აბა ვამიჩეიშვილი და ფრანგი არ გამიგია მე! (პასუხით გახარებულია).

ასისტენტი წამდაუწუმ იწერს რაღაცას.

ბესარიონი

ბესარიონი, ჩემო ბატონო.

სერგია

რუსეთ-იაპონიის ჩხუბშია ნამყოფი! (ჩაიფხუკუნებს).

უნივერსალი

მართლა?

ბესარიონი

დიახ, ბატონო.

უნივერსალი

და თქვენ რომელი-რომლის მხარეზე იბრძოდით?

ბესარიონი

(წამით დაიბნევა... და იფეთქებს) ჰატ! არ დამიწყო ახლა ამანაც? აშალე, ქალო, სუფრა!

გოგი

დაწყნარდი, ჩემო ბესარიონ, ამან რა იცის... ისე, გულუბრყვილოდ იკითხა, პირველადაა ჩვენში.

ბესარიონი

არაფერი არ ვიცი! აშალე, ქალო, სუფრა! შეავსე ჩემი ხურჯინი!

ცოლი

(მოულოდნელად, სასტიკად გაბრაზდება და ისედაც უკვე მხარზე გადაკიდებულ ხურჯინს მაგრად მოიქნევს და დაანარცხებს) აგერ, აიღე და ათრიე, საცა გინდა! არ გამიწყალა გული? შენ გაგიხმა თავი, შენი ტყუილებისთვის რომ დამათრევ ამ დროულ ქალს ამ ოხერ ტვირთიანა აღმა-დაღმა! (ათვალწუნებით შეათვალიერებს) ხო-ხო, რა ვაჟკაცია? ვაჟკაცი! ძროხა რომ გამოგეკიდა, როგორ იყო ის! რატომ იმას არ ჰყვები!

ვერიკო

კარგი, დაწყნარდი, გენაცვალე...

ცოლი

აბა, ამ უცხო კაცთანაც რომ აღარ შემეშვა? არ დავინახო შენი ფეხი და ჭაჭანება სახლში!

ბესარიონი

კარგი ახლა, ხალხი გვიყურებს დაწყნარდი, გენაცვალე...

ბესარიონის ცოლი

ვინაა შენი გენაცვალე! უზრდელო, შენ!..

უნივერსალი

კი მაგრამ, აკი პატრიარქატიაო?

გოგი

ყურადღებას ნუ მიაქცევთ... აგერ, ეს ჩვენი კოხტაა, მონადირე.

მონადირე უნივერსალის გამოწვდილ ხელს ყურადღებას არ მიაქცევს, თითს პირთან მიიტანს – სუო – და ისევ გამალებული ეპარება რაღაცას.

გოგი

მაგასაც ნუ მიაქცევთ ყურადღებას. აი, ჩვენი სიამის ტყუპები...

საშიკო

ძალიან სასიამოვნოა, ბატონო.

დათა

(მთვრალია) თუ ვშვლიპე ერთი... მაგრამ რად უნდა, მოკვდება ბოლოს... მაინც···

საშიკო

რას კადრულობ ამ უცხო კაცთან, ბიჭო!

დათა

აბა, ჩვენი შტერები არ მეყოფოდა? ამოდიან და გვემატებიან აქ, თანდათანობით.

გოგი

ყურადღებას ნუ მიაქცევთ...

უნივერსალი

(გაღიზიანებულია) აბა, მხოლოდ შენ იქაც კი გიყურებდი.

შემოდის დამაშოშმინებელი, მაინცდამაინც უნივერსალისკენა აქვს პირი მიქცეული, უნებურად იმას ეუბნება: – კარგი ახლა, დამშვიდდით, დაწყნარდით, რად გინდათ ახლა ჩხუბი და აყალ-მაყალი...

უნივერსალი

რა�აო?

გოგი

ყურადღებას ნუ მიაქცევთ... ხუმრობს.

ერასტი

სერგია, ბიჭო, უცხო სტუმარი გვეწვია და, იმათ დაუძახე (საზეიმოდ) მუსიკოსებიც კი გვყავს ჩვენ, სტუმრის მიღებაც კარგი ვიცით ჩვენ. (უნივერსალს) ისე, როგორ ბრძანდება თქვენი ძვირფასი ოჯახობა?

უნივერსალი გოგის შეხედავს.

ერასტი

თუ შეიძლება, ერთი ეს სასმისი გამოგვიცალეთ, ბატონო. (მაგიდასთან მიგორდება, ყანწს შეავსებს, მოაქვს) მიირთვით, ჩემო ბატონო, ყანწი.

უნივერსალი

არა, გეთაყვათ, მაგისთვის არა გვცალია. (გოგის) ამათ თუ არ მოვიყვან ჭკუაზე, იმასაც ნახავ.

გოგი

თქვენს პირს შაქარი.

ერასტი

რა მოცლა უნდა ამას. ძალიან უბრალოდ ხდება ყველაფერი. (ყანწს მიიყუდებს, გამოცლის და ხელს დაუშვებს, მოხიბლული მიაჩერდება მოკლეკაბიან ასისტენტს, რომელმაც მოასწრო ფოტოს გადაღება. იქამდეც, ყველანი, მოკლეკაბიან ასისტენტს ხშირად ავლებდნენ თვალს) ვინაა ეს ნამდვილად კარგი ადამიანი, ჩემო ბატონო?

უნივერსალი

აკი ითქვა, რომ ჩემი ასისტენტია.

ერასტი

მაგ ყუთში რა გიდევთ, ქალბატონო ასია?

უნივერსალი

და ჯერ ეგ ერთი, სულ სხვა სახელი ჰქვია.

ერასტი

ნამდვილად, ნამდვილად... ასია კი არა, ათ - ასია, ათასი...

უნივერსალი გოგის შეხედავს. სერგიას ისევ მუსიკოსები შემოჰყავს - ერთი სალამურითაა, ორნი - უზარმაზარი ტუბით. ერთ-ერთი „ ტუბა “ აშკარად მთვრალია. გლეხს სიმინდს წაუქცევს.

ერასტი

ოჰ, როგორა ხართ, ბიჭებო, როგორ! მოდუნებას ხომ არა აქვს ადგილი?

მესალამურე

აჰ, არა, არა.

ერასტი

ერთი პატარა ჩვენებური მარში, თუ შეიძლება სტუმრების საპატივცემულოდ და ხათრით.

მესალამურე

(მხნედ) აბა, ბიჭებო, ოცდამეთორმეტე მოვასმენინოთ.

უნივერსალი

როგორ, ამდენი მარში იცით?

მესალამურე

არა, მაგრამ...

უნივერსალი

აბა, რამდენი იცით?

მესალამურე

(მორცხვად) ორი...

უნივერსალი

რომელი და რომელი...

მესალამურე

მეცხრამეტე და ოცდამეთორმეტე.

უნივერსალი

და რის მიხედვით შეადგინეთ ნუმერაცია, ბოდიში?

მესალამურე

რის მიხედვით და... (უცებ თამამდება) ისე - უბრალოდ, ბატონო! ასე უფრო საპატივცემულოდ ჟღერს და...

უნივერსალი

აა. (გოგის) ამათ ყველას თუ არ მოგირჯულებ, იმასაც ნახავ.

გოგი

რა ვიცი... არ ვიცი...

მესალამურე

(რიხით) აბა, ბიჭებო, ოცდამეთორმეტე! აა-ბა, ერთი-და, ორი-და... ადგილზეეე... იარ!

მის მკვეთრ ნიშანზე დასცხებენ „ ჩემო ტკბილო მეგობარო “-ს, დიდად ჩახუჭუჭებული ვარიაციებით. ყველა თავისი ხუშტურისდამიხედვით ააყოლებს ადგილზე ფეხს, გარდა უნივერსალისა და გლეხისა, გოგი ძალიან თავშეკავებულად, ოდნავ. ერასტი - ურიკაში მჯდარი, მუხლები განსაკუთრებით მაღლა აწეული სერგიას ააქვს, ასისტენტიც კი, რომელსაც ხარბად შესცქერიან, ადგილზე ყოჩაღ ბოლთას სცემს და ისე იღებს სურათებს.

ფარდა

მეორე მოქმედება

პირველი სურათი

ფარდის გახსნამდე კაკუნი ისმის.

ფარდა იხსნება. სცენაზე გრძელი, პურმარილიანი მაგიდა აღარაა. გლეხი თავის სიმინდებთან ზის. სცენის კუთხეში ბიქტორი და ვამიჩეიშვილი ორკედლიანი, უსახურავო ფიცრულ-ტიხარის დაჭედვას ამთავრებენ. ფიცრული სცენის განაპირას დგას, ფორმით ასეთია: კედლები ჩვენკენაა, ნაპირები ავანსცენამდეა მობჯენილი. გარედან აჭედებენ, დამაშოშმინებელი თავს დადგომია მომუშავეებს, ეუბნება: „ ასე, ასე... ნუ წაიჩხუბებთ... ერთმანეთს ჩაქუჩს ნუ დაარტყამთ თავში, მტკივნეულია... “ ასისტენტი ლურსმნებს აწვდის ორივეს. ლურსმნის გამორთმევისას ქალს ათვალიერებენ. სცენის მეორე მხარეს გრძელ, ორრიგა მერხებზე მსხდარი ხალხიც ასისტენტს ათვალიერებს. ხალხის წინ ურიკაში მჯდარი ერასტია. გოგი და უნივერსალი ფიცრულთან დგანან.

უნივერსალი

(ძალიან მხნედ) მაშ ასე, მიზანი გასაგებია და ნათელი. შენი არ იყოს, მეც კი აღმიძრეს გარკვეული ცნობისწადილი. მთელ ჩემს უნივერსალობას გამოვიყენებ. აი, ნახავ, ამათ თუ არ მოვარჯულებ, ყოფას ვუტირებ – ათასნაირ გუნება-განწყობას შევუქმნი...

გოგი

ყოფის ტირება არ უნდათ.

უნივერსალი

ისე ვთქვი, გადატანითი მნიშვნელობით, წესისა და რიგის მიხედვით შევუდგები მათ გამჟღავნებას – სამედიცინო შემოწმებიდან დავიწყებ. (ხალხს გახედავს) ის უცნაურ ტანსაცმლიანი ყველაზე მდიდარია?

გოგი

ყველაზე ღარიბი. სახლ-კარიც კი აღარ გააჩნია.

უნივერსალი

რატომ...

გოგი

ტანსაცმლისთვის გაყიდა.

უნივერსალი

ოო... მზადაა?

ასისტენტი

დიახ.

გოგი

ვერონიკას სხვაგვარად თუ არ ჩავაცმევთ, არაფერი გამოგვივა.

უნივერსალი

არაა საჭირო, ისედაც მოვთოკავ ყველას.

გოგი და უნივერსალი ფიცრულში შედიან.

ასისტენტი სოფლელების (და არა მაყურებლის, რადგან ფიცრულს ღია შესასვლელი ავანსცენიდანა აქვს) თვალთაგან მოფარებულ ფიცრულში მომცრო მაგიდას შეიტანს, ზედ სამედიცინო ინსტრუმენტებს აწყობს, კუთხეში მხედველობის შესამოწმებელ, ასოებიან მუყაოს ჩამოკიდებს. მერე უნივერსალს თეთრი ხალათის ჩაცმაში შველის. უნივერსალი შუბლზე ყელ-ყურის ექიმთა სარკეს იმაგრებს, ხელში ნევროპათოლოგთა ჩაქუჩი უჭირავს, მკერდზე ფონენდოსკოპი უკონწიალებს. წნევის საზომიან მაგიდასთან მხნედ მიდის, მიმოიხედავს... ასისტენტი ხალხისაკენ გაეშურება, მათ შორიახლოს მდგარ ზურგიან სკამს წამოავლებს ხელს. ერასტი ურიკიანად მიუგორდება, წამოდგება.

ერასტი

ერთი პატარა თხოვნა მაქვს თქვენთან, ქალბატონო ასია.

ასისტენტი

მე ასია არა მქვია.

ერასტი

რა და, ქალბატონო ასია, თუ გაქვთ მცირედი დრო, დაბრძანდით აგერ, ურიკაზე, ჩემს გვერდით, გავისეირნოთ ცოტა, უუშესანიშნავეს ხედებს გაჩვენებთ.

ასისტენტი

არ მცალია.

ერასტი

(აედევნება) მაშინ, მიგაცილებთ.

ხაზგასმული სიამაყით მიმავალ სკამიან ასისტენტს ერასტი ურიკიანა მიჰყვება ფიცრულამდე, მერე ისევ ხალხისკენ გამოგორდება.

გოგი

ხომ გეუბნებით, ტანსაცმელი გამოვუცვალოთ-მეთქი. მთელი ყურადღება მაგაზე აქვთ გადატანილი.

ბიქტორი

(ძალიან შორიდან დაიძახებს) არ იმსახურებს თუ?

გოგის და უნივერსალს არ ესმით.

უნივერსალი

ცოტაღა დარჩათ, იგიჟმაჟონ ჯერ... ისე დავტვირთავ მცირეოდენ ხანში ყველას, თქვენი მოწონებული... და ვერონიკას თავი აღარ ექნებათ... მაგრამ ჯერ სამედიცინო შემოწმება უნდა გაიარონ. საქმიანად და სწრაფად, აბა, ანკეტები და ლურჯი და წითელი ფანქარი!

მაგიდასთან ჯდება. ასისტენტი ქაღალდებს აწვდის.

უნივერსალი

(ჯიბის სარკის წინ სხვადასხვანაირ გამომეტყველებას ამუშავებს. თმას საგულდაგულოდ გადაივარცხნის, მერე ექიმის ჩაჩს დაიხურავს) სთხოვეთ პაციენტს. (საზეიმოდ) შემოიყვანეთ!

ასისტენტი

რომელი?

უნივერსალი

რომელიმე.

ასისტენტი ხალხთან მიდის. ათვალიერებს. ისინიც ძალიან ათვალიერებენ.

ასისტენტი

გთხოვთ, რომელიმე წამომყვეთ.

ერასტი

სად ასია, გენაცვალე.

ასისტენტი

ასია არ მქვია, ფიცრულში. ყოველმხრივ სამედიცინ-უფასო შემოწმებაზე.

ერასტი ურიკას სწრაფად დახევს უკან და საშიკოს დაეტაკება, მაგრამ დათა შეჰყვირებს და ფეხზე იტაცებს ხელს.

დათა

ჩვენი შტერები და შემმოწმებლები არ გვეყოფოდა? წამოდი ახლავე სახლში!

საშიკო

არ წამოვალ!

დათა

წამოდი-მეთქი!

საშიკო

არამც და არამც!

დათა

კარგი აბა...

დაფიქრდება და მოისაზრებს - საკუთარ ნეკნებზე იხიცინებს. საშიკოს დიდი მანჭვა-გრეხა აუტყდება, ისტერიულად ხარხარებს.

საშიკო

კარგი, გაჩერდი ახლა! ვაიმე... გაჩერდი-მეთქი!!. გაჩერდი. თუ ძმა ხარ!

დათა

არ გავჩერდები.

საშიკო მოიფიქრებს და ერთ ფეხს მეორეზე მაგრად დაირტყამს.

დათა

აჰ! (მოიხრება და ფეხს იზელს) არ მომკლა? არ მომკლა ამ... ამ... გამიშვით!

დამაშოშმინებელი

(გარბის) ხომ გეუბნებოდით... რომელი მედიცინის ღირსი ხართ თქვენ... აკი ვამბობდი... მე არაფერი გამიგია. (გზად შესაძლოა დაეჯახოს კიდეც საითკენღაც მზირალ, ახლახან შემოტორღიალებულ მონადირეს).

დათა

(საშიკოს) ახლა გეტირება ყოფა!.. (მონადირეს) გამოიხედე კაცო შენ!.. (მონადირეს არ ესმის) კაკაბი, ხოხობი! (მონადირე სწრაფად მიუბრუნდება) მესროლე ერთი, თუ კაცი ხარ! (მონადირე გაკვირვებულია) მესროლე, მესროლე, შე ლაჩარო, შენ!

საშიკო

არ გაბედო! არ დამღუპო, ბიჭო! მე მესროლე, თუ კაია მაშინ, მე!

მონადირე

(პაუზის შემდეგ) მერედა, ცივ ქვეყნებში თქვენ დამინთებთ ბუხარს? მეტი არაა ჩემი მტერი... (რაღაც მოეჩვენება, დაიძაბება, საითკენღაც თოფმოღერებული გადის).

საშიკო

მაშინ, შენც სუ და მეც სუ... ტყვილა ვიჯდეთ.

დათა

ჯანდაბას შენ თავს, კარგი.

სრული სიწყნარე ჩამოდგება. უნივერსალი ფიცრულიდან ხალხისკენ გაჰყოფს თავს.

უნივერსალი

რა დაგემართათ, ვერონიკა, ვეღარ შეარჩიეთ ამდენხანს პაციენტი?

ასისტენტი

ახლავე! (უნივერსალი ტიხარში შებრუნდება) რომელი წამობრძანდებით ყოვლად უფასო სასარგებლო შემოწმებაზე?

ერთხანს სიჩუმეა.

ვამიჩეიშვილი

თქვენც იქნებით იქ?

ასისტენტი

ყოველ მიზეზს გარეშე.

ვამიჩეიშვილი

აბა, სადაც მიბრძანებთ, იქ წამოვალ, ქალბატონო ასია.

ერასტი

ამას დამიხედეთ ერთი, რას ჰგავს ეს დაგვაჯული, რას ჰგავს...

ასისტენტი

მე ასია არა მქვია, წამობრძანდით.

ასისტენტი და ვამიჩეიშვილი ტიხარში შედიან. გარეთ ნარდის თამაში იწყება, კოკილოს ახალ ტანსაცმელს უმოწმებენ.

უნივერსალი

გამარჯობათ.

ვამიჩეიშვილი

კაი გამარჯობათ, ბატონო.

უნივერსალი

გვარი?

ვამიჩეიშვილი

ვამიჩეიშვილი.

უნივერსალი

სახელი?

ვამიჩეიშვილი

სვიატოსლავი.

უნივერსალი

ეროვნება?

ვამიჩეიშვილი

აბა ვამიჩეიშვილი და ფრანგი არ გამიგია მე! (პასუხით დიდად კმაყოფილია)

უნივერსალი

გაშიშვლდით.

კარგა დიდი ხნის სიჩუმე ჩამოვარდება. ვამიჩეიშვილი რიგრიგობით ათვალიერებს უნივერსალს, ასისტენტს, გოგის. გამომცდელად შესცქერის სამივეს.

ვამიჩეიშვილი. (ბოლოს, როგორც იქნება, დაადგება საშველი, გოგის და უნივერსალს ხელებს მიაშვერს) თქვენ ორნი თუ გახვალთ, კი.

დიდად გაკვირვებული უნივერსალი გოგის მიუბრუნდება.

გოგის ქვეშ-ქვეშ ეღიმება.

უნივერსალი

(ვამიჩეიშვილს, ხაზგასმით) ექიმი მე ვარ.

ვამიჩეიშვილი

რად უნდა მერე ექიმი ჯანმრთელ მამაკაცს?! ჯანმრთელ მამაკაცს სულ სხვა რამე უნდა.

პაუზა.

გოგი

(უნივერსალს) ხომ გეუბნებოდით.

ვამიჩეიშვილი

აბა თქვენთან გახდაში რა ყრია...

უნივერსალი

(გოგის) კარგი. (ვამიჩეიშვილს) თქვენ ჯერჯერობით თავისუფალი ბრძანდებით.

ვამიჩეიშვილი გამოდის, ხალხთან მიდის, შემოეხვევიან, რაღაცეებს ეკითხებიან.

უნივერსალი

(ასისტენტს) წაბრძანდით და ჩაიცვით ფორმა ნომერი ოთხის მიხედვით. მანამდე კი რომელიმე ქალი მომგვარეთ.

ასისტენტი

არის (რუკზაკს წამოავლებს ხელს, ხალხთან მიდის) თუ შეიძლება, მოქალაქე, იქ შებრძანდით.

ვერიკო

სად...

ასისტენტი

ექიმთან.

ვერიკო

ექიმი რად მინდა, გენაცვალე... რა შემამჩნიეთ მაინც ისეთი...

ასისტენტი

ყოველმხრივ სამედიცინ-უფასო შემოწმებას გაივლით.

ვერიკო

(დაფიქრდება) ისე, ხო იცი, თვალები მეცრემლება ცოტა... განსაკუთრებით კვამლზე.

ასისტენტი

მით უმეტეს. მიბრძანდით. (სცენიდან გადის).

ვერიკო გაუბედავად მიეშურება ტიხარისაკენ.

უნივერსალი

გადი შენც, გოგი. ქალია მაინც, გარეშესი არ მოერიდოს...

გოგი მხრებს აიჩეჩავს, გამოდის, ტიხარს უკან დგება.

ვერიკო გაუბედავად მიუახლოვდება ტიხარს, დააკაკუნებს.

ვერიკო

შეიძლება, ბატონო?

უნივერსალი

მობრძანდით.

ვერიკო შედის, ფიცრულს ათვალიერებს.

უნივერსალი არც შეხედავს, ახალ ანკეტას მიიჩოჩებს. მომდევნო მცირე დიალოგისას გამუდმებით ანკეტას დასცქერის.

უნივერსალი

სახელი?

ვერიკო

რისი...

უნივერსალი

თქვენი.

ვერიკო

ვერიკო.

უნივერსალი

გაიხადეთ.

ვერიკოს ჯერ ეჩვენება, რომ მოესმა, მერე ყურიდან თავსაფარს გადაიწევს, უნივერსალისკენ გადაიხრება: რა ბრძანეთ, ბატონო?

უნივერსალი

(ისევ ანკეტას დასცქერის) გაშიშვლდით.

აქ ვერიკო ნელა გაიმართება, თვალებს დახუჭავს, ღრმად შეისუნთქავს და საშინელ კივილს გააბამს, უნივერსალი წამოხტება და ფიცრულის კედელს აეკრობა, ძალიან დაბნეულია. გოგი სწრაფად შევარდება ფიცრულში, ვერიკო ისევ თვალებდახუჭული ჰკივის. გარეთ, დამაშოშმინებელი სცენიდან გარბის. „ ხომ გეუბნებოდით... აკი გაგაფრთხილეთ მრავალგზის... არ დამიჯერეთ არცერთგზის... ხომ გეუბნებოდით... “ შეშფოთებული ხალხი წამოიჭრება, ფიცრულში ლამზირა შევარდება, ხალხი გარეთ ყაყანებს: „ რა იყო... რას უშვრებიან... რას უშვრებიან ასეთს... “ გოგი და ლამზირა ვერიკოს აწყნარებენ, სკამზე სვამენ, წვეთებს ასმევენ, ვერიკო ნახევრად გულშეღონებულივითაა.

ლამზირა გარეთ გამოდის, მნიშვნელოვნად უჭირავს თავი – იცის, დაეხვევიან. მართლაც, ასეა. ყოველი მხრიდან მიაყრიან:

„ რა მოხდა... რაშია საქმე ლამზირა... რა მოხდა, ქალო!.. ამოღერღე ახლა, აღარ დაგადგება საშველი?.. როგორაა, როგორ! “

სიჩუმეა, დიდი მოლოდინით შესცქერიან.

ლამზირა თავსაფარს გულმოდგინედ გაისწორებს და მერეღა იტყვის, სულ ერთნაირად დაპწკენილია, მცირე პაუზის შემდეგ დიდად შეიცხადებენ: „ რაო, რაო?! აუჰ!.. რა თქვი ქალო ეს!.. ეს რა გაიგო ჩემმა ყურებმა!.. სტუმარი სტუმარია, მაგრამ თავს თუ გავიდა!.. ასაკუწია კავკასიური ხანჯლით!.. “ ამ აღშფოთებისას, ხელების ქნევისას, გლეხს რამდენჯერმე წაუქცევენ სიმინდს. გლეხი ასწორებს.

უცნაურად დამუხტული სიჩუმე ჩამოვარდება, რაღაცა სხვაა თითქოს საჭირო. და ერასტიც აღარ დაახანებს, ჩაიფხუკუნებს.

ერასტი

ისე, სხვათა შორის, კი ჰქონია ამ ჩვენ სტუმარს ძვირფასი გემოვნება. ხმადაბლა, ახითხითდებიან.

არქიფო

კი მაგრამ, რანაირად მოუხერხა პწკენა?!

ბიქტორი

აბა?! აბა?! ადგილის პოვნა გაუჭირდებოდა თუ რაა...

არქიფო

ისე, დიდი ხვავიანი ქალი კია ეს ჩვენი ვერიკო.

ვამიჩეიშვილი

იქით გვეყოლება ახლა ის კაცი მოსარჩენი... (გამომწვევად იცდის).

ერასტი

(ცელქად) რატო, შე კაცო...

ვამიჩეიშვილი

ხელებს დაიჭრიდა ძვლებზე!

ატყდება სიცილი, მუხლზე ხელისგულების დარტყმა, დიდ მხიარულებაში არიან... უცებ ჩაჩუმდებიან, რადგან გოგის გამოჰყავს ვერიკო, რომელიც დიდად ავადმყოფს თუ მძიმედ დაჭრილს თამაშობს. ხალხს არ უყურებს, ისე ამბობს: „ თქვენ იყავით, გენაცვალე, კარგად... ყველაფერი მიპატიებია... ბედნიერებას გისურვებთ... თქვენ იყავით კარგად... ჩემი ცხოვრება დამთავრებულია... “

ამასობაში, საცაა სცენიდან უნდა გავიდეს და უცებ შეჰკივლებს. ხალხიც გაფაციცებით მიაჩერდება შეკივლების მიზეზს – შემოდის უსაშველოდ გრძელკაბიანი, ჩადრიანი ქალი.

ერასტი

კაცო, მოჩვენებაა ეს თუ რა?! ესენი მაინც ხო გადაშენდნენ ჩვენგან... ჩავქოლოთ ახლავე! სწრაფად!! (ქვას დასწვდება).

ჩადრიანი ქალი

ასია ვარ, ასია! (ჩადრს მცირე ხნით მოიღეღავს).

ერასტი

უუჰ, გენაცვალე შენ!

ვერიკო ბიქტორს და კოკილოს გაჰყავთ.

გოგი

რა იყო, რა დაგემართათ... (ლამზირას) შენ მაინც როგორ არ გრცხვენია, რატომ ყრი ჭორებს. (ხალხს) არაფერი უკადრებია ისეთი... ეს ჩვენი სტუმარი ექიმიცაა და, ექიმმა რომ ადამიანი გასინჯოს, ამისთვის გახდაა საჭირო და მხოლოდ ეს უთხრა.

არქიფო

მხოლოდ ეს უთხრა ვითომ?

ერასტი

დააყოლებდა რამეს.

არქიფო

არა, მართლა მხოლოდ ეს უთხრა?

გოგი

კი. სიკეთის ჩადენა უნდოდა და იმიტომ უთხრა, აბა, მოცლილი კი არაა ის კაცი.

სერგია

არქიფო ბიძია, მასესხე ერთი-ორი აბაზი, რა იქნება...

არქიფო

გად-დაიკარგე იქით, რა აყვირებდა აქა იმ ჩვენ კაი დედმამიშვილს.

გულმოცემული უნივერსალი, რომელიც აქამდე საუბარს გაფაციცებით უგდებდა ყურს, ფიცრულიდან გამოდის.

უნივერსალი

ბატონებო და ქალბატონებო! ნუ გეწყინებათ და, აზია ხართ ალბათ თქვენ მაინც, რადგან ევროპაში ასეთ წვრილმანსა და ბუნებრივ მოთხოვნაზე წივილ-კივილი არ ატყდებოდა.

არქიფო

(ჩაილაპარაკებს) წვრილმანი ეძახე და...

ერასტი

კი ბატონო, აზიაც ვართ.

შალვა

(წიგნიდან თავს აიღებს) აბა, თუ კარგია, ასიას გაახდევინოს ჩვენს თვალწინ... (ისევ წიგნში ჩარგავს თავს).

არქიფო

გახდაა ბუნებრივი?

უნივერსალი

ექიმთან, რა თქმა უნდა.

არქიფო

კაი ბუნებრივი მოგეცესთ...

უნივერსალი

(გამხნევებული) ჰოდა, პატივცემულო საზოგადოებავ, ჩემი თუ გერიდებათ, ჩემი ასისტენტი დიახაც რომ მშვენივრად ფლობს მკურნალთა ხელოვნებას...

ერასტი

მე კი დამაავადმყოფა და...

უნივერსალი

და, ქალების გასინჯვისას, მე სულაც არ შემოვალ ფიცრულში. აი თქვენ ქალბატონო, შებრძანდით და, მე მგონი, ქალს ქალისა არ მოგერიდებათ, თამამად შესძლებთ გაიხადოთ.

ლამზირა

კი, როგორ არა, მოგართვით, დიახ...

უნივერსალი

რატომ, ქალბატონო...

ლამზირა

მერე რომ გიამბოს სუყველაფერი?

უნივერსალი ხალათს გაიხდის, „ ყელ-ყურის სარკეს “ მოიხსნის, გაღიზიანებულია. ფიცრულში ნერვიული ნაბიჯით შედის, ხელსაწყოებს სკამზე დებს, ბოლთას დასცემს, გამოდის.

გოგი

მოდი, სამედიცინო შემოწმებას თავი გავანებოთ.

უნივერსალი

ა? ვითომ?

გოგი

კი. მერწმუნე, ყველა ჯანმრთელია.

უნივერსალი

მაშინ... (მღელვარე ფიქრი დაეტყობა) მაშინ... ჯერ თავბრუს დავახვევ.

გოგი

როგორ...

უნივერსალი

თავზე მოვახვევ ისეთ რთულ მშვენებას, როგორიცაა რომანტიზმი···

სოფლელები კოკილოს ახალი ტანსაცმლის თვალიერებას იწყებენ.

გოგი

რომანტიზმის მეტი რა იციან, მაგით ვერ გავაკვირვებთ...

უნივერსალი

აარა, არა – ჩემებურს, ამაღლებულს, თავზე მოვახვევ, თავბრუს დავასხამ... ეჰეი, ხალხო!

(შემობრუნდებიან) რა იყო ბატონო, გვიბრძანეთ, პატივცემულო... არ გამიხეთქა ყურის ბარაბანი?!. გისმენთ, ბატონო...

უნივერსალი

(ფრიად გამხნევებულია) აი, თქვენ, მაგალითად, ხალხნო და ჯამაათნო, ამ ვრცელ დედამიწაზე ცხოვრებით კი ცხოვრობთ, მაგრამ, გულზე ხელი დავიდოთ და (გულზე მართლა ხელებს მიიდებენ) გულახდილად ვთქვათ, როგორ ატარებთ დროს? მევე გიპასუხებთ – ძალზე უბრალოდ: ჭამთ, სვამთ, გძინავთ, ერთი, მეორე... ბოდიში, მაგრამ, მასხარაობით კიდევაც და, ისე რომ ვთქვათ, ჩვენში, რომანტიზმი ნუთუ არა გსურთ?

ერასტი

რაა ეს რომანტიზმი...

უნივერსალი

აი, არც კი იცით...

შალვა

მე ვიცი, პატივცემულო.

უნივერსალი

მართლა? ბრძანეთ...

შალვა

(დაზუთხულად) რომანტიზმი ეწოდება მიმართულებას ევროპულ ლიტერატურაში, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც ლიტერატურული სკოლა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის გერმანიაში, ხოლო შემდეგ მოედო საფრანგეთსა და სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებს. (ერასტი ჩაურთავს: „ სწორია “) რომანტიზმისათვის დამახასიათებელია წარსულის იდეალიზაცია, თანამედროვეობისაგან მოწყვეტილობა და ინდივიდუალიზმი.

უნივერსალი

ბიჭოს! ძალიაან კარგი...

ვამიჩეიშვილი

ოქრო ხარ, შალიკო, ოქრო!

უნივერსალი

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ცხოვრებისეული რომანტიზმი, ყოველდღიური.

შალვა

ყოველდღიური რომანტიზმი არ გამიგია მე! ქუჩაში კი არ ყრია…

უნივერსალი

მაშინ... აი, თუნდაც, გამონაკლისის სახით, მაგრამ ზოგადად...

შალვა

ზოგადად რომანტიზმი ნიშნავს ოცნებას, ზღაპრულობას და გატაცებას.

უნივერსალი

(სასიამოვნოდ გაკვირვებულია) სწორია, ნამდვილად სწორია.

ერასტი

აუჰ! ეს ის ხომ არაა?

უნივერსალი

რა...

ერასტი

რა და... შეიძლება, მოძრაობით აგიხსნათ?

უნივერსალი

რაო? თუმცა, კი ბატონო, სცადეთ.

ერასტი ურიკიდან წამოდგება, აღგზნებულია. უნივერსალის წინ მკვეთრად გადაიხრება, ხელს კოჭზე მიირტყამს, მერე სპირალისებურ-ტალღისებური მოძრაობით იმართება, ხელს არ აჩერებს, სანამ ბოლომდე არ აღაწვდის მაღლა, ფეხისწვერებზედაც კი შედგება და დააყოლებს: „ ოჰ!.. ოჰ-ოჰ!.. უჰ! “ მერე ხელისგულებს შეატყუპებს, და ცახცახ-ცახცახით გასწევს წინ და ირიბად: ეჰეჰ... ჰეჰ, უჰუჰ!.. ხომ ასეა, პატივცემულო? (ასისტენტს, ძალიან მოულოდნელად) არ გცხელათ მაგ ტანსაცმელში, ასია?

უნივერსალი

ასე, თქვენებურად ახსნა, მუნჯურად, იცოცხლე, ძალიან ადვილია, მაგრამ...

ერასტი

რატომ მუნჯურად... აკი ვიძახე ოხოხო და უჰუჰუ.

უნივერსალი

აარა, ძვირფასო, მხოლოდ ეგ არაა საკმარისი - საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინაა ამის სიტყვიერ-თვალნათლივი წარმოსახვა ძნელი. ამას თქვენ ვერ შესძლებთ, ხოლო მე, სიტუაციათა შექმნის დიდოსტატი ახლავ განგაწყობთ...

ერასტი

რას ვერ შევძლებთ, პატივცემულო?

უნივერსალი

რას და რომანტიზმის დამყარებას, აი, აქ, ამ ადამიანებში.

ერასტი

მამასხარავებთ, ბატონო? რა უნდა მაგას...

უნივერსალი

(გაკვირვებულია. მერე ბრაზდება) წარმოადგინეთ, აბა!

ერასტი

რა, ბატონო... ეს? (ზეაღმასვლითი სპირალი).

უნივერსალი

დიახ! მე ვიცდი.

ერასტი

რა დიდი მოცდა უნდა ამას. ახლავე, ბატონო, მოდით აქ, ხალხო... შემომეკრიბენით! მოდი აქ, გენაცვალე, აგნესა, ჩემი კაი გოგო (აგნესა მიუახლოვდება), და მოდი აქ შენც ბიჭო, სერგია... (სერგია მეორე მხრიდან მიუახლოვდება) აგნესა, გენაცვალე, არ მომჭრა თავი ამ უცხო კაცთან, ხომ ხედავ, ჩვენი უჰუჰუების არ სჯერა და აბა, შენ იცი... (უნივერსალს) ახლავე, ბატონო, ისე, ამ უჰუჰუს და ოჰოჰოს ყველაზე მეტად შეეფერება, ალბათ... (სასოებით) სიყვარული.

უნივერსალი

(ნერვიულად) თუნდაც... თუნდაც...

ერასტი

დაიჩოქეთ, აბა, გენაცვალეთ... (აგნესა და სერგია დაიჩოქებენ) ვითომ თავდავიწყებით გიყვართ ერთმანეთი... კაი ახლა, აგნესა, არ იფეთქო ამ უცხო კაცთან, თავი მოგვეჭრება... ვითომ-მეთქი, აკი გითხარი, გენაცვალე. ესე იგი, სინამდვილეში თვალის დასანახავად ვერ იტან... შენ, ბიქტორ, ვითომ სერგიას კეთილისმყოფელი ხარ.

უნივერსალი

ჰეჰ... მეც არა ვთქვი? სამ კაცში რა უნდა... მთელი ხალხი უნდა გაერთიანდეს რომანტიზმის ნიშნის ქვეშ, მთელი ხალხი...

ერასტი

(არხეინად) თქვენ დარდი ნუ გაქვთ, ბატონო... ხალხი თავისით ჩაერევა. აბა, შევუდგეთ, მიდი ჰე, სერგია, მიდი ბიჭო, ასე, ასე, მიაშვირე ხელები!

აგნესა და სერგია, დაჩოქილები, ერთმანეთს ძველეგვიპტურ ყაიდაზე მიაშვერენ ხელებს.

ერასტი

(ხალხს) აბა, მოემზადეთ თქვენც, შეჭმუხნეთ სახე, დათასავით, ასე, ასე, შენც!.. ასე, გულზე მიიხუტეთ ხელები... აბა, დათვლა არ გინდათ, ჰეთ! (სპირალი – დიდად აღგზნებული ერასტი გამობრძმედილ რეჟისორსავით უტრიალებს ყველას).

სერგია

(სულ სხვა ხმაზედ) შენი თვალები... ცაა უძირო, მიმომწუხრის ჟამს...

აგნესა

მაშ ვიღა იყო მშობელი იგი...

ერასტი

კარგიაჰ!

უნივერსალი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს. გოგი ცოტათი ნაღვლიანად, დაფიქრებული დგას, გულზე გადაჭდომილ ხელებს ჩამოუშვებს.

სერგია

შუაღამემდე კვლავ დიდი დროა... ვინემ იყივლებს სანამ მამალი, ეჰა, გავიქცეთ...

აგნესა

ციურ ნამივით მზეზე ბრწყინავდა...

სერგია

ვაჰმე... ვაჰმე... (დაემხობა).

ბიქტორი

(სერგიას ზურგზე დაემხობა) არა-მეთქი, არა, შვილო და წულო. ერთადერთო ჩემო, სისხლო ჩემო და ხორცო და წარბო, ნუგეშინისმცემებლობავ, მამისა...

ერასტი

კარგიაჰ!

საიდანღაც გამომტყვრალი ვერიკო აგნესას ლოყებზე თითებს შემოაჭდობს: და ვიღამ მანუგეშოს მე, ღვიძლ-მშობელ დედას... (ხალხს მიაშვერს ხელს) თქვენ მაშინ თრთოდით...

კოკილო

(ჩაერევა) განსაცდელშია სამყარო იგი... ლურჯი პლანეტა...

ერასტი

დაგეძინა, ბიჭო, სერგია? (სერგია კვლავ მუხლებზე წამოიმართება) უთხარი, ბიჭო, რამე... ვითომ სახლიდან არ უშვებენ...

სერგია

(კვლავ ძველეგვიპტურად მიაპყრობს ხელებს) ორანჟერეაში გამოყვანილო მიხაკო, აგნესსსა...

აგნესა

მინდვრის გვირილავ, რაიმონდ...

ერასტი

კარგიაჰ!

შემოდიან და სცენის კუთხეშივე გაკვირვებულნი შედგებიან მუსიკოსები, ერთ-ერთი „ ტუბა “ ნაღდი მთვრალია, თავისთვის ტორტმანებს.

ბიქტორი

ნუ იქმ მაგას და, რაც გინდა, მთხოვე... თორემ იტყვიან, უპოვარი იყოო იგი.

სერგია

(გამოცოცხლდება, სულ სხვანაირ კილოზე ხარბად დაეკითხება) რაც მინდა, გთხოვო?

ერასტი

თათ!

სერგია

(რომანტიზმს უბრუნდება) და ცაც... ღრუბლები ნაზად მაწანწალა...

ბიქტორი

მჭმუნვარე იყო და დიდებული... ზეაღმასვლითი, ერთპიროვნულად...

ხურჯინიანი ბესარიონი

მაგრამ განგმირა სნაიპერის გულგრილმა ტყვიამ...

ლამზირა

გულზე ჭრილობა დააჩნდა მხოლოდ... მკერდის ყაყაჩო...

აგნესა დაემხობა. ხალხი სახეზე აიფარებს ხელებს.

აქ მესალამურეც ვეღარ მოითმენს, ორსავ ხელს გაიშვერს: ფიალა შესვა, სამარადჟამო... შებინდების ჟამს...

ვამიჩეიშვილი

მან კი სთქვა - არრა...

ბიქტორი

გულგანგმირული. გმინვით გრგვინავდა გულადი გული...

შალვა

თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზე თრთოდა.

არქიფო

მჭმუნვარე იყო, და დიდებული, მზეზედ - ბრწყინავდა...

აგნესა

(წამოიწევს) სვებედნიერნი იყავნთ... (კვლავ დაემხობა).

უნივერსალი

(ძალიან მოულოდნელად, ისიც ჩაერევა) უმანკოებავ, შთენილო ცისკრის... და ათინათი... (ძალიან შეცბება, აირევა) ჰო, იმას ვამბობდი... ჰო, არა უშავდა რა... ცოტათი დავიღალე მე... თავი ამტკივდა... წავიდეთ, გოგი, დავისვენოთ... ხვალ განვაგრძოთ და... როგორც იტყვიან, ხვალაც ამ კვირისაა და...

ერასტი

ხომ კარგი იყო? ხომ იყო კარგი, აა? ხომ ეს ყოფილა რომანტიზმი, ხომ?

უნივერსალი

დიახ.

ერასტი

აუჰ! ჭადის სახელი არ გვცოდნია, ბიჭო... ხომ გეუბნებოდით, ყველაფერი შეგვიძლია-მეთქი... ამას რა უნდა... ისე, შალიკო, შე შტერო, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის გერმანია რა ჯანდაბად მინდა, ყოველთვის ექნებოდა შეგნებულ ადამიანს ეს... (სპირალი) (უნივერსალს) ხომ იყო მძლავრი?

უნივერსალი

არა უშავდა, კი... საკმაოდ, ახლდა არტისტიზმი.

ერასტი

(გახარებულია) აქ ვისაც გვიყურებ, გენაცვალე, არტისტები ვართ სულ, ირგვლივ სოფლებშიც...

უნივერსალი

წავედით, აბა... ხვალ შევიკრიბოთ.

უნივერსალი, ასისტენტი და გოგი სცენის სიღრმისაკენ მიეშურებიან.

ერასტი

ასე უბრალოდ გავუშვათ ეს პატივცემული ხალხი? ორმოცდამეჩვიდმეტე დაუკარით... ჩქარა!

მესალამურე

ორმოცდამეჩვიდმეტე რომ არ ვიცით?

ერასტი

რომელი იცით აბა!

მესალამურე ოცდამეთორმეტე დავუკრათ?

ერასტი

ლეწეთ! ჰათ, ჩქარა!

დასცხებენ „ ჩემო ტკბილო მეგობარო “ -ს. სალამურს მხოლოდ ერთი „ ტუბა “ აჰყვება, მეორე „ ტუბა “ შემკრთალ ლამზირას ბარბაცით აედევნება, ადგილზე ყოჩაღად მოსიარულე ხალხში დაძვრებიან. ჩამოსულები მარშის ქვეშ მიდიან.

ფარდა

მეორე სურათი

ფარდის გახსნამდე კაკუნი ისმის – თურმე ვამიჩეიშვილი ფიცრულს შლის. ბიქტორი და არქიფო ნარდს თამაშობენ. არქიფო წელზემოთ შიშველია, მხოლოდ პერანგის ამხანაგი და ჩექმები აცვია, მისი ფუთად შეკრული ტანსაცმელი კი ბიქტორის მხარეზე დევს. კოკილოს ახალ, რკინებიან ტანსაცმელს უმოწმებენ. აგნესა თავისთვის, წყნარად, რაღაც უდანიშნულებო, უცნაურ მოძრაობებს აკეთებს, ოღონდ ვერავინ ამჩნევს, სერგიაც კი, რომელიც თავისთვის თამაშობს დანასობიას. სცენის სიღრმეში ღრმად მოწყენილი ბესერიონი სკივრზე სპარსულ ყაიდაზე ზის. ლამზირა და ბესარიონის ცოლი ქოლგით დასეირნობენ. საშიკო ჭიქას მიიყუდებს და წყალი კი უეცრად დათას გადასცდება, ხველას ატეხავს, მოხრილი, გაწითლებული, დროდადრო მრისხანედ ამოხედავს საშიკოს. კოკილო ტანსაცმლის დემონსტრირებას მორჩება, ახლა მხოლოდ თვითონ იმოწმებს რკინებდაკიდებულ ქამარს, დიდ რკინის ღილებს, ჯიბეებს. შალვა კითხულობს და გამომეტყველება ხშირად და ძალიან ეცვლება. გლეხი სიმინდებთან ზის. ერასტი დაფიქრებული დაგორავს.

სვიმონ ავანსცენაზე ბოლთას დასცემს: – არამედ არს ადგილი ესე ჰავითა შუენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი, ზაფხულ კეთილი, ზამთარს რბილი, უქარო; სანადირო მოუკლებელი ფრინვლითა, ნადირითა, თევზითა და სხვითაცა. ხილნი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი. მსახლობელნი არიან ქართველნი, ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, ჰაეროვანნი, მხნენი, შემმართებელნი, შუენიერნი, მბრძოლნი ძლიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყუარენი, ამაყნი და დიდის მთქმელნი.

ერასტი, რომელიც აქამდე უმიზნოდ დაგორავდა, კოკილოს შეაცქერდება: მოდი ერთი აქ, ბიჭო, შენ...

კოკილო ჟღარუნით მიუახლოვდება.

ერასტი

კოკილო, მითხარი ერთი, თუ კაცი ხარ, ოღონდ სიმართლე – შენი ფეხი გირჩევნია თუ კაი ჩეხური პროთეზი?

კოკილო

(დაფიქრდება) ნიკელიანი?

ერასტი

დანიკელებული სულ! ბზიალი რომ გაუდიოდეს უმთვარო ღამეში!.. (შემპარავად) ა?

კოკილო და... კარგად რომ მქონდეს მორგებული?

ერასტი

გადასარევად.

კოკილო

და... სახლიც რომ მქონდეს?

ერასტი

სამსართულიანი, თავისი ლოჯ-ლოჯიებით.

კოკილო და... ცოლიც რომ მყავდეს უკვე?

ერასტი

მზეთუნახავი, კოკილო.

კოკილო და... ფულიც რომ მედვას ჯიბეში?

ერასტი

ახლა გადაგყვები თან! ვინაა ე შტერი!.. (მონარდეებისკენ გაგორდება).

კოკილო დაფიქრებული დგას.

შემოდიან ვერიკო და გოგი, ვერიკო საკმაოდ აღგზნებულია.

ვერიკო

არა, ჩემო გოგი, არა, ასე და ამგვარად არ გამიგია მე! არ გეწყინოს და, შენი სტუმარია და, დიდი უზრდელი და ვნებათღელვიან-აღგზნებულ-მოურიდებელი ჩანს ის შენი ამოყვანილი კაცი.

გოგი ცდილობს, მაგრამ ვერ აწყვეტინებს.

ვერიკო

იმოდენა ჯიხური იმიტომ ააშენებინა მაგ ოჯახაშენებულმა, მე რომ გამეხადა? ვის გაუბედა თუ იცი შენ? დასცდენია ვინმეს როდესმე ჩემზე რაიმე აუგი ან ყოფაქცევაზე, ან ჩაცმულობაზე, ან სახის ნაკვთებზე... (სარკეს ამოიღებს, ყურადღებით იხედება) არა, ბატონო, არა! ასე და ამგვარად არ გამიგია... (პაუზა) ჩამოეგდო ჯერ ორი ღერი სიტყვა ამინდზე, აქეთურზე, იქითურზე, უზრდელი!.. ბრიყვი!.. რამდენი წლისაა?

ვამიჩეიშვილი

(ძალიან შორიდან, პირში ლურსმნებგაჩრილი) იქნება ასე, ორმოცდაათის!

ვერიკო

(გოგის) გაფურჩქვნის პერიოდია მამაკაცისთვის, გენაცვალე... მაგრამ მე მაგას არ გავუშიშვლდე, მეტი არაა ჩემი მტერი... როგორ გამიბედა მაინც, როგორ მაკადრა! ჩემი ბიძაშვილები საშოვარზე რომ არ იყვნენ წასულნი, ხომ გაპუტავდნენ ცოცხლად. ეგ... ეგ... (შალვას წიგნში ჩახედავს) ეგ ჰამორალური, ეგ!.. ცოლ-შვილი თუ ყავს...

ბიქტორი

(შორიდან) ეყოლება, აბა არ ეყოლება? (გააგორებს).

გოგი

ჰყავს, კი.

ვერიკო

აბა, რას მეარშიყებოდა მე, მაგას დაერღვა ოჯახი... მე ვინ ვგონივარ მაგას!.. არა, კაცმა კი უნდა გაიარ-გამოიარ-გაიარშიყოს ხანდისხანობით, მაგრამ პატიოსან ქალს კი არ უნდა მიადგეს ჯიხურში მაინცდამაინც... და თანაც ყოველგვარი შესავლის გარეშე!.. (პაუზა) ცოლობა - სხვაა.

არქიფო

ნამდვილად. (გააგორებს).

ვერიკო

მაგრამ მე მაგის ცოლ-შვილის საცოდაობაში ვერ ჩავდგები. არა-თქვა, გოგი, ასე უთხარი, დაბეჯითებული უარი გადაეცი, აჰ, აჰ, კიდევ კარგი, კიდევ კარგი...

გოგი

რა...

აგნესა

(შორიდან) რა და მაგისი ბიძაშვილები საშოვარზე რომ არიან... ჰი-ჰი!

ვერიკო

უჰ, უჰ!.. აგერ არ მოდის თავის კუდიანა?!. არ იქნა ჩემი მოსვენება!.. რაა ეგ ქალი, გოგი, მაგისი...

გოგი

არაფერი, თანაშემწეა.

ვამიჩეიშვილი

(შორიდან) დობილი იქნება ნამდვილად, კი... (ჩაიფხუკუნებს).

საშიკო

(შორიდან) რატომ, რა! განა არ შეიძლება, ქალი და კაცი ძმობილი და დობილი იყვნენ?

დათა

ძმობილმა უთხრა დობილსა, აქ შემოგორდი ლოგინსა.

ვერიკო წავალ ახლა მე და, შენი ჭირიმე, გოგი, ერთი გამიგე, მაგას და იმ ქალს რაიმე ხომ არა აქვთ ერთმანეთში... (პაუზა) მე ვინ ვგონივარ მაგას! იქით ამ ქალთან იპროწიალოს, თლათ იქით ცოლ-შვილი ჰყავდეს და აქეთ მე მიძღვნას გულმხურვალე ფიცები? თვალთმაქცი, უზრდელი... მათხოვე, ლამზირა, მარაო.

ქოლგას გამოართმევს და უნივერსალი და ასისტენტი რომ შემოვლენ, ვერიკო დიდის ამბით გადის.

ერასტი

ოო, ასიას გაუმარჯოს, ასიას...

დანარჩენები უნივერსალს ესალმებიან: „ კაი გამარჯობათ, ბატონო... გაგიმარჯოთ... ღმერთმა გამარჯვება მოგცესთ... მეტი უკეთესი რაღა უნდა ვერიკოს... “ უნივერსალი წელზემოთ შიშველ არქიფოს რომ ჩაუვლის, ეტყვის: ტყუილად შეწუხებულხართ. სამედიცინო შემოწმება აღარ იქნება.

არქიფო გაკვირვებულია.

გოგი

არა, უბრალოდ, ტანსაცმელი წააგო.

უნივერსალი

(გოგის ცალკე გაიყვანს) გოგი, ამ ხალხთან საუბარი მსურს.

გოგი

ძალიან კარგი. ცალ-ცალკე თუ...

უნივერსალი

ცალ-ცალკე მირჩევნია.

გოგი

კი, ბატონო, რომელი მოგიყვანოთ...

დამაშოშმინებელი

(ჩამოივლის) დაწყნარდით, დამშვიდდით... თორემ მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი... წყნარად იყავით... ჭკუას ძალა დაატანეთ...

უნივერსალი გაკვირვებული გააყოლებს თვალს. ისევ გოგის მიუბრუნდება.

უნივერსალი

რომელი და... აი, თუნდაც აზარტულ თამაშში დაზარალებული.

გოგი

არქიფო! მობრძანდით აქ, თუ შეიძლება, ერთი წუთით...

ბიქტორი არქიფოს ტანსაცმელს გაუწვდის, არქიფო გზადაგზა იცვამს, უნივერსალს უახლოვდება, ღილებს იბნევს.

უნივერსალი

კი მაგრამ, ეგ ტანსაცმელი ხომ წააგეთ?

არქიფო

დროებით, ბატონო.

უნივერსალი

მომავალ გამარჯვებათა იმედი გაქვთ?

არქიფო

რატომაც არა! მაგრამ ისე, რა მნიშვნელობა აქვს...

უნივერსალი

ეს როგორ...

არქიფო

მერე ვაბრუნებთ ხოლმე ტანსაცმელს.

პაუზა. ერთმანეთს შესცქერიან.

უნივერსალი

კი მაგრამ, რაღა აზრი აქვს თამაშს?

არქიფო

ვერთობით ისე, ჩემო ბატონო... გახდაზე ვთამაშობთ, ვმასხარაობთ ჩვენ – ჩვენთვის... აბა ტყვილა თამაშს რა აზრი აქვს...

უნივერსალი

რატომ ტყვილა... ფულზე ითამაშეთ.

არქიფო

ფულზეო? ეს რა ბრძანეთ, ფულზე თამაში როგორ შეიძლება. მეზობლებს გამოვტყუო ფული? განათლებული კაცი მეგონეთ და...

უნივერსალი

არა, ესე იგი, ფულიც დააბრუნეთ-მეთქი...

არქიფო

ფულის დაბრუნება... ძნელია, ბატონო.

უნივერსალი

არ სჯობს ტყუილად გახდა-ჩაცმას?

არქიფო

რატომ ტყუილად... სხვა დროს მე მოვიგებ, მაგიორში... ვამასხარავებთ ერთმანეთს.

უნივერსალი

რატომ ამასხარავებთ?

არქიფო

ვერთობით, ბატონო.

უნივერსალი

რატომ ერთობით! სხვა საქმე არაფერი გაქვთ? აგერ, ვენახი, სახლ-კარი, ყანა... წესიერ მუშაობას ეს სულელური გართობა რატომ გირჩევნიათ!

არქიფო

(ღიზიანდება) რატომ და იმიტომ! გართობას მიშლით? მტერმა იქნია სულ თოხი და ნამგალი! (პაუზა) აბა, თქვენ რომ ერთობით, ის ხომ კარგია?

უნივერსალი

რითი ვერთობი...

არქიფო

რომ გვალაპარაკებთ სისულელეებს, ბატონო!.. და ქალების გახდა-გაშიშვლების მცდელობას რომ იჩენთ! ეს ხომ... ეს... ეს... (შალვას წიგნში ჩახედავს) ეს რეციდივია! მაგრამ აქვთ, კიდევ კარგი, გემოვნება... (ნარდიან მაგიდას უბრუნდება, იხდის, თამაშობენ).

უნივერსალი

დიდი ღვარძლიანი კაცი კი ჩანს.

ასისტენტი წიგნაკში რაღაცას იწერს.

გოგი

არაა ძალიან ღვარძლიანი.

უნივერსალი

რა ვიცი, კინაღამ ყელში კი მწვდა და...

არქიფო

(შორიდან გამოსძახებს) კარგით ახლა, ბატონო, ნურაფერს ჩაიდებთ გულში!.. დროებით აღელვებად აღნუსხეთ... თორემ ისე, სტუმარი თავს მირჩევნია... ერთი-კაი ლამაზი ბეში კამათელო!

პაუზა.

უნივერსალი

ერთი ის ტყუპები მომიყვანე.

გოგი

საშიკო, დათა!.. მობრძანდით ერთი აქ.

საშიკო

ახლავე, ბატონო...

დათა

მე მაგასთან საყბედაოდ არა მცალია. შენ წადი მარტო, თუ გინდა...

საშიკო

(ამაოდ იწევს, ბრაზდება) დაიწყე, ხომ? შენებურები, ხომ?

დათა

არა, ბიჭო და, გადაგყვები თან...

საშიკო

უხერხულია, ამ უცხო კაცთან... გადმოადგი ახლავე ფეხი!

დათა

ფეხი კი არა...

გოგი

ჩვენ მივიდეთ... უჭირთ სიარული.

უახლოვდებიან.

უნივერსალი

კარგი გამარჯობათ!.. როგორი პირი უჩანს მოსავალს, ა?

ლამზირა

(შორიდან) ეგრე ვერიკოსთან უნდა დაგეწყო ლაპარაკი.

საშიკო

ძვირფასად გაგიმარჯოთ, ძვირფასი პირი უჩანს, ბატონო.

დათა

(უნივერსალს) რა შენი საქმეა.

შემცბარი უნივერსალი გოგის შეხედავს.

საშიკო

ვენახს ასხია ისე მშვენივრად, თვალს არ დაუჯერებთ, ჩემო ბატონო.

დათა

ერთი სეტყვა და იმისი ჯანი.

უნივერსალი

როგორ, სეტყვას ნატრობთ?

დათა

არაა შენი საქმე. დიახ.

უნივერსალი

როგორ... ეს როგორ... რატომ!

დათა

რაში გეკითხება შენ... იმიტომ, რომ ნაკლებს დალევენ ღვინოს.

უნივერსალი

როგორ, ეს როგორ! ნატურალური ღვინო - ცუდია?

დათა

რა არის აბა! ეს რომ დალევს, ისეთ სისულელეებს ვიძახი, შენნაირ მოცლილს გაუხარდება.

საშიკო

ჩაიგდე ენა!

დათა

სულელის ხმა მესმის!

საშიკო

უზრდელი, უზრდელი! შინაური შენ არ იცი და სტუმარი!

დათა

ერთი ოხერი ხართ ყველა!

საშიკო

რა�о? ესეც შენ! (ფეხზე დაირტყამს ფეხს, დათა შეჰყვირებს, დაიხრება, ფეხს იზელს; მერე აიღებს და მუშტს ჩაირტყამს მუცელში, ახლა საშიკო მოიკაკვება... თავის თავს გამწარებულნი უბაგუნებენ მუშტს. ხალხი მოცვივდება, აჩერებენ, დამაშოშმინებელი გარბის: „ ხომ გეუბნებოდით... აკი ვამბობდი... სამშაბათობითაც დაიწყეთ ჩხუბი?! “ გლეხს სიმინდებს წაუქცევენ, დიდი არეულობაა; ყველანი მონაწილეობენ გაშველებაში, გარდა გლეხის, ბესარიონის, ამოსულებისა და ერასტისა, რომელიც შუა სცენაზე ასისტენტს ურიკაში ჩაჯდომას დიდად მონდომებული ჟესტებით სთავაზობს).

როგორც იქნება, ჩაწყნარდებიან. უნივერსალი, გოგი და ასისტენტი განზე გადიან.

უნივერსალი

რამ გააბოროტათ, რამ გააბოროტათ ასე...

გოგი

მოდით, სხვასაც გაესაუბრეთ. ეგენი... გამონაკლისია.

უნივერსალი

(მიმოიხედავს) ერთი ის მოწყენილი კაცი მომიყვანე.

გოგი

ბესარიონ-ბატონო! მობრძანდით ერთი, თუ შეიძლება. ჩვენთან... (უნივერსალს) ოღონდ ამბის მოყოლას ნუ გააწყვეტინებთ.

ბესარიონი დაეჭვებული მიუახლოვდება.

გოგი

ამ ჩვენ სტუმარს, ბესარიონ, საუბარი სურს შენთან.

ბესარიონი

ახლავე, ბატონო.

სკივრთან მიიჭრება, ცოლს ძალიან ეხვეწება: შენი ჭირიმე, მარო, შენ წამოიღე პურ-მარილი. აბა, ეგ ტვირთი მე რომ მოვიკიდო, მერე ამბის მოყოლას შევძლებ? ამბავს რომ მოჰყვე, ჩიტივით თავისუფალი უნდა იყო, გაიგე, ჩიტივით...

ცოლი

ჩიტივით კი არა, შე უბედურო, ამათი მასხარა გინდა გახდე და ისიც კი არ გამოგდის, შე უნიჭო, შენ!

ბესარიონი ხურჯინს მოიკიდებს და უნივერსალს მიუახლოვდება.

უნივერსალი

გამარჯობათ, როგორ გიკითხოთ?

ბესარიონი

გმადლობთ, ბატონო, ვარ ჯერჯერობით მაგრა, სტამბულის კაჟივით.

ერასტი

(სადღაც შორიდან წამოიძახებს) აუუჰ, ძლივს არ ჩავავლეთ? ეს არ ყოფილა სტამბულის კაჟი? (ხითხითებს, სიცილის შესაკავებლად ხელისგულს პირზე იფარებს).

ვამიჩეიშვილი

მოარული ტალ-კვესია სოფლის!

არქიფო

თოფი რაღად უნდოდა ომში! (აგორებს).

ბიქტორი

ნეტავ იაპონელები თუთუნს თუ წევენ... (გააგორებს) მიაკაჟე ერთი ის ქვა!..

სერგია

მაგან გაანახევრა მთელი იაპონია!

არქიფო

ისე, ზოგ რამეში კი მქონია ბედი.

შალვა

(დაინტერესდება, თავს ასწევს) რაში, არქიფო?

არქიფო

იაპონელად რომ არ გავჩნდი ამ ქვეყანაზე. (აგორებს).

ერასტი

კარგი ხარ, არქიფო!

ვამიჩეიშვილი

კიდევ კარგი რომ, ჩვენ მაინც გვინდობს თანასოფლელებს.

სვიმონ

შენ მაინც, დასანდობად, სახელიც კი გიწყობს ხელს.

(ვამიჩეიშვილი შეეჭვებულია)

ერასტი

ისე, ნავთობის სიახლოვეს, განსაკუთრებით საშიშია მაგისი ჩავლა.

არქიფო

უნდა დავლუქოთ!

ბესარიონი

(აქამდე გაურკვევლობაში მყოფი, არქიფოს მივარდება) ვინ უნდა დალუქო შენ! ვინაა შენი დასალუქი!

ძალიან იწევს არქიფოსაკენ, შემობრუნებული დამაშოშმინებელი ისე თავგზააბნეული გარბის, გლეხს სამივე სიმინდს წაუქცევს.

არქიფო

შენ რა შუაში ხარ, ბესარიონ, აგერ, ნარდზე ვამბობდი. დრო მიაქვს ბევრი (უნივერსალს ინადით გადახედავს) და უნდა დავლუქოთ-მეთქი.

ბესარიონი

ოო, ეგ სხვა საქმეა. (თუმცა აშკარად არ სჯერა არქიფოსი, უბრალოდ, გულს იკეთებს).

შემოდის მონადირე, დაძაბული იხედება ირგვლივ.

უნივერსალი

ერთი გამაგებინე, გოგი, რას დაბოდიალობს თოფით ეს კაცი...

გოგი

არ ვიცი, ალბათ, რაღაცას ეძებს...

ბიქტორი

დავალება ექნება რაიმე... (აგორებს).

არქიფო

დავალება კი არა, ტყეში ნადირი სულ გავწყვიტეთ და...

ვამიჩეიშვილი

ეს რომელ ტყეში?

გოგი

ვერაფერს გეტყვით.

პაუზა.

უნივერსალი

რა აზრის ბრძანდებით თანასოფლელებზე?

ბესარიონი

ვისზე, ამათზე? ესენი, ბატონო... (ხალხს გახედავს და ძალიან საქმიანად წამოიწყებს) ესენი არიან ოხერი ხალხი. ვაჟკაცი ამათ არ იციან და გლახაკი. თეთრისგან შავი ვერ გამოურჩევიათ და მოსმენა რომ მოსმენაა, ესეც კი არ შეუძლიათ, ისე, ტყუილად და დაუმსახურებლად უნდათ ძვირფასი პურ-მარილი. ეს ვიღანაა? (შემოდის ძალიან თმაგაშლილი ვერიკო. ხელქოლგიანი, ძალიან კეკლუცად მოაბიჯებს, უნივერსალი ხაზგასმით არიდებს თვალს).

ბესარიონი

ძლივს არ ვიცანი?.. ეგ კიდევ ჯობია სხვებს. ნამდვილად არ წააგებთ, ბატონო.

უნივერსალი

რაო?

ბესარიონი

არა, არაფერი... (განაგრძობს) თვითონ არაფრისმაქნისები არიან, ბატონო, და სხვისიც არ სჯერათ არაფერი. ბოლომდე ერთხელ არ დაინტერესებულან, ბატონო, ერთხელ, თუ სად ვიყავი, თუ რა გადამხდა თავს და (მოხარშულ ქათამს ამოიღებს) როგორ გამოვიჩინე თავი.

ვერიკო

რას აკეთებ, სერგია?

სერგია დანას რაღაცნაირი ილეთით ჩაასობს.

ვერიკო

მათამაშე რა მეც, მათამაშე რა, სერგია?

სერგია

მოდი.

უნივერსალი

რას არ იჯერებენ?

ბესარიონი

რას და... რაც მე გადამხდენია?! აჰ, მტრისას, მტრისას! მივდივარ ერთხელ ეფ კვადრატში, მახვილი თვალით გავიხედე და...

ბესარიონის ხმა ითიშება, ისე კი, როგორც მისი ჟესტებიდან ჩანს, დიდის გატაცებით ჰყვება ამბავს. დროდადრო შეჩერდება და უნივერსალს მიაჩერდება, ის კი გოგის დაკვირვებით გამოხედავს. ბესარიონი ამბის მოყოლისას მთელ პურ-მარილს ამოალაგებს... ამასობაში ვერიკო ძალიან კეკლუცად ისწრაფვის დანის ჩასობას, სერგიას წამდაუწუმ ეკითხება: „ ახლა ასე, არა, სერგია? “ „ ასე უნდა, ხომ? “ „ მაინც ხომ კარგად ვთამაშობ? “ „ უჰ, ძალიან მეტკინა მაჯა... “ - და თან სერგიას ნაცვლად უნივერსალისაკენ იყურება; ერთხელ კინაღამ მუხლში მოარტყამს დანას, მაგრამ სერგია დროულად გადაგორდება.

ბესერიონი ამბის უხმოდ მოყოლას განაგრძობს.

ვერიკო

(სერგიას) ხომ ყოჩაღი ვარ?

არქიფო

(შორიდან) - ისე დაგიმშვენდა ცხვირი... (აგორებს).

შალვა

(დროებით აიღებს თავს) ნაწარმოებშიაც არ შემხვედრია შენისთანა ყოჩაღი... ჰმ! (ისევ წიგნში ჩარგავს თავს).

სერგია

ისე, რა ქალის საქმეა დანის თამაში, ვერიკო ბიცოლა...

ვერიკო

რაარ? რას სულელობ, ბიჭო, თუ იცი შენ? სადაური ბიცოლა ვარ მე შენი... ჯერ ეს ეგ ერთი, ბიძა არა გყავს, მეორეც ის რომ, გინდაც გყოლოდა, იმას გავყვებოდი? და მთავარი ის, რომ გაუთხოვარი ვარ, ბიცოლას კი გათხოვილ-ნაჯიჯგნ ქალებს ეძახიან და მეხუთეც ის, რომ თავის კბილა ადამიანებს ბიცოლას არ უწოდებენ.

ბიქტორი

(კამათლებს ყანწში აჩხაკუნებს) რანაირად არიან, ესენი ტოლები. არ გახსოვს, არქიფო, სერგია რომ დაიბადა და პურ-მარილი გააწყვეს, სანამ სუფრასთან დავსხდებოდით, ფლირტს რომ შევყევით და ყველაზე გატაცებით ეს ჩვენი ვერიკო არ თამაშობდა? (აგორებს).

ვამიჩეიშვილი

თუმცა, სერგია ისეთი მზარდიაა...

არქიფო

როგორ არ მახსოვს... იწვოდა. იწვოდა! (ახლა ის აჩხარუნებს მუჭში კამათლებს) ერთი ღერი ქაღალდი მეც გამომიგზავნა და, აწითლებულმა, ჟუნჟრუკოო, მითხრა.

ბიქტორი

რა ეწერა შიგ, პაემანს ხომ არ გინიშნავდა?

არქიფო

აჰ, არა, კაცო... ადამიანი უნდა იყოს ზნეობრივად ამაღლებული და მორალურად უმწიკვლოო თუ რაღაცა ამდაგვარი სისულელეები ეწერა (პაუზა) ეს ქვა აქ იდო?

ბიქტორი

კი.

არქიფო ეჭვით შესცქერის.

არქიფო

რაღაც არ მახსოვს.

ბიქტორი

გადამრევ მე შენ... შე კაცო, ოცდახუთწლიანი ჟუნჟრუკო გახსოვს და აგერ ახლახან არ ვითამაშე აქედან ბეში?

ერთმანეთს გამომცდელად შესცქერიან. მერე არქიფო ცალ ჩექმას იხდის.

ვერიკო

სერგია, გენაცვალე, რაღაც აგრილდა ცოტათი მგონი და, წავალ ერთი და, მოვიხურავ რამეს...

დიდის ამბით ჩაუვლის უნივერსალს, მაგრამ ის ვერ ამჩნევს, რადგან გაკვირვებული მიჩერებია ექსტაზში შესულ ბესარიონს.

აგნესა

(ვერიკოს თვალს გააყოლებს) ჰოჰო, რას დაიარება? სადმე არ წამოჰკრას კენჭს ფეხი... (მჭადს კეციდან აიღებს და სადღაც მიაქვს. ვერიკოზე უფრო მონდომებული მიხრა-მოხრით მიდის).

ერასტი

(თვალს გააყოლებს აგნესას) ჰეეე, რა დედის გული, თორემ ამას ადამიანი გაზრდიდა?!

კოკილო (რომელიც აქამდე დიდხანს დაფიქრებული იდგა, უცებ გამოცოცხლდება) მაინც ჩემი ფეხი მირჩევნია მე!

ერასტი

კი ბატონო, (ხელისგულს მკვეთრად მიაშვერს) მომიცია.

ბესერიონი

ასე იყო ჩემი საქმე, აბა?!

უნივერსალი

(ცივად) გასაგებია, ყველაფერი გასაგებია.

ბესერიონი

(გახარებულია) ხომ ყოფილა გასაგები, ა ხომ ყოფილა?

უნივერსალი

ნამდვილად ყველაფერი გასაგებია.

ბესერიონი

მიირთვით, ჩემო ბატონო, აგერ, გოჭის ხორცია ძვირფასი, ან ეს ქათამი გადაიხლიჩინეთ. როგორ გაუდის ყვითლად ქათქათი! აჰ... სმაში, ჩემო ბატონო, უფრო და უფრო საინტერესო ამბებს მოგიყვებით...

უნივერსალი

გმადლობთ, არ მინდა, დიეტაზე ვარ.

ბესერიონი

რაზე ხართ? (ფეხსაცმელებთან დააცქერდება).

უნივერსალი

დიეტას ვიცავ, სამკურნალო აბებით ვიკვებები. ერთი ის წიგნიანი კაცი მომიყვანეთ.

ბესარიონი პურ-მარილს ხურჯინში ალაგებს. უნივერსალი გოგის განზე გაიყვანს.

უნივერსალი

ეს სად ამომიყვანე, გოგი?! ეს ვინ ყოფილან... ღვარძლიანები, ბოროტები, ტრაბახები, მატყუარები...

გოგი

არა, არა, ეგრე არაა საქმე... ბოროტები კი, თავს ვდებ, არ არიან.

უნივერსალი

კი, კი, გულკეთილებია ძალიან. ძმა ძმას არ ინდობს და მეზობელი მეზობელს და თოფმომარჯვებული კაცი შუა სოფელში დაგიდით.

გოგი რაღაცას უხსნის, მაგრამ მისი ხმა არ ისმის, ბესარიონი და ასისტენტი შალვასთან მიდიან.

ბესერიონი

შალვა, გამოიხედე ერთი... შალვა!

შალვა

რა იყო...

ბესერიონი

გამოიხედე-მეთქი, კაცო.

შალვა

პატარა ხანს დამაცადე, აბზაცამდე ჩავალ.

ბესერიონი

სადამდე ჩახვალ?.. მერე, შე კაცო, როდისღა ამოხვალ, დაგვიანდება, უხერხულია იმ სტუმარ კაცთან. თანაც, ისეთი გამგებიანია...

ერასტი

(ურიკიანად მოგორდება) როგორ გიკითხოთ, ძვირფასო ასიავ, როგორ შეეჩვიეთ აქაურობას?

ასისტენტი

მე ასია არ მქვია.

ერასტი

ძალიან კარგი, ძალიან კარგი... თქვენ გათხოვილი ბრძანდებით, ქალბატონო, ასია თუ, პირიქით?

ასისტენტი

გაუთხოვარი ვარ და არც მინდა.

ერასტი

აუჰ, ეს რა ბრძანა თქვენმა მარწყვივით თლილმა ტუჩებმა! გაუთხოვარი კი არა, ჩვიდმეტი ბედნიერი ქმარი უნდა გყავდეთ წესით თქვენ – ჩაწიკწიკებულები, სიმაღლის მიხედვით... (შეცბება).

ასისტენტი

(შალვას) ჩემმა უფროსმა, წიგნიანი კაცი მომიყვანეთო.

ერასტი

მათხოვე შალვა, თუ ძმა ხარ, ეგ კოხტა წიგნი!

შალვა

ა გენაცვალე, ერასტი, ისევ შენ თუ გამიგებ... თავიდან, იცოდე, შედარებით დუნედ იწყება...

ერასტი

რა უჭირს მერე, თავიდან ყველაფერი დუნედ იწყება...

შალვა

მაგრამ თანდათან, მერე და მერე, თანდათანობით ზეაღმასვლითი ამბებია ისეთნაირიიი...

ერასტი

არ გავუდგეთ გზას, ქალბატონო ასია?

ასისტენტი

ჩემს მეთაურს წიგნის მიმტანი კი არ აინტერესებს, არამედ ეს ადამიანი ნუმერი ოთხი.

ერასტი

დაგვნომრეთ კიდევაც, კვადრატებივით, ქალბატონო ასია? მე რომელიღა ვარ...

ასისტენტი

(ბლოკნოტს გადაშლის) თქვენ – ნუმერი ორი.

ერასტი

ვინ მამჯობინეთ!

ასისტენტი

როგორ?

ერასტი

პირველ ნომრად ვინაა...

ასისტენტი

გოგი.

ერასტი

აჰა!.. შალვა, გენაცვალე, მოდი გავცვალოთ ჩვენ-ჩვენი ნომრები, არ გირჩევნია? - ორი ადგილით დაწინაურდები.

ასისტენტი

რა შუაშია ნომრები. ჩემს მაესტროს, აი, ეს ადამიანი აინტერესებს, წამობრძანდით.

შალვა

მე ჩქარა დავბრუნდები, ჩემო ერასტი და, რაიმე სიტყვას თუ ვერ გაიგებ, ამოიწერე და ზედმიწევნით აგიხსნი.

ერასტი

(გაბრაზებული ჩაილაპარაკებს) შენ და შენი ზედმიწევნითი... (უნებურად წიგნით ინიავებს სახეს).

უნივერსალი

კარგი გამარჯობათ. რა გხიბლავთ თქვენ ცხოვრებაში?

შალვა

კარგად გაგიმარჯოსთ. ცოდნა-განათლება ცხოვრებაში ყველაფერს მირჩევნია მე.

უნივერსალი

ძალიან კარგი, ძალიან. მისასალმებელია. თქვენი მეზობლებიც ასე ფიქრობენ?

შალვა

არა, აჰ, ბატონო, აჰ! ესენია, ჩემო ბატონო, ყოვლად მოუწადინებელი ხალხი. წიგნი ამათ არ აინტერესებთ და კალამ-კალმისტარი და არაფერი. როგორღა არ ვცდილობ, წავაკითხო ორი ღერი წიგნი, ერთთავად ჩავჩიჩინებ, ვემუდარები...

შალვას ხმა წყდება, ისე კი, მისი მოძრაობებით ჩანს, შეწუხებული რომ ჩივის უნივერსალთან, შალვას ხმა შეწყდება ვამიჩეიშვილის დალაპარაკებისთანავე, რომელიც ერასტის მიუახლოვდება.

ვამიჩეიშვილი

ეს რა დაგიკავებია ხელში, რითაა რომ ინიავებ სახეს?

ერასტი

რა ვიცი, ამის მომგონი პატრონი... (გამოცოცხლდება, აშკარად რაღაც სიცელქეს ჩაიფიქრებს) ვინიავებ კი არა, სვიტიკო ჩემო, ვაშრობ ამ წიგნს მე.

ვამიჩეიშვილი

წყალში ჩაგივარდა თუ?

ერასტი

აჰ, არა, კაცო – ძალით დავასველე.

ვამიჩეიშვილი

ხომ მოგკლავს მერე ეს ჩვენი შალვა...

ერასტი

რატომ უნდა მომკლას ვითომ!.. ჩემს საქონელს, როგორც მინდა ისე მოვიხმარ.

ვამიჩეიშვილი

რა, იყიდე თუ...

ერასტი

შვიდი აბაზი გადავიხადე ნაღდი ფული.

ვამიჩეიშვილი

შეიშალე, ერასტი?

ერასტი

შევიშალე კი არა, არ იცი შენ, რანაირი წიგნია ეს.

ვამიჩეიშვილი

მაინც, რანაირი...

ერასტი

რანაირი და სვიტიკო ჩემო, სწორედ ახლა გავაშრე და მოდი დახედე, რა სწერია?

ვამიჩეიშვილი

შიგ თუ ზედ?

ერასტი

სადაც კი გინდა, აბა?! ხომ ხედავ კარგად? დასველებამდე კი სულ სხვა ამბავი ეწერა. კარგი იყო ისიც.

ვამიჩეიშვილი გაკვირვებული შესცქერის.

ერასტი

ძნელი დასაჯერებელია, ხომ? მაგრამ შვიდი აბაზი ქუჩაში არ ყრია. ამ წიგნს ის შესანიშნავი თვისება აქვს, რამდენჯერ დაასველებ, ახალ-ახალი ამბები იკითხება შიგ. მერედა, როგორი ამბებია, აღარ იკითხავ? ჯერ თავიდან, შედარებით დუნედ იწყება, მაგრამ მერე და მერე, თანდათანობით, ამბებია ისეთიიი...

ვამიჩეიშვილი

ხუმრობ რაღაცას, ერასტი, შენ...

ერასტი

როგორ თუ ვხუმრობ? შვიდაბაზიან საქონელს ტყუილად გაგაფუჭებინებ აბა? (გახედავს შალვას, რომელიც მათკენ ზურგით დგას) დაასველე თუ გინდა, შენ და დარწმუნდები საკუთარი თვალით. (პაუზა) მოკიდე, მოკიდე ხელი. კი არ გიკბენს... ისე, თავიდან, სულ ფურცელ-ფურცელ უნდა დაშალო. შენ ფიქრი ნუ გაქვს, თავისით მიწებდება მერე...

ვამიჩეიშვილი

რომ არ მიწებდეს?

ერასტი

კაცო, ჩემ საქონელზე შენ დარდობ? ვიცი ალბათ, რომ გეუბნები. ოღონდ მიყოლებით უნდა ამოხიო... მიდი, მიდი... ოოო, მასე... კარგიაჰ!.. გააწყვე ახალ მიწაზე კოხტად... ოოო, ეგრე... ახლა ჩამოუარე და დაასხი დოქით წყალი... ასე, კი. ასე... ისე, ღვინოს თუ დაასხამ, სურათები გამოვა. კაი-კაი ნახატები. მიდი-მეთქი, კაცო, სულ ტიტველი ქალები ამომზეურდებიან... ახლა, სვიტიკო ჩემო, სილა უნდა მიმოაყარო ზომიერად და მერე ფეხებით უნდა დატკეპნო, ვაზსავით უნდა დაწურვა, გენაცვალე...

ვამიჩეიშვილი ჯერ სილის გორაზეა, შალვას ხმა რომ ამოტივტივდება.

შალვა

ისე უგულოდ ექცევიან ამ საკითხს, ისე უგულოდ, არც დაიჯერებთ, ჩემო ბატონო, ერთხელ, ეს დრო თუ იქნებოდა, ერთი ძვირფასი წიგნი მაგიდის ქვეშაც კი ამომიდეს, იპოვნეს, რაღა, საყრდენი, დიდი ოხერი ხალხია, დიდი...

უნივერსალი

გამოსავალს თუ ხედავთ რაიმეს? (ასისტენტს) ხომ იწერთ ყველაფერს, ვერონიკა?

ასისტენტი

დიახ.

ერასტი

რა მოგახსენოთ, ბატონო, ძნელი საქმეა... ეგებ, რაიმე მოვიფიქრო და მოგახსენებთ მერე წვრილად.

უნივერსალი

კარგით, წაბრძანდით.

შალვა შებრუნდება, სამიოდ ნაბიჯს გადადგამს და ელდანაკრავი შედგება, პირდაღებული შეაცქერდება ვამიჩეიშვილს, რომელიც ორ ფურცელზე მონდომებული აბარტყუნებს ფეხს - „ ადგილზე იარ! “-სავით. „ ჩემო ტკბილო

მეგობარო „ ფრაგმენტულად გაისმის სხვა ფურცლები შორიახლოს აწყვია. დამაშოშმინებელი კი მონარდეებს ეუბნება: „ წყნარად ითამაშეთ, წყნარა... არ გინდათ ჩხუბი და აყალ-მაყალი... მერე გვიანღა იქნება... დამიჯერეთ... “

უნივერსალი

(გოგის) კარგ ადგილას კი ამომიყვანე, რაც მართალია, მართალია. რანი ყოფილან მაინც, ესენი – ტრაბახები და ღვარძლიანები, ბოროტები და ზარმაცები, ერთმანეთში ავტორიტეტი სულაც არა აქვთ...

გოგი

არა, არა, ბოროტები და ზარმაცები სულ არ არიან. უბრალოდ, ასე სჩანან...

უნივერსალი

როგორ არ არიან, აბა, განსაჯე...

და აქ კი შალვა უეცრად კამარას შეჰკრავს და ვამიჩეიშვილს მკერდში გლიჯავს თავს. დიდად გაკვირვებული ვამიჩეიშვილი თავიდან ვერ ახერხებს აქტიური წინააღმდეგობის გაწევას – „ ვინაა... რა უნდა... შალვა, გადაირიე, შალიკო?.. “ მერე კი, ყელში ჩაფრენილ შალვას რომ მოაშორებენ, ისიც ძალიან იწევს: „ გამიშვით, მაგის სულელი... გადაგრია ხომ, საბოლოოდ, კითხვამ ხომ? გამიშვით!.. “ შალვას ვერაფრით აწყნარებენ, ვამიჩეიშვილიც უფრო და უფრო ბრაზდება... დიდი აყალმაყალია, გლეხს სიმინდებს წაუქცევენ, დამაშოშმინებელი გარბის ჩვეული შეძახილებით; რაღაცას მიმხვდარი ვამიჩეიშვილი ერასტის ეჭვით შეაცქერდება. მცირე პაუზა.

ერასტი

(ვამიჩეიშვილს, ძალიან ხმამაღლა, ცალი თვალი შალვასკენა აქვს) ხომ გეუბნებოდი!.. ნუ იზამ-მეთქი მაგ საქმეს, ნამდვილად ეწყინება-მეთქი!.. აკი გეუბნებოდი.

ვამიჩეიშვილი

უუხ, შენი!..

ახლა შალვა ისევ ვამიჩეიშვილისკენ იწევს, ხოლო ვამიჩეიშვილი – ერასტისაკენ. ერთის მხრიდან შემოდის თმაგაშლილი, ყელზე „ ჩერნობურკა “ -შემოხვეული ვერიკო, მეორე მხრიდან კი გაფაციცებული მონადირე, რომელიც ვერიკოს მელიას შენიშვნისთანავე უყოყმანოდ დაუმიზნებს თოფს. ვერიკოს შეკივლებაზე ახლა ყველანი მონადირეს მიცვივდებიან, ვამიჩეიშვილი და ერასტიც კი, ანამუსებენ, ისიც, თავდახრილი, თოფდაწეული დგას. გლეხი სიმინდებს ასწორებს. შალვა ფურცლებს აგროვებს, გულისტკივილით დასცქერის.

ერასტი

ქალბატონო ასია, ამ არეულობაში, ვინმემ ხომ არ დაგაბიჯათ უზრდელი ფეხი?

ასისტენტი არ პასუხობს, გამალებული იწერს რაღაცას.

უნივერსალი

ესაა, გოგი საქმე? ერთი განათლებული კაცი გყავთ და, ისიც თავს ირტყმეინება?

გოგი

აღელდა ადამიანი, უნებურად...

უნივერსალი

რატომ აღელდა!

გოგი

წიგნი რომ დაუხიეს.

უნივერსალი

რატომ დაუხიეს!

გოგი

იხუმრეს, თავისი ჭკუით, ალბათ...

უნივერსალი

კარგი ხუმრობაა, მშვენიერი, კარგი... უკეთესი რომ არ იქნება, აღნუსხეთ?

ასისტენტი

დიახ.

უნივერსალი მოკლე ბოლთას სცემს. გაღიზიანებულია.

უნივერსალი

ამათთან შეუძლებელია მუშაობა... ამათ ჭკუასაც კი ვერ დაარიგებ.

ერასტი

(რაღაცნაირად, გაიგო; გამოსძახებს) ჩვენ რა ჭკუის დარიგება გვჭირდება, ბატონო, ჩვენსავით კარგად ვინ ირიგება ჭკუას.

ვამიჩეიშვილი

ნამდვილად (ყელს ისრესს, ჩაილაპარაკებს). კინაღამ არ მწვდა ის ოხერი?

შალვა

(არც გამოხედავს, ისე ჩაილაპარაკებს) ოხერი მამაშენია, შენი გაჩენისთვის.

ბიქტორი

(ჩაილაპარაკებს) მამამისს რას ერჩით. ახლა, რა იცოდა წინდაწინ იმან იმა საქმიდან რა გამოვიდოდა. (გააგორებს).

უნივერსალი

რა ჭკუა თქვენ უნდა დაარიგოთ, როცა არავითარი მიმდინარეობა არ გაქვთ?

ერასტი

მიმდინარეობის მეტი რა გვაქვს – მივმდინარეობთ სულ!

უნივერსალი

(გამომწვევად) და, ესე იგი, ჭკუის დარიგება სულ არ გჭირდებათ, არა?

ერასტი

რად გვინდა, ჩემო ბატონო, ისედაც ყველაფერი ვიცით.

შალვა

თეორიულად, ხომ? ისე რომ ოხრები ხართ ცხოვრებაში ყველა?! (ფურცლებს სწმენდს).

უნივერსალი

თქვენ ჭკუის დარიგება არ იცოდეთ...

ერასტი

არ გჯერათ, ბატონო?

უნივერსალი

არა!

ერასტი

დაგიმტკიცოთ ახლავე, აქვე, ადგილობრივად?

უნივერსალი

სცადეთ!

ერასტი

(ურიკიდან მხნედ წამოდგება) გამინთავისუფლეთ აბა ადგილი! დადგით ეს სკამი აქ და ეს სამფეხა იქ! ასე!.. მოდი ერთი აბა შენ... ეე... შენ მოდი, მართლა, ბიჭო სერგია!

სერგია

ჭკუა უნდა დამარიგო, ხომ? რა მჭირს სამაგისო, მეტი საქმე არა მაქვს...

ერასტი

არ გჭირს, სერგია, მაგრამ, მოდი ჩემი ბიჭი, მაინც... ისე, კაცმა რომ თქვას, რა საქმე გაქვს, აბა, ბიჭო, სერგია, შენ? კარგი ახლა, მოდი, ამ უცხო ხალხთან ნუ მომჭრი თავს...

არქიფო

თავი ამას აქვს მოსაჭრელი, ირტყმეინება... (შალვასკენ არც გაიხედავს, ისე მიაშვერს თითს; შალვას ვერ ამჩნევს, წიგნის აკინძვითაა გართული).

სერგია

მაშინ, თხილს თუ მომცემ, კი.

ერასტი

კაი ბატონო! ერთი, აგნესა, გენაცვალე, თხილი მომირბენინე, რაა?

აგნესა

კი, აბა! მაგას რომ თხილი მივუტანო, მერე იტყვით, ჰყვარებიაო და მოედება მთელ სოფელს ეს ამბავი და გადასწვდება მეზობელ დასახლებებს და, მოეფინება ფაიტონიან ქალაქებს და მერე მე ვიღა შემირთავს, მაგრამ მე არ გავყვე ვინმეს, ისემც დაუმშვენდათ მთელი ქვეყნის მამაკაცებს ცხვირი!

არქიფო

და პირი!

ბიქტორი

და წარბი!

ბესარიონი

და ბეჭი!

ვამიჩეიშვილი

და ის! ფხკ...

პაუზა. აგნესამ არ იცის, გაბრაზდეს თუ არა; გაურკვევლობაშია.

უნივერსალი

ეგებ თქვენ მოიტანოთ თხილი, ქალბატონო.

ერასტი

არა, აჰ, არა, ეგ ქმარ-შვილის პატრონია, ჩვენი გულადი ბესარიონის ცოლია ეგ...

ვერიკო

მაშინ მე, გაუთხოვარი ადამიანი, მოგიტან თხილს, სერგია, ზოგიერთების ჯინზე. (უნივერსალს ინადით გადახედავს, ისე ქედმაღლურად ჩაუვლის, უნივერსალი გაკვირვებულია).

უნივერსალი

(გოგის) ახლა კი გამოვიჭერ ყველას. ისეთ რთულ საკითხებს წამოვუყენებ, ისეთ გარემოებებს შევუქმნი, ესენი თუ არ გავაგიჟო და, უნივერსალი არ ვიყო მაშინ. (ბოლთას სცემს) არაფერი არ გამოუვათ. ეგენი ვერ დაარიგებენ ერთმანეთს ჭკუას, რადგან ჭკუის დამრიგებელნი კეთილები უნდა იყვნენ, ხოლო ესენი – ნამდვილად ბოროტები არიან.

გოგი

არა, არა, ბოროტები სულ არ არიან.

ერასტი

(მაინც გაიგო) გენაცვალე, გოგი, ჩვენი ხარ მაინც, ამ ხუთ წელიწადს ზემო-ქვემოთ რამდენიც არ უნდა გეჩინდრიკა.

უნივერსალი

მე კი დაბეჯითებით ვიმეორებ, არაფერი გამოგივა-მეთქი.

ერასტი

პატარა ხანს მოითმინეთ, ბატონო და, დარწმუნდებით, აგერ ვართ ჩვენ და აგერ ხართ თქვენ. კომისიაც შევქმნათ, თუ გნებავთ, აგერ ჩვენი მხრიდან იქნება ვინმე და თქვენი მხრიდანაც, რა თქმა უნდა, ქალბატონი ძფირვასი ასია...

უნივერსალი

ვერონიკას თავისი საქმე აქვს. დაე, მხოლოდ თქვენი მხრიდან იყოს ჟიური.

ერასტი

რა, ბატონო? (შალვას წიგნში უნდა ჩახედვა, მაგრამ ის გაბრაზებული მოაცილებს წიგნს).

უნივერსალი

ჟიური ჰქვია შემფასებელ კომისიას.

ერასტი

კი ბატონო? ერქვას... თუ გნებავთ, თქვენ ამოარჩიეთ, მერე რამეში რომ არ შეიტანოთ ეჭვი.

უნივერსალი

აი, ეს ყმაწვილები იყვნენ.

ერასტი

ძალიან კარგი. შენ, საშიკო-ჩემო, იქნები ჟიუ, შენ კი ჩემო დათა, იქნები რი. თანახმა ხომ ხართ?

საშიკო

ვართ, აბა არა?

დათა

ყოფას გიტირებთ ყველას.

ერასტი

აგერ, აქ ჩამოსხედით... თქვენ აქედან გვიყურეთ, პატივცემულო. აჰ, ასე უცებ, ვერიკო? ყოჩაღ, ცეცხლი ხარ, ცეცხლი. არ იქნა შენი დაბერება... ღმერთმა ნურასდროს დაგაბეროს-მეთქი, ესე იგი... დაჯექი აქ შენ, სერგია; სვიტიკო, გენაცვალე, ერთი ის ჩაქუჩი მომაწოდე, აბა, ერთი, ორი და...

უეცარ სიბნელეში მრგვალი სინათლე მხოლოდ უზურგო მერხზე ჩამომსხდარ საშიკო-დათას, ერასტისა და სერგიას ანათებს. ერასტი თავის ურიკაში ჯდება, სერგია - სამფეხაზე, ფერხთით დაუსკუპდება, ერასტი ურიკის სახელურზე თხილს დადებს, ჩაქუჩს დაარტყამს.

ერასტი. და სამი, აბა, ახლა უნდა იყოს სამარისებური სიჩუმე. (მართლაც, სიჩუმეა, ერასტი სერგიას პირში თხილს ჩაუდებს) ახლავე დავამტკიცებთ მე და ჩემი მცირერიცხოვანი დიდმშობლიური სოფელი, ოღონდაც რომ შეგვიძლია ურთიერთთათვის სიბრძნის სწავლება. იგი ჩემო სერგეი, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, თუ მის წინაშე ორი გზა გადაიშლება. ერთი...

დათა

ორი გზა არ არსებობს.

ერასტი

(ხმადაბლა) კარგი ახლა, დათა, როგორ არ არსებობს ორი გზა...

დათა

არ არსებობს და!.. წინ თუ მიდიხარ, უკანაც კი შეგიძლია წამოსვლა და ორი კი არა, ოთხი გზაა, ესე იგი.

საშიკო

კაცო, უდროო დროს ყველას შენ უნდა ჩაუვარდე პირში?

დათა

არაა შენი საქმე! რასაც მინდა, იმას ვიზამ!

საშიკო

აჰაა, ეგრე?! მიდი აბა, კიდევ თქვი რამე, თუ მაგარი ბიჭი ხარ!

ხელს იტაცებს პირზე. დათა ტუჩებს მონდომებით გრეხს, მაგრამ ვერაფერს ამბობს და თავისი ცალი ხელით ძმის ხელს ეჯაჯგურება, ცოტა ხნით მოაცილებინებს და წამოიძახებს: „ ორი გზა არ... “, მაგრამ საშიკო ისევ იტაცებს ხელს პირზე, დათა კვლავ წაეტანება, და დიდი ძიძგილაობა დამთავრდება იმით, რომ მერხს უკან გადავარდებიან. სინათლე ინთება.

უნივერსალი

ეს ჟიურია თუ არაა, ბოლოს და ბოლოს...

ერასტი

თქვენ არ დანიშნეთ თვითონ? (წამომდგარ ტყუპებს) კარგით ახლა, ბიჭებო, დაწყნარდით, შევრიგდეთ და ჭკუის დარიგებას რომ მოვრჩები, მერე გამოთქვით (შალვას წიგნში ჩახედავს) ობიექტური შენიშვნები, ჩემო დათა, კარგი?

დათა

კარგი, ყველაფერს ამოგაშხამებ ბოლოს.

ერასტი

სმენა იყოს, ხალხნო და, გაგონება. (სინათლე ქრება, კვლავ ძველი ოთხეული ჩანს) ახლა უნდა იყოს სამარისებური სიჩუმე და ვაჩვენოთ სტუმარს, დიახაც რომ შეგვიძლია ურთიერთთათვის სამარადისო სიბრძნის სწავლება, იგი, ჩემო სერგეი, როგორ უნდა მოიქცეს სწორი და კარგი ადამიანი, თუ მის წინაშე მოულოდნელად ორი წინა გზა გადაიშლება. ერთი...

აქ მოულოდნელად ძალიან ხმამაღლა გაისმის:

ეეევგენ აანეგიინ შაიბნეეეენ, (სინათლე ინთება).

მიიწას გააჰქონდაა...

ეს თურმე მომღერალი შემოსულა და დიდის ეშხით მღერის, მაგრამ საჩქაროდ აწყვეტინებენ:

ერასტი

თუთ! ჩაიგდე ახლავე ენა!

ვამიჩეიშვილი

რა გაღრიალებს, რომ გაღრიალებს!

ბიქტორი

რასაა რომ დაგიფჩენია პირი! არ დაგვეცა დუშაშივით?

ერასტი

სხვა საქმე არ გაქვს, თუ რაშია საქმე, რომ დაეთრევი სოფელ-სოფელ და დაყროყინობ. ამას ის არ სჯობს, თოხი გეკავოს და შავმიწა ნიადაგს ამუშავებდე საგულდაგულოდ? საერთოდ, მუშაობა არის ერთ-ერთი უდიდესი რამ, ეე, რაც კი მუშაობას ცხოვრებაში (შალვას წიგნისკენ წაიწვრილებს კისერს) პროპორციულად მოაქვს.

დათა

რატომ არ მუშაობ ახლა მაშინ შენ!

ერასტი

(მომღერალს) ტყვილა ჯდომას ტყვილა შრომა სჯობიაო და, ტყვილა ბღავილს - ტყვილა ჯდომა, ასეა, აბა?!

ბიქტორი

არ გამიხეთქა ყურის ბარაბანი?

სერგია

ყველა მუნჯი და ბრუტიანი რატომ უნდა გამოერიოს ჩვენში!

ერასტი

უსასტიკესად გთხოვთ თქვენს მიერ დაუყოვნებლივ დატოვებულ იქნას სოფლის ოთხმხრივი მონაკვეთები.

დიდად დაბნეული, ნირწამხდარი მომღერალი გადის.

უნივერსალი

ვინ იყო... ვინ იყო ეს?

გოგი

მომღერალია.

უნივერსალი

ვინ არისო?

გოგი

მომღერალია.

უნივერსალი

აჰა.

ერასტი

ხომ არ შეგვიკრთით, ქალბატონო ასია? ხომ არ შეგიფრთხიალდათ ნაზი გული? უნაზესი გულ-მკერდი?

უნივერსალი ძალიან ხმამაღლა ჩაახველებს. ერასტი ყურადღებას არ აქცევს, ასისტენტს შესცქერის.

ვამიჩეიშვილი

(ასისტენტს) ჩვენს გვერდით ქალბატონო, ტასო, ნურაფრის გეშინიათ შენე... ეეე, თქვენე.

ერასტი

აბა, გეყოფა ლაზღანდარობა! სრული სიჩუმე! სამარისებური!

ბესარიონი

მესამედ გვმარხავ, ერასტი?

ერასტი

შენ მაინც შეჩვეული ხარ, ომში... აბა, სიჩუმე! (სინათლე ქრება, ისევ ძველი ოთხეულია განათებული) იმას ვღაღადებდი, ჩემო სერგეი, ვთქვათ და, ორი გზა გადაგეშალა, ოღონდ წინ, ერთი - აუგისა და თავსლაფდამსხმელი, ოქროვერცხლისა და ნაღდი, ტკიცინა, ვენაცვალე, ფულის მომტანი, ხოლო მეორე, სამართალ-სიმართლისა და დიდბუნებოვანი სიდიადის გზა, ამაღლებული სინდის-ნამუსის უცილობელი მომხვეჭი, ამ გზას დაადგე უნდა, სერგეი, ხომ დაადგები, ა, ჩემი ბიჭი? (თხილს პირში უდებს).

სერგია

კი.

ერასტი

სრული პასუხი!

სერგია

დიახ!!!

ერასტი

ასე!!! (გახარებული მიმოიხედავს).

საშიკო

სულში გენაცვალე, სერგია! ხომ გვასახელა ამ უცხო კაცთან?

დათა

რით გასახელა მაინც, ტყვილებით? სერგია, ბიჭო, მაგ თხილის მაგივრად მე რომ ნიგოზი მოგცე, სამი პეშვი, ხომ არ დაეთანხმები ერასტის?

უნივერსალის ხმა

ჰოჰ, როგორა სძულთ ერთმანეთი? ბოროტებია, ბოროტებია...

სერგია

სადაა მერე ნიგოზი...

ერასტი

(საჩქაროდ მოუბრუნებს თავს, თხილს პირში უდებს) ანდა სერგი, ვთქვათ და მეფე ხარ, როგორც იტყვიან, ხელგეწიფების სამყარო ვრცელი, ოქრო... ა! (ყელთან ირიბად გამოისვამს ხელისგულს) ვერცხლი – ა! (თავსზემოთ გადაივლებს ხელისგულს) თვალ-მარგალიტი – ა! (ხელაწეული შეხტება) მაგრამ იქნები სისხლისმსმელი და უარყოფითი მოქალაქე. რიგითი მათხოვარი იყო, ხიდის ცენტრალურ ნაწილში ხელგაშვერით მჯდარი, მაგრამ გქონდეს კეთილი გული, დადებითი ნებისყოფა, გიყვარდეს ცოლი და შვილი შენი, ამხანაგი და მეზობელი, საერთოდ, მთელი ხალხი, იმათი სატკივარი გადარდებდეს, ხალხზე ზრუნავდე, გაფიქრებდეს უნდა ყველასი დარდი, ავადმყოფების ბედ-იღბალი გაწუხებდეს, დაგაინტერესებს მათი სულიერი დგომარეობა, მოინდომებ მათთვის კარგს, გახსნი თეატრებს, მუზეუმებს, წამოჭიმავ მრავალსართულიან აფთიაქებს, გახსნი ჯანმრთელობის კერებს, განავითარებ მეცნიერებას, ხელმოკლე სტუდენტებს სულგრძელ სტიპენდიებს დაუნიშნავ...

უნივერსალის ხმა

ვინ, მათხოვარი შესძლებს ამას? სულელებია, ჩემო გოგი, სულელებია...

ერასტი

არა, აჰ, აჰ... მესამე გზაზე გადავედი უნებურად და...

დათა

მე ხომ გირჩიე თავიდან ოთხი, მაგრამ არა ქენი...

უნივერსალის ხმა

ჰმ! მათხოვარი და... თეატრების გახსნაო, მუზეუმები...

ერასტი

სწორი ბრძანებაა, ჩემო ბატონო, შევცდი, შევტოპე, მაგრამ მათხოვრობა, სხვათა შორის, გამომუშავებაზეა, ახლავე გამოვასწორებ – ბიჭო, სერგია, ვთქვათ მათხოვარი ხარ და სამი თხილი გაქვს და ჩამოიარა ვინმე მდიდარმა და სამივე გთხოვა, ხომ მისცემ? (თხილს გამოწვდილ ხელისგულზე უდებს).

სერგია

კი.

ერასტი სრული პასუხი!

სერგია

მივცემ თხილს მას მე!!

ერასტი

ასე!!! (გახარებული).

საშიკო

სულში გენაცვალე, სერგია!

დათა

სერგია, მომეცი ერთი ეგ თხილი, თუ ძმა ხარ...

სერგია

კი აპა! (თხილს პირში გაიქანებს) მართლა მათხოვარი კი არა ვარ მე!

უნივერსალის ხმა

ძუნწებიც არიან! ძუნწები და ბოროტები!..

გოგის ხმა

ამათი სიძუნწე?! არა, აჰ, არა...

ერასტი

ახლა, სერგია, სიყვარულის ცისფრად ამაღლებულ (შალვას წიგნში ჩახედავს) ატმოსფეროს გადავწვდეთ. კარგად დამიგდე, სერგია, ყური. (წამოდგება, განათებულ წრეში დაფიქრებული მიდი-მოდის) სიყვარული, ჩემო სერგეი, ამაღლებული, სავსე, ბოლომდე გაპიპინებული უნდა იყოს. საყვარელ ქალში ხორციელ მანკიერებას კი არ უნდა ხედავდე, არამედ - გულისხმიერ ადამიანობას. აბა, მე რომ ასია მიყვარს, ესაა საქმე? ფუჰ...

უნივერსალის ხმა

რატომ აბედინებთ ამდენს!

ასისტენტის ხმა

იძახოს რა, მე ასია კი არ მქვია, არამედ ვერონიკა.

ერასტი

სიყვარულში ტკიცინა ფულს და ანგარებას არ უნდა დახარბდე, სერგეი ჩემო, არ უნდა დახარბდე. არც გარეგნობას არ უნდა მიანიჭო გადამწყვეტი უპირატესობა,

ადამიანობაა პირველ რიგში, სერგეი, მთავარი. ახლა, ჩემი ბიჭი (თხილს პირში უდებს) ვთქვათ და, ვერიკო ლამაზია, და ვითომ ახალგაზრდა, სიტყვაზე ვამბობ, ოღონდ ფულიანი და ავკაცობის დედოფალი... (პატარა ხნით განათდება ვერიკოს სახე) და ბოროტების მოციქული... (ისევ მცირე ხნით განათდება ვერიკოს სახე) იმას შეირთავდი თუ, ვთქვათ, აგნესა ხნიერია და ულამაზო, ოღონდ კარგი ადამიანი. რომელს შეირთავდი?

სერგია

აგნესას ახლაც კი შევირთავ მე!

ერასტი

არასრული პასუხი!

სერგია

აგნესა!!

ერასტი

ასე!!! (თხილს პირში უდებს).

საშიკო

სულში გენაცვალე, სერგია! სერგეი! სერგეიკო!!

აგნესას ხმა

დაგაყარე შავი მიწა... მე შენ არ გამოგყვე...

დათა

კი, კი, სიტყვაზე ადვილია... ვერიკოს ლამაზობა ვის გაუგია...

ვერიკო

(განათებულ წრეში შემოდის) რით მწუნობ, ნახევარბატონო მაინც?

დათა

აბა თქვენი ახალგაზრდობა და ლამაზ-ქალიშვილობა ვის გაუგია...

ვერიკო

რა�აო?! რა თქვი სულ ბოლოს? ქალიშვილობა ვის გაუგიაო? (თავს უკან გადააგდებს და ცივად შეჰკივლებს) ვის გაუგიაო? (ისევ შეჰკივლებს) მე შენ გაჩვენებ! ახლავე დაგიმტკიცებ! სადაა ის კაცი! ახლავე გამსინჯოს! (სინათლე ინთება, მხრებაწეული უნივერსალი სცენიდან მიიპარება, ოღონდ ჯერ კარგა მანძილი აქვს გასავლელი. გოგი და ასისტენტი უკან მიჰყვებიან) სადაა-მეთქი ის კაცი! ის კაცი მომიყვანეთ!

ვამიჩეიშვილი

ვინ კაცი...

არქიფო

ცოლშვილიანია...

ვერიკო

ვინ და აი ის, სტუმარ-ექიმი! გამსინჯოს და, ცილისწამებისთვის ორივე გადაბმულს ერთად გაგებინებთ პასუხს! თქვენ ვინ გგონივართ მე, ვის დავაჩაგვრინებ თავს! გამსინჯოს! გამხადოს! ჩემი ბიძაშვილები! და აღარ ვიკივლებ! (შეჰკივლებს) სადაა ჯიხური!

ბიქტორი

დავშალეთ, ვერიკო, კარგი, დაწყნარდი...

ვერიკო

რა დამაწყნარებს, რატომ დაშალეთ აის ჯიხური! ვის გიშავებდით ნეტავი რამეს!.. რატომ დაშალეთ, შე ზარისტო, შენ!

უნივერსალი

(გოგის) რა ბოროტებია, ეს რა ბოროტებია...

გოგი

არა, მერწმუნეთ, დამიჯერეთ, არ სძულთ ერთმანეთი...

უნივერსალი

კი, კი, ძალიან უყვართ... ამათ სიყვარული შეეძლოთ, მეტი არაა... (გადის. ასისტენტი გაჰყვება. გოგი ხალხს გამოხედავს, მერე ისიც გადის).

ვერიკო

არ გამსინჯა, ხომ! ახლავე დავკრავ ფეხს და შუა ხიდიდან გადავხტები წყალში! (გარბის, ხალხის დიდი ნაწილი მისდევს).

ბიქტორი

სად გარბიხარ, არქიფო!

არქიფო

რამე არ დაიშავოს მართლა...

ბიქტორი

რას დაიშავებს, არ გადამრიო, თავს რანაირად დაიხრჩობს კოჭებამდე წყალში.

არქიფო

უი ჰო, მართლა... (ნარდს გააწყობენ).

ბიქტორი

დუშაშს წინდაწინ გაძლევ.

არქიფო

რად მინდა შენი დუშაში... ორი ქვა აკლია, სადაა... (მაგიდის ქვეშ იხედება; სწრაფად გაიმართება) მერე, შე კაცო, ქვებზე რომ დაგვემტვრეს?

ბიქტორი

რა...

არქიფო

რა და, ვინ და ვერიკო!

ბიქტორი

უიმე, მართლა! ყოველი წამი ძვირფასია!. (გარბიან).

საშიკო

მაინცდამაინც ჩვენ უნდა გამოვაკლდეთ მთელ ხალხს, მთელ სოფელს? თანაც, შენს გამო გაიქცა, რომ იცოდე...

დათა

წავიდეთ. კარგი... მაგრამ მერე მოწმეების ოქმის შევსება არ გინდა? (ტყუპებიც გადიან).

რჩებიან მხოლოდ გლეხი, რომელიც იმ აურზაურში წაქცეულ სიმინდებს გაასწორებს და ისეც გაქვავებული გამომეტყველებით ზის, და სერგია, რომელიც თხილს აიღებს, ერასტის ცარიელი ურიკის სახელურზე დადებს და გატეხავს.

სერგიას ჩაქუჩის კაკუნი. ნელინელ ბნელდება.

ფარდა

მესამე მოქმედება

ფარდის გახსნამდე „ ჩემო ტკბილო მეგობარო “-ს მელოდია გაისმის, ოღონდ გიტარაზე სრულდება, ძალიან ნაღვლიანად შენელებულად ჟღერს. დიდ ნახევარწრედ სხედან, გლეხი შუაშია, მაგრამ მათ საუბარში არავითარ მონაწილეობას არ იღებს, თითქოს არც კი ესმის. ერასტი ურიკაზეა; გამოჩოჩებულ სკივრზე ბესარიონი სპარსულ ყაიდაზე ზის. ზოგი მხართეძოზეა წამოწოლილი. შალვა წიგნს აკერებს. ლაპარაკითაც, ძალიან ნელა, მძიმედ ლაპარაკობენ. კოკილო ტანსაცმელს იზომავს.

ერასტი

ეჰ, ჩემო გოგი, აბა სამუდამოდ წავიდნენ, არა?

გოგი

კი, გააგიჟეთ იმდენი ცემა-ტყეპით და გაწევ-გამოწევით ის ხალხი და...

ვამიჩეიშვილი

რა იყო მაინც, რა გეტაკათ... კულტურა გაკლიათ უდავოდ, კულტურა...

შალვა

გაკლიათ კი არა, თქვენს დანახვაზე გადაირეოდა წერა-კითხვის მცოდნე ნებისმიერი ადამიანი...

ერასტი

სველი მათრახით ხართ საცემი, მაგრამ სადაა...

არქიფო

მე თუ მკითხავ, არ ხართ კარგი ხალხი თქვენ...

ბესარიონი

ყურის დაგდება არ შეგიძლიათ და არც არაფერი...

ვერიკო

იგონებთ წესიერ ადამიანებზე მტკნარ სისულელეებს...

ბიქტორი ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი თქვენ არ გაქვთ და არაფერი...

დათა

ჭკუა თქვენ არ გაქვთ და არაფერი...

საშიკო

ჩაიგდე ენა! შენ გაგვიქციე სწორედ ის კაცი...

დათა

(უინიციატივოდ) არ ჩავიგდებ.

სერგია

ნიგოზი თქვენ არ გაქვთ და არაფერი...

ერასტი

ეჰ, მაგისთანა ქალი კიდევ ჩამოივლის ჩვენში? მეტი არაა...

პაუზა.

ერასტი

მე მგონი, შესაძლებელია, ნამდვილად მიყვარდა ის ქალი მე.

დათა

გიყვარდა კი არა...

ერასტი

აბა, ქალ-ადამიანი ასეთ პატარა ხანში რომ მოგენატრება, აუუ, რა ძალიან მოგენატრება, სიყვარულია ის, აბა რაა... უჰ, რა უგულო ყოფილხარ, სხვისო ასია, რა უსულგულო, დაჰკარ ფეხი და სხვისას წახვედი. არც არაფერი გვკითხე, არც კი დაგვემშვიდობე, სადა ხარ ნეტავი ახლა. (ნაღვლიან ღიღინზე გადადის) აან, როომელი ქვეყნის კუუთხეში ხაარ, ან ვის უუკაკუნებ კარებს...

ბიქტორი

არ უნდა ყოფილიყო ნამდვილად ცუდი ქალი ის.

ვერიკო

(საერთო მოწყენილობიდან ამოვარდება, ოდნავ კაპასად ამბობს) თქვენ ოღონდ უცხო ქალი დაგანახათ და მაშინვე გადადიხართ ჭკუიდან, ბატონო. გაიხედეთ, გამოიხედეთ, ეგებ შინაურებშიც გირევიათ ვინმე, დაუფასებელი.

ერასტი

რა ქალი იყო?! როგორი რხევით მიმოდიოდა, როგორ დაჰქონდა კენარი ტანი... რა ტანი ჰქონდა? - მიყვარდა, აბა არ მიყვარდა?..

პაუზა.

ვამიჩეიშვილი

ისე, ჩემო ერასტი, მეტი დაჟინება უნდა გამოგეჩინა და ეგებ რაიმე გამოგვსლოდა.

ერასტი

მეტი რაღა უნდა მექნა, ქათინაურები, წრფელად თამამი სიტყვები და ცეცხლოვანი მზერა რა მომიკლია და, სხვა რა? აბა, შუა სოფელში დღისით-მზისით ხომ არ ვებრდღვნებოდი?

ვერიკო

მაგასაც მალე დაიწყებთ თქვენ.

არქიფო

უცნაურია სიყვარული, უცნაურია. ქალს ვერ გავუგე სულ ვერაფერი. კაცმა არ იცის, რას გაიფიქრებს, რას გიპასუხებს, როგორ მოიქცევა... (პაუზა) მოგიყვეთ?

შალვა

(თავს არც აიღებს საკერავიდან) მიდი.

არქიფო

შედარებით ახალგაზრდა ვიქნებოდი მაშინ, ქალაქში ვიყავი ჩასული სათუნუქო საქმის შესასწავლად, და, სახელს არ გეტყვით, უცებ ერთი ქალი შემიყვარდა გაგიჟებით, ძალიან, არ დამიჯერებთ, მაგრამ ძალიან კარგი ქალი იყო. აჰ, ისეთი ძალიან კარგი, დადებითი ადამიანი იყო. იმ ჩვენ ასიას ჩამოჰგავდა ცოტათი. ვუტრიალე, ვუწრიალე და გავიცანი ხელისჩამორთმევით ბოლოს; ისე – უბრალოდ, ყოვლად უმაქნისად, ამხანაგურად დავუახლოვდი ერთხანს და მერე, რომ დავიმარტოხელე, მთვარე ანათებდა ძლიერ და ძალიან კარგად, პირში ვუთხარი, ზრდილობიანად. ასე ვუთხარი – ბოდიში კი მომიხდია გამოთქმისათვის, მაგრამ ძალიან მიყვარხარ-მეთქი...

პაუზა.

ბიქტორი

მერე, რა გიპასუხა...

არქიფო

არა აქვს მაგას მნიშვნელობა, უარი მითხრა.

ვამიჩეიშვილი

არა, არა, მაინც რა გიპასუხა. გვითხარი რაა, გაფიცებ შემთხვევით ცოლ-შვილს...

არქიფო

შენე, დავიჯერო, სარკეში არ ჩაგიხედიაო?

სერგია

ვაჰ, არქიფო ბიძია, და ზედ შიგ ცხვირ-პირში სწორედ ასე გითხრა? ვაჰ, მერე, მერე...

არქიფო

ავდექი, წამოვედი. ასე გადავწყვიტე, თავს დავანებებ-თქვა, მაგრამ რას დავანებებდი?! – მიყვარდა, და ვერ ვიყავი მაინცდამაინც კარგ ხასიათზე. ორ დღეს ვაბოლე ჩიბუხი, მაგრამ რა ვაბოლე, ვიფიქრე მერე, ერთი კინკილა-ღერი თქმით რომელი ქალი რომელ ნამდვილ მამაკაცს ჩამოკიდებია კისერზე-მეთქი, შევისხი პირზე წყალი რამდენჯერმე და მივადექი – ანგელინა, გენაცვალე, ძალიან მიყვარხარ – მეთქი. კი გამიჭირდა, მაგრამ მაინც შედარებით თამამად ვუთხარი, პირველად თქმა იყო ძნელი (პაუზა) ერთხელ თუ ეტყვი? – მერე, მიდის და მიდის... ის კი არა და,

სხვებსაც ვეუბნებოდი, ძაან მიყვარს-თქვა, ორ დღეში, მთელმა ნახევარმა ზესტაფონმა გაიგო, ქალაქია ძველი, აბა?!

ბიქტორი

მერე, მეორედ რა გითხრა?

არქიფო

თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ სახელოზე მომკიდა ორი მანიკურიანი თითი...

ვამიჩეიშვილი

მერე, არქიფო? თქვი, რას გვამადლი!

არქიფო

ჩამავლო ორი ლამაზი თითი, მიბიძგა ცოტათი, მივყევ ცხვარივით, მიბიძგა კიდევ. კიდევ მივყევი, მიბიძგა უფრო, და ასე, პროწიალ-პროწიალით, მეორე ოთახში გამიყვანა.

ბიქტორი

საწოლი ოთახი ხომ არ იყო?

არქიფო

კი.

ბიქტორი

აუფ! აშენებულხარ კაცი...

არქიფო

მასე მეგონა თავიდან მეც, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი მაგრამ.

შალვა

ქალიშვილი არ აღმოჩნდა?

არქიფო

არა, შე კაცო, მანამდე ვინ მიიყვანა საქმე.

ბიქტორი

აბა, საწოლ ოთახში რაღას შეყავდი?

არქიფო

იქ ედგათ თურმე დიდი სარკე. (პაუზა) სარკის წინ დამაყენა.

ერასტი

ახხ!

პაუზა.

ვამიჩეიშვილი

მაინც უნდა ბრდღვნოდი.

არქიფო

არა, შე კაცო, უხერხული გამოვიდოდა. ის ოთახი ცარიელი კი არ იყო.

ბიქტორი

საწოლები იდგმეოდა და, მაგისთანა საქმეში რა სჯობია საწოლს. უნდა ბრდღვნოდი.

არქიფო

არა, საწოლის გარდა, სულ სხვა რამეებიც იდგა.

ვამიჩეიშვილი

რა!

არქიფო

რა და, მამამისი და ძმანი მისნი.

ერასტი

ოხხ!

პაუზა.

ბიქტორი

მერე, შე კაცო, რა ვერ გაუგე მაინცდამაინც, ქალს? არ ყვარებიხარ და, მორჩა. დიდი ამბავი...

არქიფო

არა, შე კაცო, მაგით კი არ დამთავრებულა ეგ ჩემი ამბავი.

შალვა

არ გათავებულა? (წიგნს კრავს).

არქიფო

არა, შემიჩნდა ერთი ჩვენი საერთო ნაცნობი ახალგაზრდა მოცლილი გაუთხოვარი ქალი, რას ჩამოგიყრია, არქიფო ყურები, რომ ჩამოგიყრიაო. უკან არ უნდა დაიხიოო, მე ვიცი, ბოლოს ეგ შენი რომ იქნებაო, კიდევ და კიდევ უნდა სცადოო. აბა, როგორ გინდაო და, შემაგულიანა ისევ, არიან ხოლმე მაგ დროს ასეთი შემგულიანებლები, და

მეც წამდაუწუმ ვეუბნებოდი ანგელინას, გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით, მიყვარხარ-მეთქი, მოღრუბლულია, შეიძლება მოწვიმოს, მიყვარხარ-მეთქი, პური არ იყო, ჭადი იყო, აგერ შენი ხურდა, მიყვარხარ-მეთქი, მაგრამ, გაგიგონია? ისე უგულოდ მპასუხობდა – გაგიმარჯოს, არაო, არ მოწვიმს, არაო, კარგად ვარ, არაო და, გავსივდი კაცი გულზე...

ბიქტორი

ძაან დარდობდი?

არქიფო

ჩიბუხი, გადამეწვა... (პაუზა) მერე, ნამეტანი ბევრი ვიფიქრე ძალიან მე და, მომივიდა აზრი ბრწყინვალე, მაგრამ რა მომივიდა!.. თორმეტმა რომ ჩამოჰკრა, სწორედ მაშინ გამინათდა გონება – ანგარიშის საქმე არ არი-მეთქი? თუკი, საპირისპიროდ არის განწყობილი ეს ქალი ჩემდამი-მეთქი, მაშინ, მოდი, მეც საპირისპიროს ვეტყვი და ისიც საპირისპიროს მომიგებს-მეთქი და, გახარებული წამოვხტი და, არც შემისხია პირზე წყალი, მივადექი პირდაპირ და, ანგელინა გენაცვალე, მძულხარ-მეთქი და, გავიტრუნე, საპირისპიროს მოლოდინში.

ბიქტორი

მერე, რა გითხრა?

არქიფო

ჯერ ვერ გაიგო, რაარ? – მკითხა...

ვამიჩეიშვილი

ხომ გაუმეორე!

არქიფო

კი, როგორ არა – ანგელინა, შემოგევლე, ძალიან მძულხარ, ვერ გიტან-მეთქი.

ბიქტორი

მერე, რა გითხრა...

არქიფო

(პაუზა) თავშიმც ქვა გიხლიაო...

ერასტი

უხხ!

პაუზა.

ვამიჩეიშვილი

უცნაურია ქალი მაინც, ძალიან დიდი უცნაურია...

არქიფო

აბა, კაცო, რას წარმოვიდგენდი.

ბიქტორი

ამინდივითაა ზოგიერთი ქალი.

შალვა

(თავაუღებლად) მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას უდრის.

პაუზა.

ბესარიონი

(მოულოდნელად, დიდი აღმაფრენით წამოიწყებს, მაგრამ ჯერ ისევ სკივრზე ზის, პატარა ხანში „ ჩემო ტკბილო მეგობარო " აჰყვება) მე იგი დავინახე და თვალი მოვკარი კეკლუცად ლამაზი გაზაფხულის ფონზე, ოქროსფრად ჰყვაოდა თეთრად გადაპენტილი მომავალი სახრავი ატამი... დავინახე და, წამსვე დამბურძგლა, დამინახა და, მყის შეაჟრჟოლა... როგორ შვენოდა ცისფერი კაბა, თავზედ კი ბაბთა დაჰფარფატებდა...

ვამიჩეიშვილი

რომელ კვადრატში იდგა?

ბესარიონი

ჰაშ მეორეში!

ბიქტორი

ხოლო შენ?

ბესარიონი

ვდგევარ მე ჟე მესამე კვადრატში და გავიხედე და, მოდის მაგრამ რა მოდის, (სკივრიდან ჩამოხტება, აღგზნებულია) ბეჭები - ა! კუნთები - ა! ორი შაშხანა კიდია ზურგზე...

დამაშოშმინებელი

(გარბის) ხომ გეუბნებოდით... აკი გეუბნებოდით... აწი გვიანღაა...

სერგია

ულვაში თუ ჰქონდა?

ბესარიონი

ულვაში?.. კი!

სერგია

ისე დაგიმშვენდა ულვაში!

ქირქილებენ.

ვამიჩეიშვილი

ცხვირი თუ ჰქონდა, ცხვირი?

ზესარიონი

ცხვირი?.. აბა რა!!

ვამიჩეიშვილი

ისე დაგიმშვენდა ცხვირი!

ზესარიონი

ექნებოდა, აბა არ ექნებოდა?! უცხვირო კაცი სად გინახავს შენ!

ვამიჩეიშვილი

ბიჭო, კაცი თუ არ არსებობს საერთოდ ქვეყნად, იმას არც ცხვირი ექნება და არც ის...

ზესარიონი

აბა, მატყუარა გამოვდივარ მე? აშალე ქალო სუფრა! მაგრამ სადაა სუფრა... არ გინდათ, ნუ გინდათ!.. (პაუზა) ვის შეურცხვა ულვაში და ცხვირი! თქვენ ვინ გგონივართ მე! სადაა ჩემი ლინზიანი თოფი?.. მათხოვე ერთი, შალვა, ეგ ნემსი!

შალვა

გად-დაიკარგე იქით... ცრეპუნტელავ!

ზესარიონი

ვინაა შენი ცრუპენტელა! გამიშვით! გაუშვით!

გაწევ-გამოწევაა.

არეულობაში შემოდიან და სამიოდ ნაბიჯის შემდეგ გაკვირვებულნი შეჩერდებიან ორნი – ძალიან მოხრილი, დაკონკილტანსაცმლიანი ბერიკაცი და მსხვილწარბება, დიდულვაშა ჩაფარი, რომელსაც ბერიკაცის წელზე შემორტყმული თოკის ბოლო ცალი ხელით ჩაუბღუჯავს, მეორეში – დამბაჩა უჭირავს.

ვამიჩეიშვილი

ვინაა, კაცო, ეს ხალხი?

შემოსულებს ათვალიერებენ.

არქიფო

რა გაგჭირვებიათ ასეთი, ძიაკაცო, ჩაფარი რომ მოგდევს... კარგი გამარჯობათ!

ბერიკაცი

გაგიმარჯოთ, შვილო... ეეჰ, ჩემ საქმეს ნუღარ იკითხავთ. (ჩაფარს) ჩამოვჯდები, რა იქნება... მუხლები მიკანკალებს.

ჩაფარი უარის ნიშნად თავს გაიქნევს.

საშიკო

რა იყო, შე კაცო, ჩამოჯდეს პატარა ხნით მოხუცებული, რა დაგიშავდება... ან მამა არა გყავს, ან ბიძა, ან ხნიერი მეზობელი?

ჩაფარი ისევ თავს გაიქნევს.

არქიფო

დაასვენე ცოტათი და, აგერ, წაიხემსე შენც... ახლავე მოვიტან საჭმელს.

ბესარიონი

სად გარბიხარ, შე კაცო, აგერ არა მაქვს, სკივრში? თვალის დახამხამებაში მოგართმევთ... (სკივრში იქექება).

ბიქტორი

იმდენ ტარება-ტარებაში, არ გაფუჭებულიყო, კაცო, ეგ საჭმელი...

ბესარიონი

არა, შე კაცო (შალვას წიგნში ჩახედავს) პერიოდულად ვცვლი ხოლმე... ხომ გიყვარს, პატივცემულო ჩაფარო, გოჭის ხორცი?

ჩაფარი თავს დაიქნევს.

ბესარიონი

ჰოდა, დაჯექი და ჭამე, თქვენც ხომ მიირთმევთ, ბატონო?

ბერიკაცი კი.

სწრაფად შლიან სახელდახელო სუფრას.

ერასტი

აგერ, ბიძაჩემო, ამ ურიკაზე დაბრძანდით, უფრო მოისვენებთ.

ბერიკაცი

გმადლობთ, შვილო. (გაჭირვებით ჯდება, ეხმარებიან).

ვამიჩეიშვილი

თქვენ ნუ დაიხრებით, მე მოგაწვდით საჭმელს. (ბიქტორს ჩაფარზე) მაგას რაიმე ძვლიანი მიაწოდე, უფრო დიდხანს რომ მოუნდეს ხეთქვას.

აგნესა

ახლავე ჭადიც გამოცხვება და უფრო ადვილი საჭმელია ის, წამში მოგირბენინებთ, ბაბუა.

ბერიკაცი

გმადლობთ, შვილო.

ერასტი

მაინცდამაინც კი ნუ მიაჩერდებით პირში!.. არ შეეუხერხულოს. ხო-ხო, რა ცაა?

დათა

და ცაა ახლა მაინცდამაინც ისეთი...

ბერიკაცი

მეყოფა, შვილო, ორი ლუკმა მთელ დღეს მყოფნის.

ვამიჩეიშვილი

მაშინ ბატონო, საგზალს გაგიწყობთ მშვენიერს და სადმე თუ კიდევ დაიღლებით, მიეცით ამ ხვადაგს და შეისვენებთ მაინც.

ბერიკაცი

როგორ შეგაწუხოთ...

არქიფო

რა შეწუხებაა, ბატონო, გაჭირვებულ კაცს რომ ორი ღერი ლუკმა-პურით შეეშველო, შეწუხებაა ეს?! ახლავე მოგართმევთ ყველაფერს.

სწრაფად გადი-გამოდიან, ყველას მოზრდილი საგზალი მოაქვს.

სერგია

თხილი თუ გიყვართ, აგერ...

ბერიკაცი

ეჰ, სადღა მაქვს სამაგისო კბილები...

სერგია

მე გაგიტეხავ და, ისე ინებეთ... პატარას გაერთობით გზაში.

ბერიკაცი

მადლობთ, შვილო. (დახვავებულ საგზალს დახედავს) ასე ძალიან რატომ წუხდებოდით, ამდენს როგორ ვზიდავ მე.

ერასტი

აგერ არაა ჩემი ურიკა? დავაწყობთ ზედ და, თქვენც დაეყრდნობით. ღმერთმა მოგახმაროთ, ბატონო, სულაც თქვენი იყოს.

ბერიკაცი

დიდი მადლობა შვილო, მაგრამ ამ თავდაღმართში ვერ შევაკავებ...

ერასტი

ეგეც სწორია, რა ვუყოთ, აბა?

სერგია

მე წავუღებ, ერასტი ბიძია, რა მაქვს მაინც სხვა საქმე...

ერასტი

კარგი ხარ, სერგია.

აგნესა

ბარაქალა და დიდება შენ, რაიმონდ...

არქიფო

კი მაგრამ, ბოდიშს ვიხდი (შალვას წიგნში ჩახედავს) არაოფიციალური ცნობისწადილისათვის, მაგრამ, ასეთი რა გაგჭირვებიათ, ჩემო ბატონო, ამ უჯიშოს ხელში რომ ჩავარდნილხართ?

ბერიკაცი

ეეჰ, ჩემი ამბავი ძნელად დასაჯერებელია, შვილო... მუხთალი ყოფილა წუთისოფელი.

ერასტი

რა უჭირს მერე...

ბერიკაცი

სულ რომ არაფერი, დავბერდი, დავჩაჩანაკდი...

ბიქტორი

რა უჭირს მერე...

ბერიკაცი

თვალებში ვეღარ ვიხედები, ძლივას დავდივარ...

არქიფო

რა უჭირს მერე...

ბერიკაცი ჭამა მე არ შემიძლია და სმა...

ერასტი

ა ეგ ცუდია.

ბერიკაცი

სულ ასე გლახაკი კი არ ვყოფილვარ. ინჟინერი ვარ, განათლებით...

სერგია

რა უჭირს მერე...

ბერიკაცი

ორი ქარხანა მებარა ნავსადგურ ფოთში. შემოსავალი დიდი მქონდა. დავბერდი, ვეღარ ვშრომობდი მერე... ის დანაზოგი ფული შვილმა ბანქოში წამიგო, ვალიც დავიდე, ვეღარ გავისტუმრე, სახლ-კარს გავყიდი-მეთქი, ვფიქრობდი... (ძალიან დაღონდება).

დათა

და... დაგეწვათ ხომ, ჩემო ბატონო, სახლი?

ბერიკაცი

საიდან იცი?..

დათა

ტყვილა ვთქვი, ასე...

ბერიკაცი

დამეწვა სახლი... ვალების გასტუმრება ვეღარ შევძელი, ახლა კი, ეეხ... ამას მივყავარ.

ვამიჩეიშვილი

სად, ჩემო ბატონო?

ბერიკაცი

საპყრობილეში.

ერასტი

რა�о? სულ მთლად გადაიკარგა სინდის-ნამუსი? საპყრობილეში მოხუცებულს ვერ გაგატანთ!..

ჩაფარი ჭამას შესწყვეტს და დამბაჩას შეათამაშებს.

ერასტი

არ დამაშინო უცებ, შე გლახის ჭია... დაწი ძირს, თორემ მოვიდა თავში! (მიწაზე ხელისგულის ფათურით ქვას ეძებს).

ჩაფარი წამოხტება, მზადყოფნაში დგას.

შალვა

ასე იწყება... აბობოქრება.

ვამიჩეიშვილი

კი მაგრამ, ვერაფრით შეიძლება თქვენი შველა?

ბერიკაცი

ვერაფრით, შვილო, ასი მანეთი მაქვს ბანკის ვალი.

სიჩუმეა.

ვერიკო

კი მაგრამ, ის თქვენი შვილია თუ ვიღაცაა, ვერ გაანძრევს ხელს?

ბერიკაცი

ვაიმე, შვილო... (შუბლზე შემოირტყამს ხელს) ის მაინც მყოლოდა ცოცხალი! (თავს ხელებში ჩარგავს) თავი... ჩამოიხრჩო...

ვერიკო

უიმე, ეს რა ბრძანეთ... ეს რა გაიგო ჩემმა ყურებმა... მოგიკვდათ ჩემი თავი...

სიჩუმეა.

ერასტი

(გაიმართება, ახლახან ნაპოვნ ქვას გადააგდებს, ჩაფართან ინციდენტი სულ აღარ ახსოვს) მერე, შე კაცო, ამოდენა სოფელი ას მანეთს ვერ შეგიგროვებთ?

ვამიჩეიშვილი

როგორ ვერ შეგიგროვებთ, გლახაკები კი არ ვართ...

არქიფო

ნივთებითაც რომ ავანაზღაუროთ, არ დაგვყაბულდებიან?

ბერიკაცი

კი, როგორ არა, მაინც ჩაქუჩით უნდა გაეყიდათ სახლი...

არქიფო

(ბოხოხს დაანარცხებს მიწაზე) ჰოდა, ეს ბოხოხი თხუთმეტი მანეთი ღირს ნაღდი ფული.

ერასტი

შვიდი მანეთი მაქვს გადაზოგილი, ფეშქეში იყოს.

ბიქტორი

აგერ, ჯიბეზეც კი მაქვს ტკიცინა თუმნიანი.

ბერიკაცს გაკვირვებული მზერა გადააქვს ერთიდან მეორეზე. კოკილო ფეხაკრეფით გაიპარება.

დამაშოშმინებელი. დაწყნარდით, დამშვიდდით... ასე არა სჯობს? ახლავე მოვიტან ორ ფუთ სიმინდს და, გავყიდოთ ქალაქში... დაწყნარდით, დაწყნარდით...

მონადირე

მე ორი მაინც არ მჭირდება, ერთითაც იოლად გავალ... (ცალ ლულას მოაძრობს თოფს, ბერიკაცის ფერხთით დადებს).

აგნესა

(დარცხვენილი, თავს დახრის) ჩემმა ოჯახმა ახლახან გავასესხეთ მთელი ფული, მაგრამ... ქალაქის თეატრში ნაწნავებს ყიდულობენ თურმე... სადაა მაკრატელი...

შალვა

წიგნებს დავაგირავებ ბუკინისტებში...

დათა

რომელი გათხოვილი ქალი მე ვარ, რად მინდა ეს ბეჭედი... საშიკო წამაძრე ერთი, თუ ჩემი ძმა ხარ.

საშიკო

შენ გენაცვალე, ძმაო... (ლოყაზე კოცნის).

ბერიკაცი

აჰ, არაა, არა, ტყუილად სწუხდებით.

ვამიჩეიშვილი

რატომ, ბატონო...

ბერიკაცი

რად მინდა ვალის გასტუმრება, ცოლი მე არ მყავს და შვილი, სახლი მე არ მაქვს და კარი, ისევ საპყრობილე მირჩევნია.

ერასტი

თქვა რაღა, მიზეზი!.. სახლ-კარს რა უნდა, მთელი სოფელი აგიშენებთ!.. როცა საჭიროა, მშვენიერი კარგი შრომაც კი შეგვიძლია ჩვენ.

ბიქტორი

ანდა, სულაც რად უნდა სახლი და კარი, მარტოკას ხომ არ გამოვაყრუებთ? თითო დღეს თითო ჩვენგანთან იყოს, სულ ხელისგულზე ვატარებთ, არაა ასე?

არქიფო

ეგრე აჯობებს, ნამდვილად.

ვამიჩეიშვილი

პირადად მე, ჩემო ბატონო, ცოლობისა რა მოგახსენოთ და შვილობას ნამდვილად გაგიწევთ.

ბერიკაცი

(გაოგნებულია, ძლივს გამოერკვევა) დიდი მადლობა, ჩემო შვილებო, დიდი მადლობა მომიხსენებია, მაგრამ თქვენ ერთი რამ არ იცით...

საშიკო

ბრძანეთ, ბატონო.

ბერიკაცი

(ერთხანს ცოტათი წამომართული, თავს მორცხვად ჩაქინდრავს) მე წარმოშობით აქაური არა ვარ, ჩემს წინაპრებს კი, თქვენთვის, შვილებო, ჰეე, ისტორიულად იმდენი რამ დაუშავებიათ...

ერასტი

რა უჭირს მერე... თქვენ ხომ არ დაგიშავებიათ პირადად არაფერი. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ბრძანდებით თქვენც და ადამიანები ვართ, ბატონო, ჩვენც და, ადამიანმა ადამიანს ხელი რომ გაუწოდოს, რას ხედავთ ამაში შეუძლებელს, ბატონო?

ვერიკო

რა გულდათუთქულმა თქვა, დამნაშავეები ვართო? მოდი, ბიძია, მოდი, ჩვენთან, დარჩი, გენაცვალე... (ლოყაზე აკოცებს).

ბერიკაცი ურიკიდან წამოიმართება, გოგის თვალს არ აშორებს.

ბერიკაცი

(სხვა ხმაზედ) სწორი ყოფილხართ, ჩემო გოგი... ბოროტები კი არა, ესენი ყოფილან თუ ყოფილან, ხალხი...

გოგი

გეუბნებოდით და...

საერთო გაკვირვებაა. ბერიკაცი შუბლზე ჩამოშლილ ჭაღარას მოიშორებს, წვერ-ულვაშს მოიხსნის - უნივერსალია. ვერიკო გადახვეულ ხელს ცივად მოაშორებს და სწრაფად გახტება უკან.

ბიქტორი

გაგვათამაშეთ, ბატონო?

ვამიჩეიშვილი

აუჰ, ეს ვინ ყოფილა?

შალვა

საიდან სადაო, კაცო?!

არქიფო

(მცირე პაუზის შემდეგ) ახლა, ასე რომ მოვტყუვდით, სირცხვილში ხომ არ ჩაგვეთვლება?

უნივერსალი

სირცხვილში კი არა, თქვენ ყოფილხართ ძვირფასი ხალხი.

საშიკო

ნამდვილად, ბატონო?

ძალიან წინგადახრილი ერასტი დაჟინებით მიჩერებია ჩაფარს.

ჩაფარი

კი, კი, ეს მე ვარ ასია. (მოიხსნის წარბებს, ულვაშს, სამხედრო ტანსაცმელს გაიხდის, იმ თავის მოკლე კაბაში რჩება).

ვამიჩეიშვილი

განათდა, განათდა!

ერასტი

შენ გენაცვალე, ასია, შენ მოდი გაკოცო! (დაჟინებით მიიწევს).

ასისტენტი

მხოლოდ შუბლზე, იცოდეთ, მხოლოდ შუბლზე, ან დიდი-დიდი, ლოყაზე... აჰ!

ვერიკო

(უნივერსალზე) ხედავთ, ხალხო, რაღა არ მოიმოქმედა, მე რომ მეკოცნა?

ერასტი

დაილოცა ღმერთო, შენი სამართალი!.. როდესმე წარმოვიდგენდი, ჩაფარი თუ შემიყვარდებოდა?

არქიფო

(უნივერსალს) სად ბრძანდებოდით აქამდე, ჩემო ბატონო, რატომ მოგვანატრეთ ასე ძალიან თავი?

უნივერსალი

ტყეში გავშალეთ მწვანე კარავი... იქ გავათიეთ.

ერასტი

ასე ხომ ჩვენში, ასია?

საშიკო

უუჰ, რაც მე გავიხარე? ასე ნაწყენი ვინ წასულა როდესმე ჩვენგან...

სერგია

თანაც, რამდენი რამ დაგვეზოგა... (თხილს პირში გაიქანებს).

ბესარიონი

ნუ იშლით პურ-მარილს!

ერასტი

მდინარის პირას არ აჯობებდა?

საშიკო

კი!

უნივერსალი

სწორი ყოფილხარ, ჩემო გოგი, სწორი ყოფილხარ! (აღფრთოვანებულია).

ვამიჩეიშვილი

ახლაც არ შეგვისვამთ ორ ჭიქა ღვინოს?

უნივერსალი

თქვენისთანა ხალხთან ღვინოს კი არა, შხამსაც სიამოვნებით დავლევ.

ერასტი

არქიფოს ღვინო დავლიოთ აბა!

არქიფო

რა�ო? რა აქვს ჩემ ღვინოს შენი დასაწუნი?

ერასტი

არ იცი ვითომ...

არქიფო

რა უნდა ვიცოდე მაინც! დიდი ხანია დაიწყე ღვინის გარჩევა შე დასპირტულო, შენ?

ერასტი

აფერისტის ხმა მესმის!

არქიფო

ვინაა შენი აფერისტი, შე ლოთო, შენ!

ერასტი

ვინაა, ბიჭო, ლოთი?! (ხალხს) და გინდაც დავუშვათ და ლოთი ვიყო, არ ხართ დაკვირვებულები თქვენ, ლოთებს წესიერი შვილები რომ გამოსდით? ლოთი მამის შემხედვარებს, ბავშვობიდანვე ჭირის დღესავით შეეჯავრდებათ ხოლმე სმა...

დათა

მერე...

ერასტი

მერე და ბავშვების ხათრით ვსვამ მე – ლოთები რომ არ გამოვიდნენ.

დათა

შენ რამდენი გყავს?

ერასტი

რამდენი, რა...

დათა

ბავშვი, ბატონო.

ერასტი

მე? მე უცოლშვილო ვარ, ბატონო. (პაუზა) მაგრამ სოფელში ბავშვს რა გამოლევს, მარტო საკუთარი ბავშვი კი არ უნდა გიყვარდეს, მთელი სოფლის ბავშვების სასიკეთოდ ვსვამ მე! (პაუზა, არქიფოს) ხოლო რაც შეგეხება შენ, აფერისტი ხარ, და აფერისტის შემხედვარე ბავშვები რაც გამოდიან, იცი ის შენ!

არქიფო

ვინაა შენი აფერისტი, შე ლოთო, შენ!

ერასტი

ლოთი და თამადა ვის გაუგია, აბა!

არქიფო

მე გამიგია შენ შემყურეს! ეს რა მაკადრა!.. გამიშვით ახლავე ერთი!

ერასტი

გამოუშვით ახლავე!.. მეც კი გამიშვით!!

დამაშოშმინებელი

აკი ვამბობდი, ხომ გეუბნებოდით... (გარბის).

დიდი გაწევ-გამოწევაა.

შალვა

(გამწარებული ყვირის) რა დაგემართათ, რა ჭირი გეტაკათ, შესდექით! ამ აყალ-მაყალს აღარ მოიშლით? შესდექით (არავითარი შედეგი არაა) კიდევ გინდათ, რომ გააქციოთ ეს პატიოსანი კაცი... (თითქმის ყველანი შეჩერდებიან) თავის ასისტენტიანა? (შეჩერდება ერასტიც).

მცირე პაუზა.

არქიფო

კარგი, შევრიგდეთ, რაც იყო, იყო.

რატომღაც ვამიჩეიშვილს გადაკოცნის.

გლეხი სიმინდებს ასწორებს.

ერასტი

შევრიგდეთ ჩვენც, ქალბატონო ასია. (ხელებს გაშლის).

ასისტენტი

(ნაზად) დაგაყარე მეხი.

სერგია

აღარ ჩავიდეთ მდინარის პირას?

უნივერსალი

ჩავიდეთ, ჩავიდეთ.

გოგი

ეგებ ჯერ ის ამბავი მოგვემთავრებინა...

უნივერსალი

რომელი?

გოგი

აქ რისთვისაც ამოვედით.

უნივერსალი

უი, ჰო, მართლა. (განზე გადის, რაღაცნაირ ვარჯიშს აკეთებს) რომელი დაგვრჩა?

გოგი

(ხალხს) ცოტაც მოითმინეთ, ჩვენს სტუმარს ბიქტორთან გამოლაპარაკება უნდა. ჩავიდეთ მერე...

ერასტი

კი მაგრამ, დანარჩენებმა რა ვაკეთოთ?

გოგი

რა ვიცი... ეგებ ლოტო გეთამაშათ.

ერასტი

კარგი ხარ, გოგი, ლოტო თამაშებიდან უპირველესია.

დათა

რატომ ვითომ...

ერასტი

ბედისწერულია. კაცმა არ იცის, რას ამოიღებ.

გოგი

წამოდი, ბიქტორ.

სცენის კუთხეში უნივერსალთან შეიყრებიან. მეორე კუთხეში ლოტოს თამაში ჩაღდება. არ თამაშობენ მხოლოდ სვიმონ, დათა და გლეხი. საშიკო თამაშობს. უნივერსალი საფეთქლებს იზელს, თავს მკვეთრად გააქნევს - ემზადება.

სვიმონ

ხოლო კაცნი და ქალნი აქაურნი შუენიერნი, ჰაეროვანნი და მზგავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, შემმართებელნი, მეჩხუბარნი, ერთგულნი, მეხოტბენი და დიდმთქმელნი...

უნივერსალი

(ბიქტორს) რა დაგიმალოთ და, თქვენმა ხალხმა სიკეთითა და სტუმართმოყვარეობით ნამდვილად მომხიბლა ძლიერ. თავიდან, სიმართლე გითხრათ, ცოტათი შევკრთი, ეს რა ხალხში აღმოვჩნდი-მეთქი, მაგრამ...

ბიქტორი

სწორი ბრძანდებით, ჩემო ბატონო, უცხოს დანახვაზე ყოველთვის ასე გადაირევიან ხოლმე.

უნივერსალი

მაგრამ ბოლო ცდა რომ ჩავატარე, ძირფესვიანად შემეცვალა შეხედულება. მერეღა მივხვდი, რანიც ჰყოფილხართ.

ბიქტორი

რა მიხვედრა მაგას უნდოდა, ერთი ოხერია ყველა.

უნივერსალი

როგორა ბრძანეთ?

ბიქტორი

ოხრებია ქალიან-კაციანა.

პაუზა. სცენას გადმოჭრის ასისტენტი, რომელსაც გასაშლელი სკამები მოაქვს.

ერასტი

(თვალს აღტაცებული გააყოლებს, ლოტოს კოჭის ამოსაღებად თოფრაში ჩაყოფილი ხელი გაუშეშდება) რა ლამაზია ეს მამაძაღლი?!

უნივერსალი

(ბიქტორს) - აა, ძლივს არ მივხვდი? ოხრებს მოფერებით უწოდებთ, არა? (თან სკამებზე სხდებიან, ასისტენტი ბლოკნოტსა და ფანქარს მოიმარჯვებს).

ბიქტორი

ისე ჭირი და ხორველა მოეფერა მაგათ...

უნივერსალი

ამ თქვენს ნათქვამში შეუსაბამობაა. თუ არ ეფერებით, ესე იგი ჭირიც არ უნდა მოეფეროს...

ბიქტორი

(ერთხანს უყურებს) ოხრებია, მოკლედ, ბატონო, ყველა.

გაკვირვებული უნივერსალი გოგის შეაცქერდება. გოგი ხელისგულს აჩვენებს. მერე ბიქტორს მუხლზე დაადებს ხელს.

გოგი

რამდენი ხანია, აქეთ აღარ ვყოფილვარ, როგორ ხართ, რასა იქმთ, რა ამბებია...

ბიქტორი

ვართ, ჩემო გოგი, საშუალოდ... როგორც გვიყურებ.

გოგი

შენ ისევ ისეთი ხარ, ჩემო ბიქტორ, მაგრამ ზოგიერთი არ მომეწონა მაინცდამაინც...

ბიქტორი

რომელი, მაინც...

გოგი

თუნდაც, აგერ, ბესარიონი ავიღოთ – დამდგარა და ახეთქებს ამ ტყუილებს.

ბიქტორი

რა ქნას, იმანაც... ადამიანი ომში იყოს, იმდენი ტანჯვა-წვალება ნახოს და მოყოლითაც ვეღარ მოიოხოს გული?

გოგი უნივერსალს გამოხედავს, ის – ასისტენტს, რომელიც ისედაც გამალებული იწერს ყველაფერს.

გოგი

ეს შალვაც, ჩვენი, მაინცდამაინც არ მომეწონა – რა ისეთი წითელი კოჭია მაინცდამაინც, სულ რომ წიგნს ჩაკირკიტებს?

ბიქტორი

რატომ, გენაცვალე, ეგრე ნუ იტყვი, ცოდნის და სინათლის წყაროა წიგნი. ეგეთი ნასწავლი ვიყოთ ყველანი ნეტავ და, არ წავაგებდით ნამდვილად.

გოგი კვლავ უნივერსალს გადახედავს, უნივერსალი გახარებულია.

გოგი

აგერ, ჩვენი ბესარიონი რომ დავინახე, შემეცოდა ძალიან – რა არ გადახდენია კაცო, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მაგის თავზე.

ბიქტორი

ისემც დავასხი თავსლაფი! იაპონიაში კი არა, ეგ თუ ზესტაფონს იქით იყოს ნამყოფი, თავს მოვიჭრი. სადმე ხარაგოულთან, ქვევრში ეგდებოდა.

გოგი

რა უნდოდა ქვევრში?

ბიქტორი

კარგი სამალავია ძალიან.

გოგი კვლავ უნივერსალს გახედავს. პაუზა.

გოგი

ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ძვირფასმა შალვამ, თვითონ ხომ კითხულობს და კითხულობს, თქვენთვისაც უნდა წიგნის თხოვება.

ბიქტორი

თავისი კურტუმმოქცეული ქალიშვილი გაათხოვოს ის ურჩევნია მაგას!

ასისტენტი

აჰ! (ყურებს დაიცობს).

ბიქტორი

მაგან თუ ყველა ასო იცოდეს, თავს მოვიჭრი! წიგნში ყურება კი არაა მარტო საქმე, მე რომ პიანინოსთან დამსვა, ჩაიკოვსკი კი არ ვიქნები!

უნივერსალი

რა იცით თქვენ ჩაიკოვსკი...

ბიქტორი

ყველაფერი ვიცით ჩვენ, როცა საჭიროა...

გოგი

ჩვენი ერასტი გაქარაფშუტებულა ძალიან. წვეთი აღარ შერჩენია დარბაისლობის, რას ჰგავს, კაცო, ეს...

ბიქტორი

რატომ, ჩემო გოგი, რა დიდი ცოდვაა ახლა ისეთი მაინცდამაინც, ადამიანმა რომ იხუმროს, გაიცინოს და სხვაც გააცინოს... არაა ნამდვილად ცუდი კაცი.

გოგი

კი მაგრამ, ამდენს რომ სვამს?

ბიქტორი

რა უჭირს მერე... მე შენ გეტყვი, ფეხი ერევა თუ რა. უნდა დალიოს ხანდახან მამაკაცმა ერთი-ორი ჭიქა ღვინო. აბა სულ შალვასავით კი არ უნდა იყურებოდეს წიგნში...

გოგი

ამ შალვას, განსაკუთრებით, თავისი ნაკითხობით, ნამეტანი მოაქვს თავი... პატივისცემას ითხოვს.

ბიქტორი

არ ეკუთვნის თუ? რაც მაგან ამბები იცის, სხვადასხვა ქვეყნის ისტორიები, რა არ ჩასვლია თვალიდან თავში, პატივსაცემი კაცია, ნაღდად.

გოგი

რა, ჩვენს ძვირფას, ენამოსწრებულ, ჭკუამახვილ ერასტისაც სჯობს?

ბიქტორი

ვის, მაგ ლოთს არ სჯობს? რო დაგრიალებს ფეხმოჭრილივით აღმა-დაღმა. ეგ თავმოჭრილი, ეგ სოფლის გლახა, ეგ... უკანასკნელი კაცია სოფლად.

გოგი

როგორ, სერგიასაც კი სჯობს?

ბიქტორი

რატომაც არა სჯობს! სერგია ალალი ბიჭია, გულღია, პირშიმთქმელი...

გოგი

ეგებ ის ბედოვლათი მატყუარაც სჯობს...

ბიქტორი

ვინ, ბესარიონი? ბესარიონის სახელის ხსენებამდე, ბატონო, პირში წყალი გამოივლეთ ყველამ. ტყვიის წვიმაშია ეგ კაცი ჩვენი ბედნიერებისთვის ნამყოფი, და ჩვენ რომ იმისი თავგადასავალი ქარაფშუტობით ხანდახან ტყუილებად მიგვაჩნია, აბა ერთი იმის საცოდავ, ნატყვიარ-დაჭრილ-დაჩეხილ-აჩეხილ სხეულსაც ჰკითხეთ აბა...

უნივერსალი მოკუნტული, ღრმად დაფიქრებული ზის.

ასისტენტი

(ბლოკნოტში პასუხებს ამოწმებს, ფურცლებს გამალებით შლის) – აშკარა შეუსაბამობაა ა-მეორე, ცე-მესამე და ეფ-მესამე პასუხებში.

უნივერსალი

(არც გამოიხედავს) ვიცი.

ბიქტორი

რავა ამ ტუტუცი ბესარიონივით ალაპარაკდით, ქალბატონო, თქვენ.

უნივერსალი

(წამოდგება, ნერვიულ ბოლთას დასცემს, მკვეთრად შემობრუნდება) კარგია, კმარა. შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

ბიქტორი

ხომ მალე წამობრძანდებით მდინარის პირას? თამადად ჩვენი ერასტი იქნება.

უნივერსალი

მიბრძანდით. მოვალ.

ბიქტორი ხალხისკენ მიდის. პაუზა. უნივერსალი ბოლთას სცემს.

ასისტენტი

აგრეთვე, აშკარა შეუსაბამობის პრინციპზეა აგებული...

უნივერსალი

მე გკითხეთ რამე?.. ასისტენტი თავს ჩაღუნავს.

პაუზა.

უნივერსალი

(მღელვარედ) ერთი თხოვნა მაქვს, გოგი, შენთან...

გოგი

გისმენთ.

უნივერსალი

თუ ძმა ხარ, გოგი, გამაგებინე ვინაა ეს ხალხი და, რა გინდა ჩემგან...

პაუზა.

გოგი

(იღიმება) კარგი, რაც არის, არის – ვცადოთ, მომყევით.

ლოტოს მოთამაშეებს მიუახლოვდებიან.

ერასტი

გავათავე, გავათავე? მოვიგე ბედისწერული თამაშიი! სადაა აგნესა...

ვამიჩეიშვილი

მერე, ეგრე ხმამაღლა უნდა იყვირო?.. ფუჰ, არ გამიხეთქა გული?.. (ყურს ისრესს).

გოგი

ერთი აქეთკენ გამოიხედეთ.

ყველანი შეაცქერდებიან.

გოგი

მარგალიტი... გინდათ?

სიჩუმეა.

გოგი

ძვირფასი, ნამდვილი...

სიჩუმეა.

გოგი

აი, შეხედეთ. (სინათლე ქრება, მხოლოდ მარგალიტით ხელაწეული გოგია განათებული, და სიბნელეში ფერადი სხივები ტრიალებენ) დიდი ზღვის ფსკერზე, დუნედ მოშრიალე წყალმცენარეთა ჩრდილში, ნიჟარად იდო. სხვათაგან თითქოს გამოურჩევი, მაგრამ სუნთქავდა შეუმჩნევლად, ღონივრდებოდა, უცხო ნაყოფად მწიფდებოდა – ვრცელ ზღვაგამოვლილ, ზღვით აგრილებულ მზის სხივს წიაღში ისრუტავდა და, გარინდებული ისხვაფერებდა მერე... ნიჟარის ქოხში დავანებული, ფერად ამბოხად იკუმშებოდა, ცისარტყელებით ოცნება სჭირდა... სათუთი იყო, გლუვად იდუმალ თევზთა ჩასრიალებას ფხაჭუნად გრძნობდა... დაგუბებული ბრჭყვიალით სავსეს, ძალუმი შიში ემართებოდა. ფუყე მოძმეებს ტლანქად როცა წაართმევდნენ სუნთქვაშეკრულ, თვალებდაბურცულ მაძიებელთა კლანჭადქცეული მოკლე თითები... ჩვენებურები ირგვლივ ყვინთავდნენ! დიდ ზღვას ძარცვავდნენ დღისით, მზისით და, ერთხელაც იყო, ხარბად დაედო უხეში პეშვი, ზემოთკენ დასძრეს; ნიჟარის გარდა, მოკუმულ მუჭშიც გამოემწყვდია სინათლისაკენ აღმავალ გზაზე, მერე მზე იგრძნო, შორეული გიზგიზა დედა, და, დასიცხული, ტკივილით იშვა, დანით გადახსნეს... სიმწრით ჰაერში გაიკლაკნა, თვალში ეძგერა მომტაცებელს, იმას კი ხელი უკანკალებდა, გაოგნებული დასცქეროდა იმ ვრცელ საუნჯეს, ერთბაშად განაზებულ პეშვზე ისედაც ცისარტყელებად რომ თრთოდა... ასე მოვიდა იმ სიშორიდან, მზეს და სინათლეს შეეჩვია, მაგრამ მალავდნენ, ხოლო მიმალულს, ბრწყინვა და ეშხი უბაცდებოდა – ცივი, ნატიფი, ადამიანის კანთან ცოცხლდება, დიდად უცნაურ ცხოვრებას იწყებს, ზღვის გრილ სამყაროს მონატრებული, იდუმალ

ფსკერთა შორეულ ამბებს ციაგით ჰყვება, თან ელვარეა, თან - ბუნდოვანი... და, ძვირფასია. (სინათლე ინთება, გოგი ხელს დაუშვებს) თუკი ისურვებთ... თქვენი იქნება. დიდი ფულია. (პაუზა) მარგალიტი... გინდათ?

პაუზა.

ერასტი

მოვილაპარაკებთ, მოვითათბირებთ, გოგი...

ვამიჩეიშვილი

რა იყო, შე კაცო, რატომ წუხდებოდი...

დათა

მაინც ნამდვილი არ იქნება.

საშიკო

სსუ!

სერგია

მე მაინც ზედ არ შემახედებენ.

გოგი

კარგად დამიგდეთ ყური. ყველანი მერხებზე ჩამოსხდებით, მე ჩამოგივლით და შეტყუპებულ ხელისგულებში შეუმჩნევლად ერთ-ერთს ჩაგიგდებთ.

შალვა

რომელს, პატივცემულო?

გოგი

ვისაც ყველაზე მეტად გეკუთვნით. მაგრამ ჩვენს სტუმარსაცა აქვს ბეჭედში სწორედ ასეთი ძვირფასი თვალი, და ამ ორ მარგალიტს ასეთნაირად გავათამაშებთ - ყოველი თქვენგანი ნებისმიერი ხერხითა და საშუალებით უნდა შეეცადოს სტუმრის დარწმუნებას, ვითომ სწორედ მას ჩავუგდე ძვირფასი ქვა და, ჩვენი სტუმარი თუ არასწორად გამოიცნობს მარგალიტის პატრონს, თავისასაც მოგცემთ. თუ მიხვდა და, მაშინ კეთილი უნდა ინებოთ და თქვენი მარგალიტიც მისი იქნება. თანახმანი ხართ?

უნივერსალი

დიახ, მაგრამ ეს ჩემთვის უხერხული პირობაა.

გოგი

რატომ?

უნივერსალი

რა გამოცნობა მაგას ენდომება, მაშინვე სახეზე შევატყობ.

გოგი

კარგი ბატონო, ვნახოთ.

ვამიჩეიშვილი

ესე იგი, გოგი, თუ აღმოჩნდები უსვინდისო და მე არ ჩამიგდებ, ისე უნდა მოვიკატუნო თავი, ვითომ მე მაქვს, არა?

გოგი

კი.

ვამიჩეიშვილი

და თუ ჩამიგდებ, ვითომ არა მაქვს, არა?

გოგი

(ეღიმება) კი.

ვამიჩეიშვილი

აგაშენა ღმერთმა. მაგას რა უნდა.

უნივერსალი

ვითომ?

ერასტი

ნამდვილად. (წამოდგება, გაივლ-გამოივლის) გავიხედე და, მე შემხვდეს... ა? (ძალიან ღელავს).

გოგი

აბა, დასხედით.

ვერიკო

ჩვენც, გასათხოვარი ქალები?

გოგი

რა თქმა უნდა.

ვერიკო

მოდი, ლამზირა, მოდი, დობილო. მოდი შენც, აგნესა.

ერასტი

(თითებს იმტვრევს) გოგი, ხომ შეიძლება, მე რომ პირველი დავჯდე, ხომ შეიძლება, გოგი, ხომ შეიძლება?

გოგი

როგორც შენ გინდა.

ერასტი

მაშინ პირველი დავჯდები, კარგი?

გოგი

დაბრძანდი, რა მნიშვნელობა აქვს... მაინც წინასწარ ვიცი, ვისაც ჩავუგდებ.

სერგია

მე მაინც ზედ არ შემახედებენ...

გლეხის წინ, მერხებზე სხდებიან. უნივერსალი გაფაციცებით ათვალიერებს ყველას. ასისტენტი, ბლოკნოტითა და ფანქრით ხელში, მზადყოფნაშია.

გოგი მარგალიტს ხელისგულებში მოიმწყვდევს და თანასოფლელებს მიუახლოვდება. ყველას შეტყუპებული აქვს ხელისგულები. ტყუპებს ცალ-ცალი ამობრუნებული მუშტი გამოუშვერიათ. გოგი „ К о л ь ц о с М е с т а “-ს პრინციპით ჩამოუყვება ხალხს, ჯერ ერასტის ჩაუცურებს ხელისგულებს ხელისგულებში. ერასტის სუნთქვა შეეკვრება, თვალები უფართოვდება, ოღონდ ძნელი მისახვედრია მისი აღელვება – სიხარულისაა თუ იმედგაცრუების. მერე გოგი იმავე წესით ჩაუვლის არქიფოს, ბიქტორს – სახეზე ორივეს უაღრესი დაძაბულობა ეტყობა და გოგი ვამიჩეიშვილს რომ მიუახლოვდება, სუნთქვაშეკრული ერასტი, რომელსაც ცალი მომუშტული ხელისგული გულზე მიუხუტებია, ხოლო მეორეთი შუბლიდან ხვითქს იწმენდდა, მერხიდან გულაღმა გადავარდება. გოგის, უნივერსალის და გლეხის გარდა, ყველანი მისცვივდებიან, გაისმის „ არიქათ, წყალი... “ „ ჩქარა ბიჭო, წყალი... “ „ ლოყაზე უპწკინეთ... “ ასისტენტი: „ აგერ, აქა მაქვს ნიშადური... “ წამოსვამენ, ერასტის თავი უკან გადავარდნია, ოღონდ მაგრად მომუშტული ხელი ისევ ირიბად მიუხუტებია მკერდზე. ნიშადურს თავისი გააქვს, ერასტი ჯერ შეიშმუშნება, მიბრუნდება და მუჭში ფრთხილად ჩაიხედავს. ხალხს დაშინებული უყურებს.

უნივერსალი

აკი გითხარით, ჩემო გოგი, რა გამოცნობა ენდომება-მეთქი. ჩემი გამოცდილება და ნიჭი აღარც დამჭირდა, თავისით გაიყიდა, სულელი.

გოგი

მიდით, გამოართვით, სიტყვა – სიტყვაა.

უნივერსალი ერასტის მიუახლოვდება, რომელიც შეშინებული იხევს. უნივერსალი ჯიქურ მიიწევს მისკენ. ერასტი უკუსვლისას ბესარიონისეულ სკივრს მიეხლება, უღონოდ ჩამოჯდება ზედ, უმწეოდ მიმოიხედავს, ხელს დაუშვებს.

ერასტი

რა იყო, ბატონო... რა გნებავთ ჩემგან, ბატონო.

უნივერსალი

(მუშტს მხართან ჯერ ნელა მიიტანს, მერე კი სწრაფად გადმოშლის ხელისგულს, წაუღიღინებს) – ეერთი მარგალიტიც კაარგია, ხოლო ორი უუკეთესიაააა...

ერასტი

(მოულოდნელად, ძალიან გაუცელქდება გამომეტყველება, წამოხტება, ისიც მუშტს მიიტანს მხართან, და გაშლილ, ცარიელ ხელისგულს ზუსტად უნივერსალსავით გადმოშლის, მერე კი გადაატრიალ-გადმოატრიალებს) უმარგალიტობაც კაარგიიაა, მარგალიტიანობა – გაადასარევიაააა...

უნივერსალს ზურგზედაც კი ეტყობა, რომ ძალიან დაბნეულია.

ერასტი

რამ შეგაკრთოთ ასე, ჩემო ბატონო!.. რამ გაგაფითრათ!.. ასია, სად გაქვს ნიშადური, ჭირიმე შენი... რამ დაგაღონათ, ჩემო ბატონო, სტუმარ კაცს როგორ გამოვართმევ რამეს.

უნივერსალი შემობრუნდება. გაოგნებული მოაბიჯებს.

ერასტი მხიარულად მოჰყვება გვერდიგვერდ.

ერასტი

რას მოგიწყენია, რომ მოგიწყენია, შე კაცო... მე მაინც ვადაზე ადრე დავიწყე თქვენი მოტყუება, თავიდანვე ვითომ ძალიან რომ ვღელავდი... ასეა, გენაცვალე, შემზადება სჭირდება ყველაფერს, ბატონო... მაგრამ პირობა ხომ დავარღვიე? და არ უნდა ჩამეთვალოს ეს... გაიღიმეთ, პატივცემულო, გაიღიმეთ, მხნედ.

უნივერსალი

მართლა არ ჩაითვლება?

გოგი

არ ვიცი, ალბათ... ისე კი დავთქვით, ნებისმიერი ხერხითა და საშუალებითო... რა ვიცი... გნებავთ, განვაგრძოთ?

უნივერსალი

კი! ოღონდ ამას ნუღარ ვათამაშებთ, კარგი?

გოგი

განზე მიდექი, ერასტი.

ერასტი

კაი ბატონო. (შალვას წიგნში ჩახედავს) დისკვალიფიკაციას მაძლევთ? კაი ბატონო. ისე, ჩემო ასია, როდესმე მართლა თუ წამივა გული, ნიშადურის საშუალებას ნუღარ გამოიყენებ. სხვა საშუალება ბევრად უფრო გასჭრის ჩემზე.

ასისტენტი

რომელი საშუალება?

ერასტი

თუ გინდა რომ გულწასული წამოვფრინდე, გული მოიღეღე პატარაზე ცოტა.

ასისტენტი

(ნაზად) დაგაყარე... მეხი...

უნივერსალი

ვერონიკა, ეს ინციდენტი არ ჩაიწერო... ვერონიკა!.. ვერონიკა! ასია...

ასისტენტი

გისმენთ.

უნივერსალი

ამ გარემოებას ნუ აღნუსხავთ.

ასისტენტი

კარგით.

გოგი

აბა, განვაგრძოთ, ჩამოსხედით.

სერგია

მე მაინც ზედ არ შემახედებენ... ეგ კი არა, ორი აბაზი არ...

უნივერსალი

წინასწარ არ აღელდეთ, იცოდეთ, არავინ!

გაქვავებული სახეებით სხედან. გოგი მივა ბიქტორთან, არქიფოსთან, ვერიკოსთან, ლამზირასთან, სერგიასთან, მერე შალვასაც ჩაუვლის და აქ სერგია უცებ ძალიან შეხტება.

სერგია

(აგნესას მიაძახებს) არ გინდოდა ხომ, გამომყოლოდი ცოლად? არ გინდოდა ხომ? აწი იზარდე და იჭერი ნაწნავი! (თავქუდმოგლეჯილი გარბის).

ხალხი წამოცვივდება, ერთხანს გაედევნებიან, მაგრამ ეტყობა სერგია თვალს მიეფარა. სცენის სიღრმეში შეჩერდებიან, ზურგით დგანან, გაისმის: „ აი, სულელი... ვერ მოიკატუნა თავი?! მაინც წაართმევენ სადმე... ორ მუჭა თხილში გადაცვლის... ამ შტერ სერგიას როგორ ჩაუგდო მარგალიტი... მოდი ახლა და, ეძებე... მაგას თვალით ვეღარ ნახავთ... სულელი, შტერი... “

აგნესა

(დაფიქრებული) მაგრამ არ იყო ეგ ახალგაზრდა ძალიან. ცუდი ახალგაზრდა.

უნივერსალი და გოგი ძველ ადგილას, ზურგით დგანან.

უნივერსალი

რაშია საქმე, ბოლოს და ბოლოს! თამაშის წესების ასეთი უხეში დარღვევა არ გამიგია მე! ეს სერგიაა თუ ვიღაც. (სულ სხვა მხრიდან შემოიპარება სერგია, ზურგშექცეულ უნივერსალს ფეხისწვერებზე შემდგარი ეპარება) უნდა მოიძებნოს, ადმინისტრაციული წესით დაბრუნებულ იქნას და მარგალიტი ჩაგვაბაროს. არადა, წაგება მთელმა სოფელმა ზღოს, სიტყვა – სიტყვაა.

გოგი

პირობაში რომ დავთქვით, ყველანაირი ხერხითა და საშუალებითო, ალბათ თავისებურად გაიგო...

უნივერსალი

არაფერი არ ვიცი! რა ხერხი და საშუალებაა მარგალიტის პირდაპირ მოტაცება! ვერონიკა... ვერონიკა!.. ასია!

ასისტენტი

გისმენთ.

უნივერსალი

მოგება აღნუსხეთ. დაეცადა, ეცლია, ეგებ ჩემით მივმხვდარიყავ... ეგებ კი არა, ნამდვილად მივხვდებოდი.

აქ სერგია მხარზე თითებით დაუკაკუნებს. უნივერსალი შემობრუნდება.

სერგია

ა!! (გაშლილ ხელისგულს აჩვენებს).

სერგიას შეყვირებაზე ხალხიც შემობრუნდება. პაუზა.

უნივერსალი

(ერთხანს გაოცებული, გამოერკვევა) კი, როგორ არა, როგორ არა, ახლავე დაგიჯერებთ! (გოგის) გადამალავდა სადმე... მიწაში ჩაფლავდა, დარწმუნებული ვარ...

მაგრამ გოგი ხელს ასწევს – ორი თითით მარგალიტი უჭირავს. უნივერსალი კარგა ხანს გაბრუებული დგას. როდის – როდის გამოერკვევა.

უნივერსალი

კი მაგრამ... მაშინ... მაშინ რატომ არ აცალა ხალხს? (აზრი ჭკუაში დაუჯდება) ეცლია, ბატონო, ჯერ, სანამ ყველას ჩამოუვლიდი და, მერე რაც უნდოდა ის ექნა! ეგებ ნამდვილი პატრონი გამომეცნო, ხომ არ გქონია ჯერ ჩაგდებული! თამაში ბოლომდე არ მიგყავთ და... ასია, ეს შემთხვევა არ ჩაიწეროთ!

გოგი

მიდექი, სერგია, განზე.

ერასტი

მოდი სერგია, ბიჭო... მე ასე ვატყობ, აქეთკენ უფრო უკეთესი გუნდი დავგროვდებით პატარა ხანში ჩვენ. (მხარზე გადახვევს ხელს. დგანან) ა შენ, თხილი.

უნივერსალი

ბოლოს და ბოლოს, ერთხელ წესების სრული დაცვით ვითამაშოთ.

ვამიჩეიშვილი

უი მართლა, სად ისწავლეთ, ჩემო ბატონო, ასეთი კარგი ქართული?

გოგი

მე ვასწავლე.

უნივერსალი

და ნამდვილი გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვევა?

გოგი

კარგი. (ხალხს) აბა, მობრძანდით.

დათა

(უცებ ძალიან გაბრაზდება) არაფერსაც არ მოვალ? რა ჯანდაბად და ოხრობად მინდა ეს სულელური თამაში! გარბიხართ, გამორბიხართ, ვითომ გული მიგდით, სანამდე უნდა აგყვეთ სისულელეში! ბოლოს და ბოლოს, თავი მტკივა, მეძინება და, გამიშვი ერთი, საშიკო, თუ ძმა ხარ, სახლში!

საშიკო

არ გაგიშვებ!

გოგი

მოდი, ჩემო დათა, არ იცი, რა მოგელის... ყველაფერი ხდება... მოდი.

დათა

არაფერსაც არ მოვალ! მოცლილი გგონივართ თუ რა... წამოდი ახლავე!

უნივერსალი

ეგ თუ წავა, მე ვარ მაშინ მოგებული – თამაშზე უარს ამბობთ!

საშიკო

არ გაგიშვებ!

გოგი

მოდი, გენაცვალე, დათა... თორემ შევრცხვებით მთელი სოფელი.

დათას ყოყმანი შეეპარება.

დათა

კარგი. დავჯდები, მაგრამ არ მოვმუშტავ ხელს.

უნივერსალი

მაშინ ეგ რაღა გამოვა! თუ არ მომუშტავ, წაგება ჩაგეთვლებათ! ჩაიწერეთ…

ბიქტორი

ნუ გაგვაწბილებ ახლა მთელ სოფელს!

დათა

ჯანდაბას თქვენ თავს. მოვმუშტავ, კარგი...

გოგი

ოღონდ სანამ ბოლომდე არ ჩამოგივლით, კრინტი არ დაგცდეთ და, საერთოდაც, როგორც შეგიძლიათ შეიკავეთ თავი.

უნივერსალი

თავის შემკავებელი არიან ეგენი?

ხალხი, ერთხმად

ვნახოთ!

კვლავ დასხდებიან. შეტყუპებული ხელისგულები გამოუშვერიათ და ძალიან გაქვავებული, უგამომეტყველებო სახეებით სხედან. სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ სერგიასეული თხილის ტკაცანი არღვევს. გოგი ჩამოუვლის არქიფოს, ბიქტორს, დათა-საშიკოს, დამაშოშმინებელს, შალვას, კოკილოს, აგნესას და ხალხის შუაგულისკენ დაბრუნდება. კვლავ გაქვავებული სხედან, კრინტს არავინ სძრავს.

გოგი

აგერ, მშვენივრად იცავენ პირობას და შეუდექით.

უნივერსალი

(შეფერთხილია) კარგით... კარგი... (ხალხს ათვალიერებს) ვერონიკა, გეთაყვათ, ჭოგრიტი მომაწოდეთ. (გულდასმით ათვალიერებს სათითაოდ ყველას) ისე, კი უნდა თქვან ორიოდ სიტყვა, აკი დავთქვით რომ, ნებისმიერი ხერხითა და საშუალებითო... აბა შემხედეთ, პატივცემულო არქიფო.

არქიფო თავს არ შეარხევს, გვერდულად ასე მიაბჯენს უნივერსალს მზერას.

უნივერსალი

ხომ კარგი იქნებოდა, პატივცემულო ბესარიონ, ახლა მარგალიტი რომ გიციმციმებდეთ ხელში? ა? (მხოლოდ თხილის ტკაცანი ისმის) იმ ფულით მთელ ჯარს შეაიარაღებდი... ა?.. გააჩერეთ ეგ!

ერასტი სერგიას მსუბუქად წაუთაქებს.

პაუზა.

უნივერსალი

არა, საბოლოოდ არაფერს ვამბობ, მაგრამ ორ კაცზე მაქვს ეჭვი და ამიტომ ვყოყმანებ. ბიქტორ თქვენ რომ მარგალიტი მოგცათ რას იზამდით?

ბიქტორი ყურსაც არ იბერტყავს.

უნივერსალი

ასე არ გამოვა, უნდა მიპასუხონ! ასეთი დიდი ბედნიერება უნდა ჩაუვარდეთ ხელში და...

დათა

(ისე მძლავრად წამოდგება, საშიკოსაც წამოიყოლებს) მაინც რა ბედნიერებაა ამისთანა დიდი, რა! (მომუშტულ ხელს ღონივრად დაიქნევს) ამით თქვენ მე ვერ მომთაფლოთ, მეტი არაა ჩემი მტერი! რა ჯანდაბად და დოზანად მინდოდა მაინც, მე რომ ჩამიგდე! მე ვსვამ - ეს თვრება, მე ვჭამ - ეს ძღება და რა ოხრობად მინდოდა, ასე კარგი თუ გსურთ ჩემთვის, მაგისთვის ჩაგეგდო!

უნივერსალი

არაფერი არ ვიცი! წაგებულია! თავისით წამოსცდა, მე დავაძალე თუ რა! მაინც მივხვდებოდი, ნამდვილად მივხვდებოდი, ვერონიკა, ასე ჩაიწერეთ! (ძალიან გახარებულია) რა ჩემი ბრალია, ასეთ უჟმურს რომ ჩაუგდეთ, არ იცოდით, საიდუმლოს მაინც რომ ვერ შეინახავდა?

დათა

წაიღოს, წაიღოს, მომცილდით ყველა, აღარ მომეშვებით, ბოლოს და ბოლოს? წამოეთრიე სახლში!

საშიკო

შეგირცხვა ნამუსი! (ფეხზე დაირტყამს ფეხს).

დათა

აჰ! არ მომკლა ამ უსვინდისომ? (ფეხს მუშტით იზელს) წაიღეთ ჩქარა!

უნივერსალი

დიახაც რომ წავიღებ, არა, გიხათრებთ. (ხელს საზეიმოდ გაუწვდის) ააბა, გვიბოძეთ, ტყუილ-უბრალოდ კი არ დამდინდა ამდენი ოფლი. მეტი ჰონორარიც კი მეკუთვნის.

ბესარიონის ცოლი

კი მაგრამ, გოგი, ორი გქონდა?

გოგი

არა, ერთი.

უნივერსალი ქალს გამოხედავს.

ბესარიონის ცოლი

აბა ეს რაა... (ხელისგულზე მარგალიტი უდევს).

უნივერსალი

კი, მაგრამ... ეს როგორ... მაშასადამე საიდან... რა ქვია იმას... (დაბნეული, უცებ ძალიან ბრაზდება) გაშალე ახლავე ხელი!!

დათა, ძალიან დარცხვენილი, თავს ჩაღუნავს და გაშლილ ხელისგულს უჩვენებს - ცარიელია.

საშიკო

შენ გენაცვალე, დათა! კაცი ხარ კაცური! ჭირიმე შენი... (ხელზე იკოცებს).

უნივერსალიც დათასავით თავჩაქინდრული, მხრებჩამოყრილი დგას. გაბრუებულია.

გოგი

ახლა, წააგეთ?

უნივერსალი

(ხალხს გაუბედავად, ქვეშ-ქვეშ ათვალიერებს, და უცებ მუხლებზე დაეცემა, ხელებს აღაპყრობს) შენი ჭირიმე, გოგი, შენი ჭირიმე, გამაგებინე ოღონდ, ვინაა ეს ხალხი და, მომკალი თუ გინდა მერე!

პაუზა.

უნივერსალი

გოგი, გევედრები!

პაუზა.

ვერიკო

(გოგის წინ დაუდგება, დაჩოქილ უნივერსალს ამაყად თავაწეული მიმართავს) ვერა, ბატონო, თქვენ ვერ გამოგყვებით, სხვისთვის მაქვს სიტყვა მიცემული.

უნივერსალი

ვინაა... რა უნდა...

ვერიკო

მე ყველაფერი ვთქვი. ისე, კი შევეცდები, როგორც შემიძლია.

უნივერსალი

ძალიანა გთხოვ, გოგი. (წამოდგება).

ვამიჩეიშვილი

აღარ ჩავიდეთ ჭალაში?

ბესარიონის ცოლი

ერთი სიტყვა მაქვს შენთან, ჩემო გოგი...

უნივერსალი

უი, ჰო, მართლა... (თავისი დიდი ბეჭდიდან მარგალიტის ამოგდება უნდა) სულ დამავიწყდა... ახლავე მიიღებთ მოგებულს, ქალბატონო...

ბესარიონის ცოლი

რას ბრძანებთ, ბატონო, მოგებული კი არა, სიტყვა იმიტომ გაგაწყვეტინეთ, გოგის რომ დავუბრუნო ეს. (მარგალიტს გაუწვდის).

უნივერსალი

კი მაგრამ, რატომ... ხომ გაიმარჯვეთ...

ბესარიონის ცოლი

რა გამარჯვება ეს იქნება, ჩემო ბატონო. ამას გადააქცევს ფულად და, თავისი ტყუილების გასასაღებლად იმდენ პურ-მარილს დამამზადებინებს, რომ მტრისას, მტრისას... ჩვენი პატარა შეძლებით, ისედაც გაწყვეტილი ვარ ქალი წელში, ვარიების გაპუტვით თითები მძვრება, ხახვის ჭრით სულ დამეწრიტა თვალები და ახლა ეს მინდა კიდევ მე? დაიბრუნე, გოგი. თუ ჩემი ძმა ხარ...

გოგი

კარგი, მაინც ნამდვილი არაა და...

უნივერსალი

რააო?! მაშ რა, ყალბია?

გოგი

ნამდვილად.

უნივერსალი

ნამდვილი?!. (დაჟინებით შესცქერის) გოგი, გაფიცებ ყველაფერს, შემომხედე თვალში. შენც... ასეთი ხარ?

გოგი

მეც, რა თქმა უნდა, აქაური ვარ...

პაუზა.

უნივერსალი

და ამ ყალბ თვალზე ათამაშებდით ჩემს უძვირფასეს ბეჭედს?

გოგი

მაინც არავინ გამოგართმევდა.

პაუზა.

უნივერსალი

რატომ არ უნდა გამოერთმიათ?!. რა ვარ ასეთი გამორჩეული მაინცდამაინც!

გოგი

უბრალოდ, სტუმარი ხარ.

პაუზა.

უნივერსალი

(კვლავ მუხლებზე დაეცემა) გოგი, გამაგებინე ერთი, ვინ ხართ ეს ხალხი და...

ერასტი

აღარ ჩავიდეთ, ძვირფასო მეგობრებო ჭალაში? გადამეწვა ყელი!

გოგი

ჩავიდეთ, მაგრამ ჯერ ჩვენს სტუმარს ერთი რაღაცა ავუხსნა უნდა.

ბესარიონი

მაშინ ჩვენ პატარა პურ-მარილს გავამზადებთ და ჩამოგივლით მერე.

გოგი

კარგი. თქვენ ხომ დარჩებით, სვიმონ-ბატონო?

სვიმონ

რა თქმა უნდა, თორემ გაგიჭირდება, მარტოს...

ერასტი

აბა, წავიდეთ. (შეყოყმანდება, გაბედავს) პატივცემულო, ერთი დიდი თხოვნა მაქვს თქვენთან, ძალიან პატარა ერთი.

უნივერსალი

(წამოდგება) ბრძანეთ.

ერასტი

თუ შეიძლება, პატივცემულო, ასიაც გაგვაყოლეთ თან. სულ ბლოკნოტი და ფანქარი ხომ არ უნდა ეკავოს ხელში, პატარა ქალურ საქმეშიაც მოვიხმართ...

უნივერსალი

რა ქალურ საქმეში მოიხმართ!..

ერასტი

რაში და, ხაჭაპურს დაჭრის კოხტად. წიწილს გაპუტავს...

ასისტენტი

წავალ რა, მაესტრო, წავალ რااა...

უნივერსალი

მიბრძანდით, მაგრამ ძალიან ფრთხილად!.. ეე, ფრთხილად დაანაწევრეთ ხაჭაპური.

ასისტენტი

დიდი მადლობა! გმადლობთ!

ერასტი

ურიკით ხომ არ წამობრძანდებით, ასია?

ასისტენტი

არა, არა, ფეხით გავივლი სუფთა ჰაერზე.

პაუზა.

ხალხი გადის, სცენაზე მხოლოდ გოგი, უნივერსალი, სვიმონ და გლეხი რჩებიან.

სვიმონ

საიდან დავიწყოთ, გოგი?

გოგი

რა ვიცი...

სვიმონ

(ბოლთას დასცემს და შედგება. უნივერსალს გლეხზე მიუთითებს) ამ კაცს რა ჰქვია, თუ იცით, პატივცემულო?

უნივერსალი

არა.

სვიმონ

მაგას ჰქვია ბიქტორ-ბესარიონ-არქიფო-საშიკო-დათა-სერგია-შალვა-ერასტი.

უნივერსალი

კი მაგრამ, რაა ამდენი სახელი, ესპანელები ხართ?

ვამიჩეიშვილი

(შემოდის და რაღაცნაირად საუბრის კურსშია) მაგასაც კი იძახიან ზოგიერთები, ვენათესავებითო, ბოდიში, ხელი რომ შეგიშალეთ - ერასტიმ, ჩემი ურიკაო.

გოგი

თვითონ ვერ მობრძანდა?

ვამიჩეიშვილი

თვითონ დაკავებულია. (ურიკას წააგორებს, გადის).

პაუზა.

სვიმონ

ახლა სიმინდს რომ პატრონობს, ეგ ნუ შეგაცდენთ, ვაზის ხალხი ვართ ძირითადად ჩვენ, ბატონო, და მაგიტომ ჰქვია ამ ძიაკაცს ყველას სახელი. გვაერთიანებს ეგ.

უნივერსალი

ამ კაცს დანარჩენებთან რა საერთო აქვს? ეგ ადამიანი შრომობს, წვალობს, თქვენ კი, მიუხედავად გარკვეული სიკეთის მატარებლობისა, თითის თითზე დამკარებელნი არ ხართ.

სვიმონ

როგორ არა ვართ, ჩემო ბატონო, ყველანი ასე ვშრომობთ სწორედ, მაგრამ ჩვენი ხუმრობა და ღლაბუცი უფრო ჩანს ხოლმე.

უნივერსალი

რატომ...

სვიმონ

იმიტომ, რომ ვხუმრობთ და ვღლაბუცობთ ხანდახან, ბატონო.

პაუზა.

უნივერსალი

რა გაღლაბუცებთ მერე!

გოგი

მაგის გასაგებად არ ამოგიყვანეთ, ბატონო?

უნივერსალი

(ოდნავ დაირცხვენს, მერე გაახსენდება) კი მაგრამ, გოგი, მე ხომ გთხოვეთ, ახლა როგორმე თქვენ გამაგებინეთ, ვინაა ეს ხალხი-მეთქი...

გოგი

თავი და თავი ისაა, ძირითადად მშრომელი ხალხი ვართ, პატივცემულო, ჩვენ...

უნივერსალი

მე მსგავსი ვერაფერი შევნიშნე და...

სვიმონ

გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომობით უნდა გვნახოთ და...

უნივერსალი

შემოდგომა არაა ახლა?

სვიმონ

არ შეგვარჩინოთ, ბატონო, შემოდგომის ეს ბოლო თვე...

უნივერსალი

მაშინ შე კაცო, გაზაფხულზე ვერ ამომიყვანე?

გოგი

გაზაფხულობით, პატივცემულო, სად გვექნებოდა ამდენი ღლაბუცის თავი.

უნივერსალი

რას ამოიჩემეთ, კაცო, ეს ღლაბუცი!

სვიმონ

მაგ დროს უფრო ვჩანვართ, პატივცემულო, ჩვენ.

პაუზა...

უნივერსალი

რა ძალიან მოგაქვთ ამ მუშაობით თავი! რა დიდი ამბავი იქნება, ბოლოს და ბოლოს, ვაზის მოვლა! ერთხელ ჩასობილი სარი, გამიგია, რამდენიმე სრულ წელიწადს სძლებს... თუ მოგყავთ, ბატონო და, მე რას მამადლით, თვითონვე სვამთ.

სვიმონ

მტერმა დალია იმდენი ღვინო... გვწყევლით, ბატონო?

უნივერსალი

რას უშვებით აბა?

გოგი

გამოძებნილია... გზები, ნუ გეშინია შენ.

უნივერსალი

რა გზებია მაინც...

სვიმონ

მაღალმთიან დასახლებებში აგვაქვს, იქ ვერ ხარობს ვაზი.

უნივერსალი

რატომ ვერ ხარობს!

სვიმონ

ძალიან გრილა, ბატონო იქ.

უნივერსალი

რატომ გრილა!

შალვა

(შეუმჩნევლად შემოსულა) როგორ თუ რატომ, ბუნებას ასწავლით თავის საქმეს? მაღალმთიანეთში კი არა, ხანდახან ზოგიერთ დაბლობებშიც კი გრილა. სხვათა შორის, პატივცემულო, ბუნებამ ისიც იცის, ვინ სად დაასახლოს.

გოგი

კი მაგრამ, ხელს რად გვიშლით, შალვა-ბატონო?

შალვა

არაფერ ხელს მე თქვენ არ გიშლით, ახლავე წავალ. ერასტი დადგა სწორ და კარგ გზაზე.

გოგი

როგორ.

შალვა

წიგნისთვის გამომაგზავნა. მე და ასია, ჩემსას ერთად წავიკითხავთო.

გოგი

თვითონ ვერ მობრძანდა?

შალვა

თვითონ დაკავებულია ძალიან. (წიგნს სამალავიდან გამოიღებს, გასვლისას ჩაილაპარაკებს) ძლივს არ მოინდომა წიგნი? მაგრამ ვაითუ ახლაც მომატყუოს და სკამის, მაგიდის ან საწოლის ფეხს არ შეუყენოს მაგ შეჩვენებულმა... (გადის).

გოგი

თუ გნებავთ, დაგალაპარაკებთ, თუ არა და, ჩვენ-ჩვენი გზით დავიშალოთ.

უნივერსალი

არა, არა, მივიდეთ.

გლეხთან მიდიან.

უნივერსალი

გაგიმარჯოთ, ძიაკაცო.

გლეხი

გაუ...

უნივერსალი

როგორია თქვენი შრომის გრაფიკი, გეგმა, ტექნოლოგია და მექანიზაცია?

გლეხი

აი, თუ მოგდე იფნი სახრეიი...

გოგი

კარგი ახლა, ნუ მომჭრი თავს.

გლეხი

მა რეებ მელაპარაკება.

სვიმონ

ერთი გვითხარი, ჩემო ბატონო, ვაზის მოვლას რა და რა უნდა.

გლეხი

შენ რა, არ იცი?

გოგი

შენგან აინტერესებს, ძიავ, უპასუხე რა, სტუმარია, უხერხულია.

გლეხი გამომცდელად რიგრიგობით ათვალიერებს სამივეს.

სვიმონ

კაცო, უთხარი, ვაზის მოვლას რა და რა უნდა... შეწამვლა არ უნდა?

გლეხი

როგორ არ უნდა - უნდა...

გოგი

ჰოდა, უთხარი.

გლეხი

(უნივერსალს) შეწამვლა უნდა. ექვს-შვიდჯერ მაინცა.

პაუზა.

სვიმონ

მორჩა-გათავდა, ხომ?

გლეხი

კიდევა, ვაზის ძირებს გამობარვა უნდა, ნოემბერში.

პაუზა.

გოგი

და გამოთოხნა, ძიავ? ვაზის ძირებს გამოთოხნა ხომ უნდა...

გლეხი

როგორ არ უნდა... რიგების გამოთოხნა კიდევ, რამდენჯერმე მაინცა.

პაუზა.

სვიმონ

გასხვლა, ბატონო, გასხვლა არ უნდა?

გლეხი

როგორ არ უნდა (უნივერსალს) გასხვლა კიდენა - მარტში.

პაუზა.

სვიმონ

სულ დავამთავრეთ, ხომ?

გლეხი

კიდევა უნდა... ვენახის ფურჩვნა.

უნივერსალი

როგორ?

სვიმონ

ზედმეტი ყლორტების მოცილებაა.

უნივერსალი

აა.

პაუზა.

სვიმონ

ეგაა და გორის ციხე, არა?

გლეხი

ვაზსა კიდენაა... გოგირდის შეფრქვევა უნდა.

სვიმონ

ნაცრის გაჩენის საწინააღმდეგოდ, არა?

გლეხი

მაშ.

უნივერსალი

ეგ რაღა პრობლემაა – ვენახის გარეთ დაწვით შეშა და აღარ გაჩნდება ნაცარი.

გლეხი

(უნივერსალს დაკვირვებით შეათვალიერებს) ნეტა ჩემ ვენახს შენსავით სხმოდა.

უნივერსალი

დიახ.

პაუზა.

სვიმონ

მორჩა, ავიღეთ იაპონია?

გლეხი

კიდენა უნდა მწვანე სამუშაოები.

გოგი

უჰ... ეგ რომელიღაა. გადამავიწყდა.

გლეხი

გადაგვიჯიშდი, შვილო? ყლორტების ახვევაა ეგა, ქარმა რომ არ დააზიანოს, შენეეფა.

პაუზა.

უნივერსალი

საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გქონიათ. აჰ, ბლოკნოტი რომ ვერონიკას გაჰყვა...

სვიმონ

მორწყვა არ უნდა?

გლეხი

როგო არ უნდა, სულ არ გადამავიწყდა? (უნივერსალს) კიდენაა უნდა, მორწყვაი, მართლა.

უნივერსალი

მაინც რამდენჯერ?

გლეხი

გვალვიან წელიწადში სამ-ოთხჯერ მაინც გადმოვაგდებთ რუებს.

უნივერსალი

ბარაქალა, ყოჩაღ თქვენს შრომას, ბარაქალა.

პაუზა.

გლეხი კიდენა უნდაა... მარგვლა.

პაუზა.

სვიმონ

მოუკრეფლობა თუ შეიძლება...

გლეხი

მოკრეფა რა ჩასათვლელია, კაცოუ, ქალებსა და ბავშვებსაც კი შეუძლიათ.

უნივერსალი

მე ერთხელ აპენინებზე ზეთისხილი მაქვს დაკრეფილი.

გლეხი

ჰოდაა, ყოჩაღ.

სვიმონ

და რომ მოვკრეფთ, მერე?

გლეხი

მერე უნდა კარგა მაგარი დაწურვა და ქვევრებში ჩასხმა.

უნივერსალი

კიდევ რა უნდა?

გლეხი

კიდენა უნდა, ფეხები.

უნივერსალი

რაო?

გლეხი

(ხელს მუხლებზე დაირტყამს) ჩვენ-ჩვენი ფეხები კაცო, ვენახები სოფლის ბოლოში გვიდგია.

უნივერსალი

აა... და კიდევ ხომ არ უნდა რამე?

გლეხი

(გოგის) ბიჭოუ, ამ კაცისთვის სუ არ დაგილეინებიათ?

იღიმებიან, პაუზა.

უნივერსალი

სამაგიეროდ, შემოდგომის ბოლო თვეს და ზამთარში ალბათ ძალიან ისვენებთ.

გლეხი

ზამთრობით, შვილოსა, დათვი ისვენებს. ჩვენა კიდევ – შეშის დამზადებაო, გზების შეკეთებაო, ორღობეების გამაგრებაო, თოვლის გადმოხვეტაო, შინაც ათასი საქმეა და რაკი... ისე, ლოყები მაინც მემატება.

უნივერსალი

ეს საყურადღებოა. ა, ნეტა ბლოკნოტი... და სულ ასე შრომობთ?

გლეხი

რა ვუყოთ, კაცო... შრომითვინა ვართ. (გამოცოცხლდება) ერთხელ კი დავისვენე, ცოტათი ავად გავხდი, მუცელში რაღაცამ მამიარა, დამდეს შვილებმა ურემზე, ქალაქში სუ ჯაყჯაყით ჩამიყვანეს, დამაწვინეს ქათქათა მაგიდაზე იქ, სულ კრიალ-კრიალი გაუდიოდა, დამადგა თავზე ვიღაცა თეთრად ცხვირპირახვეული აქიმი, შეუდგა თავის დანიან საქმესა და მერე კი გაკვირვებულმა მითხრა, რათ არა ყვირიო. მე უფრო გამიკვირდა – რა დამაყვირებს, შე კაი კაცო, ძლივას დაწექილ-მოსვენებული ვაარ-მეთქი.

იღიმებიან. უნივერსალი უნებურად სიმინდს წააქცევს. გლეხი გაასწორებს და მერე ისევ ძველებურად გაქვავებული ზის, გინდაც არაფერი ეთქვას.

სვიმონ

ერთი აქეთ მობრძანდით, ჩემო ბატონო. (წინ გამოდიან, პაუზა). ჩვენ, პატივცემულო, როგორც დარწმუნდით, ალბათ, კარგ მიწაზე ვცხოვრობთ და, ამას გარდა, ისეთი გზები გადის თურმე ჩვენში, სტრატეგიულს რომ ეძახიან და რამდენ ოხერს და ავაზაკს გაუვლია აქ, თანაც, ლაშქრად შეკრულებს, ჩემო ბატონო, ცოტანი ვიყავით, პატივცემულო და რა გვექნა აბა – რომ აკვამლდებოდა მეზობელი სოფლის კოშკზე

თივა, სასწრაფოდ ავახრჩოლებდით ჩვენს კოშკსაც, ავიკრეფდით გუდანაბადს და ზემოთკენ, მთებში ვიხიზნებოდით. ჩამოვდიოდით მერე და, (შემოდის სერგია და, ფეხისწვერებზე შემდგარი და მაინც მოხრილი, მათკენ მოიპარება) სახლ-კარი გადამწვარი, ვაზი - აჩეხილი გვხვდებოდა, ვაზი კი, ჩემო ბატონო, თუ იცით, რას ნიშნავს ჩვენთვის...

აქ სერგია ზურგიდან მიეპარება უნივერსალს, წვივზე თითებს სტაცებს და ძალიან ხმამაღლა შეჰყეფს. გულგახეთქილი უნივერსალი მაღლაც კი შეხტება, შეშინებული მიიხედავს და სერგია შერჩება.

უნივერსალი

ჰა... რა იყო... რაშია საქმე...

სერგია

სტუმარი ბრძანდებით და გეხუმრეთ და გაგამხიარულეთ, ბატონო.

უნივერსალი

რა ხუმრობაა ეს! რა ხუმრობაა! ეს ხმურობა კი არა, წმინდა წყლის სიბრიყვეა!

სერგია

რატოა სიბრიყვე, ხუმრობა მომინდა საპატივცემულოდ თქვენთან და ხომ არ დავმალავდი ამას?!

უნივერსალი

რა პატივისცემაა ეს!

სერგია

რა და, პატივისცემა მომინდა ხუმრობის საშუალებით და, ხომ არ დავმალავდი ამას? (ამაყად) ადამიანი რომ პირში მთქმელი იყოს, განა ცუდია?

უნივერსალი

რა პირშიმთქმელობაა ძაღლივით ყეფა! (გოგის) ხომ არ დამარტყამს რამეს თავში?

გოგი

არა, რას ბრძანებთ...

უნივერსალი

(სერგიას) შე უზრდელო, შენ!

სერგია

ეცი ახლა ზოგიერთნაირ ადამიანს პატივი...

სვიმონ

რა იყო, სერგია, რამ შეგაწუხა...

სერგია

ასიამ, ნემსი და ძაფიო.

უნივერსალი

რა�о?.. კიდევ რა მინდაო?!

სერგია

კიდევო, უთოო. (პაუზა) ჩემ ტომსიკაში ზემოდან დევსო.

გოგი

აგერაა და ამოიღე, ნაწყენი ხომ არაა?

სერგია

ნაწყენი კი არა... (რუკზაკიდან ნივთებს ამოიღებს და გადის).

სვიმონ

ხოდა, ჩემო ბატონო, ვაზი რას ნიშნავს, თუ იცით, ჩვენთვის? ვაზს მოფერებით...

უნივერსალი

უზრდელი... გისმენთ, განაგრძეთ.

სვიმონ

ვაზს, მოფერებით, ხანდახან ბრუნდეძირიანს ვეძახით, სადღეგრძელოში ასე ვამბობთ – ვაზს გაუმარჯოს ბრუნდეძირიანსო და ასეთი უცნაური მოფერება თუ გაგიგიათ? ეს სიყვარულით ნათქვამი „ ბრუნდე “ გასაოცარი ძალით გვახსენებს, რომ ვაზის ქვეყანა ვართ და ვაზის ხალხი, ვაზი – ჩვენს ტაძრებსა და ეკლესიებზე, მტევანი – ჩუქურთმად, ვაზი – ხალხურ პოეზიაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანისდროინდელი ქვევრები წამოედება ხოლმე სახნისს, დოქები და ფიალები, ხვავრიელი მტევნებით შემკული ანტიკური ნიღბები და ჩვენი, ქართველთა პირველი ჯვარიც ვაზისა იყო და მშვენივრად იცოდნენ საქართველოს მტრებმა, ვაზს რომ ჩეხავდნენ, რასაც შვრებოდნენ...

უნივერსალი

ეს საინტერესოა.

სვიმონ

მაგრამ ყოველთვის კურდღლებივით კი არ გავრბოდით, ასე მხოლოდ უთავო მეთაურების დროს ხდებოდა. ისე კი, დიდი ვახტანგის, დიდი გიორგის, დიდი დავითის და თამარ მეფის დროს, აი, ამ კაცს, მრავალსახელიანს, ახლა რომ სიმინდს უზის, კიდევ ერთი, ყველაზე გმირული სახელი – ქუდზე კაცი ერქვა.

უნივერსალი

ძლიერ დასაფასებელი და საინტერესოა.

სვიმონ

ესაა, სწორედ ესაა, უცნობი გლეხი, საქართველოს ხმლითა და ნამგლით რომ მოგვიტანა და, დაჩეხილი, ჭრილობებში წარბშეკრული რომ იყრიდა აღზევნის მარილს, სწორედ ესაა, ბევრი რომ იყო, ხალხი ერქვა, ქართველი ხალხი და ღონიერი ქედით აქამდე გვიზიდნია პატარა, მაგრამ მძიმე ქვეყანა – საქართველო, რომლის წარსულიც ცნობილი გმირებითა და არანაკლებ ცნობილი მოღალატეებითაა სავსე, მაგრამ – ქვეყანა, რომელსაც უერთგულესი ხალხი ჰყავდა და, რა კარგი სანახავები ვიყავით, თუ იცით, ჩემო ბატონო, ერთად – ბევრი კუთხე გვაქვს, განსხვავებული ხალხი ვცხოვრობთ ვითომ, მაგრამ მაინც ყველანი, ყველა მთლად ნამდვილი ქართველები ვართ, და არ გიკვირთ, ხომ, იმ ვარამსა და უბედურებაში, ისეთი ხალხური პოეზია რომ შევქმენით, შევინარჩუნეთ ადათ-წესები და ჩვენი ენა, დალოცვილი, ჩვენი ღვიძლი და ყოვლისმომცველი ქართული ენა!.. ჩვენი ტაძრები მოიარეთ, ჩემო ბატონო და, თავს მოვიჭრი, თავისით, უადამიანებოდ თუ იყოს აშენებული და მოხატული. იმ განუწყვეტელ შემოსევებსა და ხმლების ტრიალში, როგორ გგონიათ, გვეცეკვებოდა? გვემღერებოდა?

უნივერსალი

არა, მგონია.

სვიმონ

აბა, უსმინეთ.

მთელ წუთს ძალიან ხმამაღლა გაისმის ნაწყვეტი სვანური და კახური სიმღერებიდან.

უნივერსალი

ძალიან კარგია, მშვენიერია.

სვიმონ

ახლა ცეკვები უნდა განახათ, ზოგი – ნარნარი და დარბაისლური, ზოგი – გადარეული და ცეცხლოვანი... ჯერ რიტმი რად ღირს?

ძალიან ხმამაღლა გაისმის ხორუმის რიტმი, მაგრამ სცენაზე უხერხული ცეკვით შემოდიან ხელიხელჩაჭიდებული სოფლელები და მათ შორის ასისტენტიც. უხერხული ცეკვით იმიტომ, რომ ყოველ მათგანს იღლიაში რაღაც საჭმელი მოუჩანს – შემწვარი გოჭი, ქათამი, მწვანილი, ჭადი, ყველი, შოთი პურები. სულ ბოლოს მოცეკვავე ერასტი გასვლამდე უნივერსალს გაუწვდის ხელს, უნივერსალი გოგისა და სვიმონს შეხედავს.

გოგი

ჩვენ მოგვიანებით ჩამოვალთ, ორიოდ სიტყვა გვაქვს ერთმანეთთან.

უნივერსალი მოუხეშავი ცეკვით სხვებთან ერთად გადის, დოლის ხმა თანდათან სუსტდება, მაგრამ ბოლოს მაინც გარკვევით, თანაბარი სიძლიერით ისმის.

სვიმონ

(ხმადაბლა) ხელი მომეცი, გოგი.

ორნი იწყებენ ხორუმის წრიულად ცეკვას, გლეხი გაქვავებული ზის. ძალიან ფრთხილად, ფეხაკრეფით მოძრაობენ, განსხვავებით ახლადჩავლილი მწკრივისა, რომლის ყოველი წევრიც მთელი ძალით უბარტყუნებდა ფეხისგულებს მიწას.

სვიმონ

როგორ გგონია, ჩემო გოგი, გაიგო ვითომ იმ კაცმა რამე?

გოგი

რა ვიცი... არ ვიცი...

ცეკვავენ, ჯერ სცენის სიღრმეში გადიან, მერე ფრთხილად ახლოვდებიან.

სვიმონ

რაღაცას მაინც კი უნდა მიმხვდარიყო წესით...

გოგი

რა ვიცი... მხოლოდ ჩვენი სოფელი ნახა და...

სვიმონ

კი, მაგრამ გინდაც ერთი წვეთი ვიყოთ, ზღვის თვისებებსაც ვიმეორებთ, თუ დაგვაკვირდება კაცი...

ცეკვას არ სწყვეტენ. გლეხს წრეს დაარტყამენ. დოლის ხმა ძველებურადვე ისმის.

გოგი

რომ ვუკვირდები, ზოგად ადამიანებსაც კი წავაგავართ ჩვენ...

სვიმონ

კი წავაგავართ, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო გამჟღავნებულები ვართ...

გოგი

ნეტავი რატომ...

სვიმონ

აბა, რა ვიცი...

ცეკვავენ.

სვიმონ

ეგებ იმიტომ, შენიღბვისათვის ნაკლებად რომ გვეცალა...

გოგი

ალბათ... რა ვიცი...

ცეკვავენ.

სვიმონ

ისე, ბოლოსკენ, ძალიან ამაღლებულად კი დავუხატეთ ჩვენ-ჩვენი თავი...

გოგი

კი... მაგრამ სხვა ამბებზეც ხომ ბლომად ვაცქერინეთ...

სვიმონ

ეგ კი... ეგ კი...

ცეკვავენ.

სვიმონ

რაღაცა გვინდა კიდევ. უჰ! (მუშტს მაღლა აიქნევს);

გოგი

ნამდვილად გვაკლია რაღაც, კი... აუხ! (ისიც მაღლა აიქნევს მუშტს).

ცეკვავენ.

გოგი

ისე, რაღაცა გვაქვს მაინც ჩვენ-ჩვენი, რაღაცა კარგი.

სვიმონ

კი, კი, ნამდვილად... და რაღაცაც გვაქვს, არც ისე კარგი...

გოგი

ცოტათი გლახა... (ცეკვავენ) გამაგებინა ნეტავ, რანი ვართ...

აქ მორიგ „ პა ‘‘-ს აკეთებენ – პირქვე წვებიან და ყურს მიწაზე დებენ, ერთხანს კვლავ ხორუმის თანაბარი რიტმი გაისმის, მაგრამ თანდათან არიტმიულ კაკუნში გადადის. გაკვირვებულნი ასწევენ თავს და ავანსცენაზე შემოდის ბრმა, ჯოხის კაკუნით მიიკვლევს გზას... ბრმა სანამ ლოდს წვალებით აუვლის, კაკუნის ხმა იზრდება, მერე კი თანდათან სუსტდება, ფარდა იხურება და ავანსცენაზე რჩება მხოლოდ ბრმა, რომელსაც კაკუნის მისუსტებულ ხმაზე ორიოდ ნაბიჯი რჩება, და გადის.

დასასრული